

ისინწდი

ლიტერატურული ჟურნალი

ISSN 2449-3120

№5

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№5

2018

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი
რეზო ემელიანე ადამია
ბონდო არველაძე
ნინო ბაქანიძე
აკაკი ბრეგაძე
მარინა თექთუმანიძე
დალი კახიანი
ერეკლე საღლიანი
ბადრი პატაშური
მარსიანი
გიორგი შიშნიაშვილი
გიგი ხორნაული
რუსუდან ჭანტურიშვილი

ყდის მხატვრები: **მარსიანი, „ამირანის ბრძოლა გველეშაპებთან“ (წინა ყდა)**
დალი კახიანი, „ნიღბებით მოვაჭრე“ (უკანა ყდა)

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა **5**

პუბლიცისტიკა
იკა ქადაგიძე – Sos! – „ხიბულა“ **(გიორგი ოვაშვილის ფილმის გამოძახილი)** 7

პოეზია
დალილა ბედიანიძე – ლექსები 14

გასაიდუმლოებული არქივიდან
ნანა კოტეტიშვილი – ვახტანგ კოტეტიშვილის ბედისწერა 16

პოეზია
გია ჯიჭონაია – ლექსები 22

პროზა
ნინო ბაქანიძე – მოლაპარაკე 24

ერთი ლექსის გაელვება
გია ხოფერია – ლექსი 28

დრამატურგია
კობა ცხაკაია – მასხარა 29

ღირსსახსოვარნი
მერაბ კოსტავა – ბრძნული გამონათქვამები 36

რეცენზია
რუსუდან ჭანტურიშვილი – „კარცერ=ლუქსი“ ადამიანი“ 37

ჩანახატი
მაყვალა გერმანოზაშვილი – მზის ფერები 39

არდავიწყება პოეტისა
გიორგი კორნაპელი – ლექსები 41

ერთი ლექსის თარგმანი
თეიმურაზ ჭანტურიშვილი – გალაკტიონს 43

ესეისტიკა
გიორგი შიშნიაშვილი – წერილი ანა კალანდაძეზე 45

თარგმანი
კონსტანტინ პაუსტოვსკი – ნაკადული სადაც, კალმახი ფართხალებს 47

ინტერნეტსპექტრი
პაატა სურმანიძე (პოეტ პოეტიშვილი) – პოეტური დებიუტი 50

ესეისტიკა
მარსიანი – გალაკტიონი 52

მოსაგონარი
ნოდარ ჯალალონიას ხსოვნას 56

თარგმანი
დალი კახიანი – ქართველი პოეტები რუსულად 58

მხატვრულ-დოკუმენტური პროზა
ვახტანგ ჯავახაძე – „მწუხარებაი სხვისა სიკეთესა ზედა“ 61

ჩანაწერები
თეიმურაზ ნადარეიშვილი – სულის ფოტოგრაფიები 65

რედაქტორის წინათქმა

სამწერლო ასპარეზზე დასამკვიდრებლად პროფესიონალიზმის კვალდაკვალ უსამართლობასთან უწყვეტ ჭიდილში იძერწება და მტკიცდება მწერლური მრწამსი, ვინაიდან ლიტერატურა მხოლოდ წარმატების ან წარუმატებლობის სფერო ან ეფექტური სტატისტიკა როდია, ოდენ მწერლური მიღწევების თუნდაც მასშტაბური აღნუსხვითა და კრიტიკული ოსტატობის მაჩვენებლების სიუხვით შემოიფარგლოს. არამედ, აქ გაცილებით მეტი იგულისხმება,; ის, რაც ზნეობრივ ქვაკუთხედზეა დაშენებული და პროფესიონალისგან გაწაფულობისა და სტილური გამოცდილების საპირწონედ გაცილებით მეტს ითხოვს. სახელდობრ, უანგარო და კეთილსინდისიერ მსახურებას მკითხველთა არა მხოლოდ მხატვრული დონის, არამედ ზნეობის ასამაღლებლად და გასაკეთილშობილებლად; შესაბამისად, სანდოობის ფაქტორი განსაზღვრავს რომელ ავტორს, ჟურნალსა თუ წიგნს ვენდობით; აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოცემულობას: საყოველთაო დესაკრალიზაციის ეპოქაში ვისზე შევაჩერებთ არჩევანს: მოდურ და ნომენკლატურულად გაპიარებულ ბეჭდვით ორგანოზე, მსუყე დაფინანსებით თვალს რომ გვჭრის და ჩვენი აზროვნების დაქვეითებას აგრესიულად ცდილობს თუ დამოუკიდებელ ჟურნალს, რომლის მიმართულება უსამართლობასთან და ცენზურის მრავალსაცეცებიან მარწუხებთან დაპირისპირებისას ნათლად და მიუკერძოებლად იკვეთება; შესაბამისად, მუდმივ დღის წესრიგშია უმთავრესი საკითხი: გლობალური ქარტეხილების წნეხში მოქცეული ლიტერატურა თავის დანიშნულებას ინარჩუნებს თუ იძულებულია საყოველთაო გაუფასურების სახიფათო ტენდენციებს ბრმად ჩაეთრევინოს. ამ მარადიულ დილემას ნებისმიერი ეპოქის ხელოვანი საკუთარი უნარისა და სინდისის მეშვეობით პასუხობს; ჟურნალის შემთხვევაში ხელოვანების ბირთვი, მსოფლმხედველობრივად შეკავშირებული "უკანაკსნელი მოჰიკანებისგან" შედგენილი გაბედული გუნდი დგას ნამდვილი მწერლობის სადარაჯოზე, რათა მოულოდნელ გამოწვევებს უბრძოლველად არ დანებდეს და მწერლობის ღირსება ჯეროვნად შეინარჩუნოს და წნეხის მიუხედავად გააფართოოს კიდეც.

განვლილმა წელიწადმა ცხადყო, რომ ყველაზე მებრძოლი, ეროვნული პროფილის მქონე ჟურნალი „ისინდი" საკუთარ პრინციპებს არ ღალატობს, რაც ჟურნალის დამოუკიდებელი სარედაქციო პოლიტიკის განუხრელობის თვალსაზრისით მკაფიოდ ვლინება. ვწეროთ და დავიცვათ ის, რაც ქართული მწერლობისთვის ფასეული და სისხლხორცეულია, ჩვენი მუდმივი დევიზია; შესაბამისად, ჟურნალის აღიარების კვალდაკვალ კონკურენციის მომენტი სავსებით ბუნებრივია. როდესაც სერიოზულ ძალად მოიაზრები, მტერ-მოყვარე შენთან თანამშრომლობის ან ჭიდილის დროს ცდის საკუთარ ძალასა და უნარს. ცალკე საკითხია, კონკურენციის ხასიათი ჯანსაღ საწყისს ეფუძნება თუ უკადრისი მეთოდების გამოყენებისას ჰპოვებს გამოძახილს. ეს გარემოება ლიტერატურული ატმოსფეროს ხარისხზე ცალსახად მიუთითებს. სამწუხაროდ, ახლახანს სწორედ ბინძურ კონკურენციას შევეჯახეთ, როდესაც პოეტ ჯუბა ღებელის (ჯუმბერ გოგრიჭიანის) წიგნის წარდგენაზე საგანგებოდ მიწვეულს(პოეტმა როგორც ზეპირად, აგრეთვე წერილობით, მოსაწვევი თუ სათვალავში ჩასაგდები არ გახლავთ, თავის ბენეფისზე რამდენჯერმე თავაზიანად და დაჟინებით მიმიპატიჟა) დემონსტრაციულად არ მომცეს სიტყვა მაშინ, („ისინდელები" ღებელის მხარდასაჭერად თან მახლდნენ) როდესაც მასპინძელმა თვით მომწერლო ელემენტებსაც არ დასწყვიტა გული და საკუთარი საღამო დითირამბების ფეიერვერკად გადააქცია; მწერალმა მწერალი თავის ღონისძიებაზე ვერაგულად მიიტყუოს და სიტყვის გამოთქმის უფლება დემონსტრაციულად წაართვას, ეს წმინდაწყლის საბჭოური გადმონაშთია და ვინც სადღეისოდ ამ სამარცხვინო და მახინჯ ტრადიციას მისდევს, ყბადაღებული ეროვნული ლოზუნგების ქადაგების კვალდაკვალ ესოდენ მდაბიო ქმედებით თავად ამჟღავნებს სინამდვილეში რა პრინციპებით ხელმძღვანელობს. ცნობისთვის, ამხანაგი ღებელი ეროვნული მიმართულების ჟურნალ „ანეულის" სარედაქციო

კოლეგიის წევრი და ერთგული დამფინანსებელია და ამიტომ მისი თანაგუნდელები, ჟურნალის რედაქტორის, პოეტ თამარ შაიშმელაშვილის მეთაურობით გუნდური „სოლიდარობის“ ნიშნად „სრულმა სიბრმავემ“ შეიპყრო, როდესაც თურმე დარბაზში ვერავინ „შემამჩნია“, თუმცა საღამოს დასრულების შემდეგ უეცრად გასხივოსნებულმა „ანეულის“ შეფმა ჩემთან ფოტოს გადასაღებად მარდად მოირბინა. ესე იგი, როცა დასჭირდა, შემნიშნა, როცა არა – „ვერ დამინახა.“ ამ მდაბიო და იაფფასიანი პროვოკაციული ვენდეტის არსს რომ არ ჩავუღრმავდეთ (აქვე დავძენ, ამ სამარცხვინო კონკურენციას ცალკე წერილი მივუძღვენი, რომელსაც დაინტერესებული მკითხველი მალე საკმაოდ სოლიდური ჟურნალის ფურცლებზე იხილავს), ერთს დავძენ, სოლიდარობის ნაცვლად ამგვარი უკადრისი პრეცენდენტი ლიტერატურული გარემოს დაბინძურების ხარისხს შეულამაზებლად ააშკარავებს, აგრეთვე კლანურ მანკიერებას დაუფარავად ამჟღავნებს, რომელთა წევრებისთვისაც მთავარი მონოპოლიაა და არა კოლეგებთნ კეთილსინდისიერი დამოკიდებულება. ეროვნული მწერლობის განსაცდელის ჟამს, ბინძური კონკურენციის ნაცვლად ერთობლივი ძალისხმევის აუცილებლობას რომ ვერ ხვდებიან მწერლები, მათთან უთანასწორო თანამშრომლობა რომ მგლის თავზე სახარების კითხვის ტოლფასია, ამას წყალი არ გაუვა. აღარაფერს ვამბობ იმ ფაქტზე, თავის დროზე „ანეულის“ გამოცემას წერილობით დადებითად რომ გამოვეხმაურე, ჟურნალი საგანგებო გადაცემის მეშვეობითაც გავაპიარე და მის რედაქტორს კლანებთან ბრძოლის დროს მხარი აქტიურად დავუჭირე. ეს ოფიციალურად დადასტურებულია და ჩემს პუბლიკაციას თან ერთვის. ამდენად, მკითხველმა თავად განსაზღვროს რა მოვლენასთან გვაქვს საქმე ან ვინ რისთვის ირჯება.

საგანგებოდ აღსანიშნავია „ისინდის“ წინსვლა რეგიონებში. ორმაგად სასიხარულო ფაქტია, რომ ამ ზაფხულს „ისინდმა“ ფრიად განსწავლული ისტორიკოსისა და მკვლევარის, ბატონი გოგი ფირცხალაიშვილის წყალობით ბათუმელ ინტელიგენციამდე მიაღწია და ფართო გამოხმაურება ჰპოვა, რაც ცნობილი მწერლების, ბადრი თევზაძის, გენრიეტა ქუთათელაძისა და ანზორ კუდბას შინაარსიან გამოსვლებსა და წერილობით გამოხმაურებებში ჯეროვნად აისახა. „აჭარის“ ტელევიზიის მიერ მომზადებულ საგანგებო სიუჟეტში ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „ისინდი“ ეროვნული ღირებულებების დამცველი ბეჭდვითი ორგანოა და შესაბამისად, რეგიონებში არსებულ ბიბლიოთეკებს ეროვნული ცნობიერების გასაღრმავებლად ჟურნალს უსასყიდლოდ უგზავნის. გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზე ჟურნალისტმა რეზო მსხილაძემ ეროვნული ჟურნალის მიზანდასახულობაზე სათანადოდ იმსჯელა და ხელისუფლებას მოუწოდა ეროვნული ჟურნალების დაფინანსება-პროპაგანდა ოდესმე თავს იდოს, რაც ჯერჯერობით კვლავ აქილევსის ქუსლად რჩება. დიახ, აჭარა „ისინდს“ დიდებულად დახვდა, რაც მოწმობს, რომ რეგიონებს ჯანსაღი პოზიციის გამომხატველი ჟურნალისადმი მზარდი და დადებითი ინტერესი ამოძრავებთ. ბატონი გოგი ფირცხალაიშვილი ესოდენ საშურ მამულიშვილურ საქმეს გაბედულად შესჭიდებია და ჩვენი ჟურნალის პოპულარიზაციას დასავლეთ საქართველს მასშტაბით გეგმავს.

ყურადღების ღირსია გულითადი შემოხმიანება ბორჯომის ბიბლიოთეკის მესვეურისგან, რომელთანაც ჩვენმა ერთგულმა მხარდამჭერმა და ავტორმა, ღვაწლმოსილმა ტელერეჟისორმა, ბატონმა ვანო გელაშვილმა დაგვაკავშირა. ბორჯომის გაზეთი მალე „ისინდს“ თავისი ფურცლებიდან მიესალმება. ამერ-იმერი ხომ განუყოფელია, სადაც ეროვნული სიტყვა უნდა გრგვინავდეს!

ამდენად, „ისინდის“ მჭიდრო კავშირი რეგიონებთან უკვე პრაქტიკულად ხორციელდება; სამომავლო ვიზიტები კვლავ იგეგმება, თუმცა ამის თაობაზე მოგვიანებით მოგითხრობთ. აქედან გამომდინარე, ღირსშესანიშნავი დასაწყისი შემდგომში აუცილებლად გაღრმავდება და სისტემატურ ხასიათს შეიძენს. მასასადამე, წინ „ისინდი!“ მუდამ ძალაშია და ერთგულ მკითხველებს კვლავ არაერთ სიახლესა და ეროვნულ წამოწყებას შესთავაზებს. ბრძოლა ქართული მწერლობის გადასარჩენად უწყვეტად გრძელდება!

11.10.2018.

Sos! – „ხიბულა“

(გიორგი ოვაშვილის ფილმის გამოძახილი)

„მთელი საქმე ისაა, ვისგანაც გვინდა რაიმე ვისწავლოთ,
ჩვენს ბუნებას უნდა შეესაბამებოდეს.“

გოეთე



ამასწინათ კარგმა ნაცნობმა ძალზე საინტერესო სტატია გამომიგზავნა, რომელიც ქართული კინემატოგრაფის სფეროში არსებულ უხეშ დარღვევებს გაბედულად ააშკარავებდა და ჩვენი კინოცენტრის მესვეურების შერჩევით პოლიტიკას არასახარბიელო სტატისტიკის შესწავლისა და შეჯერების ფონზე არგუმენტირებულად წარმოაჩენდა. ცხადია, პუბლიკაცია დავაგემოვნე თუ არა, გონებაში სამწუხარო დასკვნა ძალდაუტანებლად გახმიანდა: „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!“ გულისხმიერმა, გამორჩევით ნიჭიერმა და კეთილსინდისიერმა კოლეგამ მთხოვა ამ თემას ჩემებურად გამოვხმაურებოდი, რაზეც მწარედ გამეღიმა: თითქოს სამწერლო პროცესების შეფასება არ კმარა, მეზობელ სფეროში უბოდიშოდ რომ არ შევჭრილიყავი და მედგარი კონფორმისტები ახლა ამ ფრონტზე არ ამეფორიაქებინა, მაგრამ ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. მოკლედ, სრულიად მოულოდნელად ამ ამბიდან მცირე ხნის შემდეგ ქართულ კინემატოგრაფზე დადებითი შინაარსის სტატია დავწერე; სახელდობრ, “ექვთიმე ღვთისკაცის“ წარმატებულ ეკრანიზაციას დადებითად გამოვეხმაურე; ამჯერად კონკრეტული ფილმის გამო გამოვხატავ აღშფოთებას, რასაც ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება გაგებით მოეკიდება.

მხედველობაში მაქვს ნომენკლატურის ერთ-ერთი წამყვანი რეჟისორის, გიორგი ოვაშვილის პროვოკაციული ფილმი „ხიბულა“, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის დევნილობის პერიოდსა და მის „საეჭვო“ გარდაცვალებას თვალშისაცემად ტენდენციურად ასახავს. ბუნებრივია, მოწამე პრეზიდენტის ტრაგიკული აღსასრული მომავალი ეპოქების გამოწვევაა, ხელოვნურად „შემოგდებული“ თავსატეხი, ჩვენი სვეუბედური სამშობლოს უწყვეტ უიღბლობასა და ძნელბედობას მარადიულ კონტექსტში რომ მოიაზრებს. ეს თემა დიდი ხანია დაუსრულებელ მითქმა-მოთქმას დაედო საფუძვლად იმის მიუხედავად, რომ ცალსახადაა ნათელი, ზვიად გამსახურდია საქართველოს ერთგულებისთვის მსოფლიოს გავლენიანმა ფიგურებმა (განურჩევლად იმპერიული მიკუთვნებისა და პოზიციისა) თავიდან მოიშორეს. არ შემეშინდება ვთქვა ის, რაც ისედაც ცნობილია: საქართველოს უპირველესი მამულიშვილი ვერაგულად მოკლეს, მისი ცხედრის შებღალვა კი იმდენად დრამატულია, ანტიკური ხანის ტრაგიკოსების გარდა შექსპირიც ვერ მოიფიქრებდა უფრო საზარელი და შემაძრწუნებელი სცენარის შეთხზვას მასშტაბური სიყალბის წარმოსაჩენად. შეთქმულების თეორიის მოწინააღმდეგეთა გამიზნული ქილიკის მიუხედავად აქ სწორედ ამგვარი ჩანაფიქრია სახეზე, რომელიც საერთაშორისო ძალისხმევით განხორციელდა, რაგინდარა ზედაპირული სარჩულის წინ წამოწევით ცდილობდნენ კვალის დაფარვას. ზვიად გამსახურდია ფულის დიქტატურაზე დამეცადინებული მსოფლიოს ახალი წესრიგისა და რესურსების გადანაწილების მესვეურებს თავისი ჯანსაღი პოზიციით გზაზე ეღობებოდა, რის გამოც ულაპარაკოდ გასწირეს და თვითმკვლელობის ყალბი ვერსიის დაკანონებით ამ ვერაგული ჩანაფიქრის ხელოვნურ მისტიფიკაციას დასაბამი დაუდეს. ველური კაპიტალიზმის მეშვეობით საქართველოს მოსახლეობის გაღატაკების გეგმა არახალია და არც ის იწვევს გაოცებას, ნებისმიერი ქვეყნის ისტებლიშმენტი იდეოლოგიური წნეხის გასამართლებლად პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ ხელოვნების მუშაკთა გადაბირებისას მათ მგზნებარე პროპაგანდისტის როლს რომ აკისრებს. პოპულარული რეჟისორების ხვედრი საქართველოში სწორედ ამგვარ ტრადიციულ სამთავრობო გარიგებაზეა გათვლილი. ცალკე თემა, მათუსალასავით უჭკნობი ყველაფრის მკადრებელი ხელოვანები უწყინარი სახეებით

აპოლიტიკურობაზე რომ გაჰკივიან და ცინიკური დემაგოგიით დაბნეულ და სასოწარკვეთილ ადამიანებს მორალს უსინდისოდ უკითხავენ. ეს „დიადი“ რეჟისორები თვითონ პოლიტიკაში არათუ არ ერევიან, არამედ ზემდგომთა დაკვეთას ყოველთვის გულმოდგინედ ასრულებენ და კარდინალური საკითხების გაყალბებით სახელსა და ფინანსურ მდგომარეობას გამალებით იხვეჭენ. მოკლედ, სახიფათო, არაერონული იდეოლოგიის აპოლოგეტობა ერთი შეხედვით უიდეოლოგიო ქვეყანაში მორიგ პარადოქსს ეთანადება და ჩვენს მრავალგვარ ჭირს დამატებით უხსნის გზას...

ზვიად გამსახურდიას მკვლელობა ჩვენი უახლესი ისტორიის უპირველესი და ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და სასტიკი დანაშაულია, რომლის აღიარება არც ოდიოზურ ვარდოსნებს აძლევდათ ხელს, არც მათ კვალზე დამდგარ „ქართულ ოცნებას“ ეპიტნავება და ალბათ არც უახლოეს მომავალში რომელიმე მარიონეტული ხელისუფლების მესვეურების წისქვილზე დაასხამს წყალს. უვადოდ გაჭიანურებული ლუსტრაციის კანონის თავისებურ მანიფესტად იქცა მოწამე პრეზიდენტის მკვლელობა, რომლის „გამოუძიებლობა“ მაღალჩინოსნების ბნელ ზრახვებსა და მათი მანკიერი, არაერონული პოლიტიკის არსს ფარდას ხდის. აქ არ შევუდგები იმის მოყოლას, რომ ზვიად გამსახურდიას უფროსი ვაჟის, კონსტანტინე-ზვიად გამსახურდიას უმნიშვნელოვანესი ნაშრომი: „პრეზიდენტის საქმე“, რომელიც წიგნის ავტორის ღრმაშინაარსიან გამოძიებასა და მრავალწახნაგოვან კვლევას მოიცავს, ყველა ფაქტისა და არგუმენტაციის გათვალისწინებით, რაც ოდენ ბუნებაში არსებობს, ორი წლის წინ ჩემს სატელევიზიო გადაცემაში სათანადოდ გაშუქდა; „ქართული არხის“ სტუდიაში მოწვეულმა რესპონდენტებმა, ცნობილმა პოლიტიკოსებმა და ლიტერატორებმა: თემურ ქორიძემ და კონსტანტინე გასახურდიამ ამ ტრაგიკული აღსასრულის შესახებ მაყურებელს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს; აქვე დავაზუსტებ, რომ საგამოძიებო კომისია პარლამენტის ბაზაზე დაფუძნდა, თუმცა ეს ოდენ ფასადური დამოკიდებულება გამოდგა იმ მნიშვნელოვანი და უაღრესად საყურადღებო დასკვნების წასაყრუებლად, რაც ბატონი კონსტანტინეს ძალისხმევით დადგინდა და გამოიკვეთა. გაწეულ სამუშაოს კვალიფიციური ექსპერტიზა (უცხოური, სხვათა შორის) ცალკე უმაგრებდა ზურგს, მაგრამ როდესაც სიმართლე სახიფათო და არასასურველია, მის ჩასახშობად ნებისმიერ მეთოდს მიმართავენ. ამრიგად, შეკვეთილი, სამთავრობო წრისთვის მისაღები ბუნდოვანი ვერსიების სიმრავლე პასუხისმგებლობის აცილების საუკეთესო საშუალებად იქცა, თავის დაძვრენის უებარ ტაქტიკად, რომელიც თვითნებურ ინტერპოლაციას ფართოდ უხსნის გზას და ახალ მითს

დაუბრკოლებლად ქმნის.

პოსტსაბჭოთა სივრცის ძველი ინერცია – საბჭოური მითების “ახლებური“ გადამღერება კვლავ ძალაშია და ოვაშვილმა სწორედ ამ ხერხს მიმართა, როდესაც პირველ პრეზიდენტზე ფილმის გადაღებას ხელი მოჰკიდა. გონებაგამჭრიახი მკითხველი ულაპარაკოდ მიხვდება, რომ შემთხვევითი არჩევანი გამორიცხულია და ესოდენ მტკივნეული და ფეთქებადი საკითხის მხატვრულ ასპექტში გადატანა პოლიტიკურ ტენდენციურობას ვერ ასცდებოდა. ცალსახა დასკვნის აღიარების შემთხვევაში, რომელიც პირველი, ნამდვილი პრეზიდენტის მკვლელობას სახელწიფოებრივ რანგში დააკანონებდა, სინამდვილე მსგავს კაზუსს ვერ მოითმენდა, მაგრამ ძაღლის თავი სწორედ ამ ხელოვნურ გაბუნდოვანებაში მარხია და ნომენკლატურის ფავორიტიც სწორედ ამ ბერკეტს მოეჭიდა, რათა ისტორიული „გადაცდომისთვის“ მისთვის ვერავის ესაყვედურა; ამდენად, „ხიბულა“ ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ ვერსიას ავითარებს და ამ მცდარ შეხედულებას, როგორც ერთადერთ ჭეშმარიტებას თავზე ჯიუტად გვახვევს. პოპულარული რეჟისორი ამასაც არ სჯერდება და მეტი „ეფექტისთვის“ ზვიად გამსახურდიას როლზე ეროვნებით ირანელ მსახიობს, მაჰჯუბს იწვევს, რომელიც მახრჩობელასავით შეზრდია იმ სინამდვილეს, რისიც სრულიად არაფერი გაეგება. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ ჟესტით ჩვენი ეროვნული თავმოყვა-

რეობა კიდევ ერთხელ რომ დაკნინდა, თითქოს მოწამე პრეზიდენტის როლის გათავისებას მისი თვისტომი ვერ შეძლებდა, საიდანღაც ვიღაც გადამთიელი რომ არ ჩამოეყვანათ და ამ "გაუგებრობაში" არ გაერიათ. არასამთავრობოების მიერ დაგეშილი დემაგოგების საპასუხოდ დავძენ, რომ ამ პატივცემული მსახიობის საწინააღმდეგო ნამდვილად არაფერი მაქვს; არც იმ გარემოებას გამოვრიცხავ, ირანელ არტისტს არ სცოდნოდა ვისი როლის განსახიერება მიანდეს, ვინაიდან ოვაშვილის გარდასახვისა და გაყალბების მასშტაბიდან გამომდინარე, მას ინსტრუქციის მიხედვით მხოლოდ იმ ტენდენციურ ინფორმაციას მიაწვდიდნენ, რაც უყოყმანოდ უნდა ერწმუნა. არამკითხე მოამბეს მრავალჭირგამოვლილი საქართველოს ისტორიის კურსს დაჩქარებული წესითაც დემაგოგების გარდა არავინ წაუკითხავდა. ამიტომ არტისტი ოდენ მსხვერპლია ან ბრმა იარაღი მანკიერი პროპაგანდის მესვეურთათვის, ვისთვისაც ზვიად გამსახურდიას სახელის დისკრედიტაცია უზენაესი დანიშნულებაა. ოვაშვილს კი როგორც ესმის საქართველოს უახლესი ისტორია, ამ ფილმმა (მანამდე სხვა ფილმებმაც) ცალსახად დაასტურა. როდის იყო ნომენკლატურის ფავორიტები ცენზურის გვერდის ავლით ჯადოქრობდნენ, ოვაშვილს რომ ნავსი დაერღვია და გადასაღებ მოედანზე ახალ სპარტაკად გამოჭრილიყო?! ცხადია, ეს მაჰჯუბიც მის გეზმიმართულ სტრატეგიას გამოესალმა თუ მიესალმა, თავად განსაჯეთ! გასაგებია, რომ ბატონი ოვაშვილი ირანული კინემატოგრაფის მგზნებარე ტრფიალია, აკი ცნობილმა კინომცოდნე გოგი გვახარიამ, რომელმაც ჩემდა გასაკვირად "ხიბულა" არა მარტო მხატვრული, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც ობიექტურად დაიწუნა, რეჟისორს არასახარბიელო არჩევანზე ცალსახად მიუთითა და ისიც შეახსენა, რომ ირანული კინემატოგრაფის დაღმავლობის ჟამს აუცილებელი როდია სხვისი სტილი ბრმად გადმოიღო, თითქოს ქართული კინო, სააკაშვილის გამოთქმას თუ დავესესხებით, ახლა იბადება და აკვანში მწოლიარე ჩვილივით უსუსურს გადამეტებული მზრუნველობის ნიშნად ყველაფერი განურჩევლად თავს უნდა მოახვიო. ორიოდე სიტყვა მაჰჯუბისა თუ მახჩუბის (მსახიობმა მომიტეოს თუ მის გვარს ირანული ტრანსკრივციით სწორად ვერ ვწერ) გარეგნობასაც შევაწიოთ, რომელიც ფიზიკურად ზვიად გამსახურდიას სრული ანტიპოდია. ეს ტანდაბალი, ხაზგასმულად შავტუხა აღმოსავლელი კაცი საკმაოდ მაღალ (186 სმ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მაღალია), წარმოსადეგ და მიმზიდველ, ზღვისფერთვალება კოლხ გამსახურდიას არაფრით წააგავს. უფრო მეტიც, მის ფონზე გროტესკულადაც გამოიყურება. საკითხავია, პრეზიდენტთან მსგავსების ეფექტი რამ უნდა შექმნას?! ეკრანი ხომ ადამიანის თვალზეა ფოკუსირებული, სადაც ვიზუალურ ეფექტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრება. გასაგებია, რომ მაჰჯუბის ტიპის მამაკაცი ოვაშვილისთვის უფრო მისაღებია გარეგნული მსგავსების გამო, მაგრამ ეს სინამდვილეს ამახინჯებს; როდესაც ისტორიულ პირს შესახედაობას თვითნებურად უცვლი, ეს სიცრუის გამიზნული ტირაჟირების ტოლფასია. მართალია საქართველოში ბოლო დროს ირანელების, თურქებისა და ინდოელების შემოსევაა, თუმცა ღვთის წყალობით ჯერ ისე არ შერყვნილა ქართული გენი, დასავლეთ საქართველოში ღია ფერის ადამიანის პოვნა გაჭირდეს. სხვათა შორის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ევროპული გარეგნობით გაღიზიანებული რუსები თავიანთ უკიდურესად ტენდენციურ გადაცემებში გამომწვევად გაიძახოდნენ, რომ ზვიადი ლამაზია, რაც მისდამი ქალების ინტერესს ზრდის და მხარდამჭერებს უმრავლებსო. საკითხისადმი ესოდენ ფროიდისტული მიდგომა ცალსახა მიკერძოებაზე მიუთითებს; რუსები ტყუილუბრალოდ არასდროს ისვრიან პროვოკაციულ ლოზუნგს; მათ ამ შემთხვევაში თავიანთი ევროპელობის ბერკეტი ხელიდან გამოეცალათ; ქართველებს ვერ გვიკიჟინებდნენ თუ წამოგვაძახებდნენ „სიშავესა" და გრძელ ცხვირს", ვეღარ დაგვაკომპლექსებდნენ, საკუთარი რასის უპირატესობა ამაყად რომ ექადაგათ, რაც მუდამ ნაცადი კოზირი იყო და ხშირად სათანადოდაც ჭრიდა. მოწამე პრეზიდენტმა თავისი არისტოკრატული გარეგნობით, უძველეს და დახვეწილ ჯიშს თვალშისაცემად რომ ააშკარავებდა, მტრებს ამ მხრივაც გზა მოუჭრა და ამიტომ ცინიკურად ბღაოდნენ რუსის წამყვანი „მუჟიკები": „ლამაზია, ზვიადი, ლამაზი!" სამაგიეროდ ირანელი მაჰჯუბის ეშხით შეზარხოშებულმა ოვაშვილმა მსოფლიო მასშტაბით გააყალბა ზვიად გამსახურდიას შესახედაობა. მთელ დუნიაზე მის ფოტოსურათებს ცალობით ხომ არ ჩამოარიგებენ, არიქა, ეს ირანელი მას ოდნავაც არა ჰგავს, ხალხო, ეს მისი ანტიპოდიაო; სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ზვიად გამსახურდიას სიცოცხლის ჩათვლით ყველაფერი წაართვეს, რაზეც ხელი მიუწვდათ! ცხადია, ეს „დეტალი" ისევე გამიზნულია, როგორც ამ პროვოკაციული ფილმის გაჭიანურებული „სცენარი", სადაც არაფერი ხდება, ფაქტიურად სიუჟეტი არც არსებობს; მხატვრულად უფრო სუსტი და სქემატური ფილმის წარმოდგენა უბრალოდ შეუძლებელია. გაუთვითცნობიერებელი ხალხისთვის აქ ადამიანების გაურკვეველი ჯგუფის ტურისტული, ეპიზოდური გადაადგილებაა ნაჩვენები. ერთადერთი, სამეგრელოს ლამაზი ბუნება წამიერად აქარწყლებს ამ საგანგებო სიმდორესა და თვალშისაცემ ქაოსს, რომელსაც უმნიშვნელო დიალოგიც კი ვერ ამღვრევს; იმის ნაცვლად, საკვანძო საკითხები სწორედ დაძაბული დიალოგების მეშვეობით დასმულიყო და გაან-

ალიზებულიყო, თითქოს დევნილ პრეზიდენტს საფრთხე და განსაცდელი აკლდა , ოვაშვილს "რატომღაც" წარმოსახვა დაეშრიტა და მექანიკურ, უსახურ კადრებს შეეხიზნა! არსადაა სახელმწიფოებრივი აზროვნების ამსახველი თუნაც ორიოდე ეპიზოდი, რაც ცხადყოფს, რომ მოვლენების მიჩქმალვის გაუმართლებელი ტრადიცია კვლავ წარმატებით გრძელდება. ზვიად გამსახურდიაზე გადაღებულ ფილმში სახელმწიფო მოღვაწის უაღრესად ქარიზმატული სახე არსადაა ნაჩვენები. არადა, პირველი პრეზიდენტის გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი და მომნუსხველი ორატორული ნიჭი მის ხასიათს ზედმიწევნით ზუსტად გამოსცემს. პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტის გააზრება ამ ნიუანსების გაუთვალისწინელად წარმოუდგენელია, რაც ფილმის ყურებისას სავსებით უგულებელყოფილია.

ამ შთაბეჭდილებას ხაზგასმულად ცუდი გახმოვანება აძლიერებს. პერსონაჟების ისედაც მწირი და არაფრისმთქმელი საუბარი პრაქტიკულად არ ისმის, თუ ყურადღებას არ დაძაბავ, რაც საკმაოდ დამღლელია და ისედაც უინტერესო სიმდორის ფონზე გამიზნულად გაღიზიანებს. ცალკე აღსანიშნავია მსახიობების საგანგებოდ სუსტი და შეუსაბამო მეტყველება; კერძოდ, მარგველანის როლის შემსრულებელი იმგვარად საუბრობს, ვერასდროს მიხვდები, რომ იგი სვანეთის მკვიდრია და ხმოვნებს თავისებური სპეციფიკის გათვალისწინებით წარმოთქვამს. ცხადია, ამგვარი ტექნიკური ჩავარდნა რბილად რომ ვთქვათ, უცნაურია იმ რეჟისორისგან, რომელიც საერთაშორისო კინოფესტივალებზე დაჯილდოებულია და კინონაწარმის ხარისხის მნიშვნელობის ფასი მშვენივრად მოეხსენება. ამ ფონზე მაჰჯუბს ვინ რას მოსთხოვს, როდესაც სავსებით უშინაარსო დიალოგების გადამკიდე ვერავინ მიხვდება, დევნილები ვინ არიან ან რისთვის გადადგილდებიან. საერთოდაც ამ მცირე ჯგუფს რა მიზანდასახულობა ამოძრავებს, რასაც თანმხლები პირების მიერ უკიდურესად ყალბად და უადგილოდ წარმოთქმული მიმართვა: „ბატონო პრეზიდენტო" მაღალფარდოვნებისა და ხელოვნური გაპრანჭულობის დამღით აძლიერებს. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს სავსებით გაუმართლებელი შტრიხია და უსიამო ასოციაციას აღძრავს. უკმარისობის განცდა ყოველ ფეხის ნაბიჯზე იზრდება და ღრმავდება, რაც ფილმის ჩავარდნებითაა გამოწვეული.

ოვაშვილის ტენდენციურობა ზენიტს აღწევს, როდესაც მას ქართველის გამორჩეულ მუსიკალურ ნიჭში ეჭვი შეაქვს და „ჩემო კარგო ქვეყანას" ისე საცოდავად ამღერებს პატარა გოგონას, ილიას უკვდავი სტრიქონების დაუვიწყარი, ჟრუანტელისმომგვრელი და ძლიერი პათოსი კატის კნავილის ასოციაციას აღძრავს, რაც ასევე საგანგებო ტრიუკია ქართველთა დემორალიზაციისა და ზვიად გამსახურდიას პერსონის დასაკნინებლად. დავიჯერო ევროპაში საერთაშორისო ფესტივალებზე მოსეირნე ოვაშვილს ქართველი საოპერო მომღერლების თავბრუდამხვევ წარმატებაზე არაფერი სმენია?! თუ მხოლოდ ირანში ვიზიტს ანიჭებს უპირატესობას და იქაური ბაიათების ფონზე უებრო ქართული მუსიკა კატის სუსტ კნავილად ეჩვენება?! ვანო სარაჯიშვილისა და ჰამლეტ გონაშვილის ტრადიციებზე სმენაგაფაქიზებული ქართველის მუსიკალური გემოვნება ოდნავაც არ ადარდებს, ოღონდ დაკისრებული მოვალეობა გეგმიური გადაჭარბებით შეასრულოს?! ეს უკვე ცინიზმია; ქართული მუსიკალური ხელოვნებისადმი ხაზგასმულად აგდებულ დამოკიდებულებას ირანულ კინემატოგრაფზე გამიჯნურებული რეჟისორი მეორედ მაშინ ავლენს, როდესაც სრულიად უადგილოდ პრეზიდენტის დაცვის წევრებს „კეკელასა და მაროს" შეასრულებინებს. უშნოდ მროკავი დევნილების ყურება საკმაოდ უსიამოვნოა. ეს ორღობის დავლურია თუ განსაცდელში ჩავარნილი პირველი პირის ირგვლივ გათამაშებული სამასხრო, უგემოვნო სცენა, რომელიც მის ტრაგიკულ განწყობასა და ზოგადად ფილმის შინაარსს აშკარად არ შეეესაბამება. მავანმა შეიძლება შემოგვძახოს, რომ დეტალების ჩაკირკიტება არ ღირს, მაგრამ ეს წმინდა წყლის დემაგოგიაა, რადგან ხელოვნება, მით უფრო კინემატოგრაფი სწორედაც ასეთი სახიერი დეტალებით გადმოსცემს მთავარ სათქმელს, თანაც ქართველთა ცხოვრებიდან, რომლებიც სიმღერას ჭირსა და ლხინში თავიანთი სულიერი მდგომარეობის უმთავრეს გამოხატულებად მიიჩნევენ. ქართული ცეკვა და სიმღერა ერის იდენტობისა და კულტურის საუკეთესო მაჩვენებელია და რა გასაკვირია ნომენკლატურის რეჟისორს სწორედაც აქედან მოეტანა იერიში. ზვიად გამსახურდიას მაღალი მუსიკალური განათლების დონის საპირწონედ მასზე გადაღებებულ ფილმში ესოდენ მდაბიო ჩანართები პირუკუ ეფექტის გამოძახილს იწვევს. თითოეული წვრილმანის გააზრება და ჩვენება მაყურებელზე სათანადო ზემოქმედებას ახდენს, რაც ოვაშვილს არ ეწავლება; ისევე, როგორც სოფლის დედაკაცის წყევლის გახმოვანება წითელ ხალიჩას კონტრასტულად რომ გასდევს; ან რას მოასწავებს შეძახილი „იუდა, იუდა". ასე შევარდნაძეს უწოდებდნენ და არა საკუთარ სამშობლოს შეწირულ ერისკაცსა და მოწამეს – ზვიად გამსახურდიას, თუმცა რეჟისორმა რატომღაც ყველაფერი თვითნებურად გადაასხვაფერა. ფილმში არსადაა ნაჩვენები ხალხის სიყვარული, მხარდაჭერა ან თუნდაც თანაგრძნობა დევნილი პრეზიდენტისადმი, არადა აუცილებელი იყო ისტორიული კადრების გაელვება დახვრეტილი მიტინგების სახით, რაც ცხადია, დამკვეთებს

ხელს არ აძლევდათ, რის გამოც ერთადერთი უბირი დედაკაცის წყევლა-კრულვით შემოიფარგლნენ, რაც მათ ნაწარმზე აშკარად ზედგამოჭრილია. ტენდენციურობასაც საზღვარი აქვს ბოლო-ბოლო! ისტორიული ფილმის გადაღებისას სიმართლის გადაჭრით იგნორირება მიუღებელია, რამაც ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების დამხობა განაპირობა და საქართველო იმპერიების მიერ ხელშეწყობილი და წაქეზებული პუტჩისტების სათარეშოდ აქცია. ამ ჯანგატეხილი ბერიკაცის ჩვენებისას ზვიადის აჩრდილიც არ იგრძნობა, რომელიც გაუსაძლისი პირობების მიუხედავად მხნეობას არ კარგავდა. ეს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი აქ სავსებით უგულებელყოფილია. მთავარი გმირის ხასიათი საერთოდ არ არის გახსნილი. მაჰჯუბის პერსონაჟი გასაცოდავებული ტიკინას შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც უნდობლობის გამო პისტოლეტსა და სათანადო დოკუმენტებით სავსე დიპლომატს უნიათოდ დაათრევს, არავის ხმას არ სცემს, იარაღთან დამოკიდებულებისას მოსალოდნელი თვითკვლელობის ასოციაცია თითქოსდა ირიბად იჩენს თავს, თუმცა ყურადღებიანი მაყურებელი უმალ აცნობიერებს, რომ რეჟისორი საეჭვო სიხშირით ატრიალებს ამ მინიშნებას, რათა კარს მომდგარი ტრაგედია თვითმკვლელობად გაასაღოს. ცალკე საკითხია დევნილი პრეზიდენტის ღრმადმართლმადიდებლური მრწამსი, რაც მის მოწინააღმდეგეებს დამოკლეს მახვილით დაჰღერებიათ. ქრისტიანული სარწმუნოებიდან გამომდინარე, საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა მიუტევებელი დანაშაულია, თუმცა ოვაშვილის პროპაგანდისტულ ფილმში ყველაფერი თავდაყირა დგას. კიდევ ერთი მრავლისმეტყველი „დეტალი“: დევნილი პრეზიდენტი თითქოს სასხვათაშორისოდ ამბობს, რომ საქართველო ქართველებისთვისაა, რაც მტკნარი სიცრუეა; მას ანალოგიური განცხადება არასდროს გაუკეთებია და ეს პროვოკაციული ბრალდება მტრების გაუთავებელ მონაჩმახის პროვოკაციული გამეორებაა, ქრისტიანული მრწამსით გამორჩეულ მმართველს ფაშისტის იარლიყს საერთაშორისო საზოგადოების თვალში განგებ რომ აწებებდნენ. ბედის ირონიაა სწორედ, რომ ზვიად გამსახურდიამ კრიმინალების ალაგმვასა და ძალადობრივი მეთოდით დაპრისპირებას, რის უფლებასაც სხვათა შორის კანონი ანიჭებდა, ამბოხებულ რენეგატებთან მშვიდობიანი მოლაპარაკების გზა აირჩია, მათ იარაღით არ დაპირისპირებია, ვინაიდან საქართველოს სასაკლაოდ გადაქცევას უფრთხოდა, და უცებ, პუტჩისტები და მათი მიმდევრები ამდენი წლის შემდეგ მას ადრინდელი ინერციით დიქტატორობას მიაწერენ, ფაშისტურ ფრაზებს ხელახლა აჟღერებენ, რაც სრული ნონსენსია. საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც ამ განხრით გააქტიურდა რეჟისორი, რომელიც ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ღვაწლსა და სასიკეთო რეფორმების გატარებაზე საეჭვოდ დუმს?“ აქ ყალბი მემუარების თემა ცალკე გასათვალისწინებელი ფაქტორია; ცხადია, ოვაშვილი თავის ფილმში სწორედ იმ “მიუკერძოებელი მემუარისტების“ თვალსაზრისს უჩვენებს, რაც თავად ხელს აძლევს. აკი მანამდე პუბლიკის გასაგონად დაუფარავად განაცხადა, რომ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებას არასდროს ემხრობოდა. ამგვარი აღიარების შემდეგ სავსებით გასაგებია მას ესოდენ საეტაპო ფილმის გადაღება რატომაც მიანდეს. დაკეთილი კინონაწარმის მეშვეობით საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს პირველი პრეზიდენტის სახელის გატეხვის მცდელობა არაეროვნულად მოაზროვნე ნომენკლატურისთვის კვლავ უპირველეს და გადაუდებელ იდეაფიქსად რჩება. ამიტომაც გააფთრებით ეწინააღმდეგებიან ყველაფერს, რაც ზვიად გამსახურდიას სახელს სათანადოდ წარმოაჩენს. ისტორიის გაყალბების კვალდაკვალ მომავალი თაობების დეზორიენტირება კარგად დავიწყებული ძველი სენის, კომუნისტური პროპაგანდის უშუალო გაგრძელებაა და ბატონი ოვაშვილი ერთ-ერთ ენთუზიასტ „რევოლუციონერ“ რეჟისორს წააგავს; იმ წინამორბედთა უშუალო ნაშიერია, 90-ან წლებში სამშობლო პირად კეთილდღეობას წარბშეუხრელად რომ ანაცვალეს და დღესაც იმავე პოზიციიდან ჯიჯგნიან და მტრობენ საქართველოს!

ნომენკლატურა მიზნის მისაღწევად ბინძურ მეთოდებს არასდროს თაკილობს. ჩვენი უახლესი ისტორია ამ თვალსაზრისითაც გამორჩეულია. პიროვნების „გაშავების“ უნიკალური სისტემა კვლავ სახეზეა და მედროვეების უზნეობას სახიერად წარმოაჩენს. ოვაშვილი აქაც სათანადო სიმაღლეზე აღმოჩნდა. პირდაპირ აღმაშფოთებელია ე.წ. სექსუალური სცენა, როდესაც დევნილი პრეზიდენტი შემთხვევით დაცვის წევრისა და სოფლის ერთ-ერთი მკვიდრის „ალერსს“ გადააწყდება და ამ ამაზრზენ სცენას ქალთა მუსუსის სიხარბითა და მონატრებით შესქერის. ზვიად გამსახურდიას ვინც იცნობდა, ყველამ იცოდა რაოდენ შორის იდგა იგი ამგვარი თავაშვებულობისგან, მაგრამ საბაზრო ეკონომიკაზე გათვლილი უხამსობის იარლიყის ქვეშ გაცილებით მზაკვრული ჩანაფიქრი იკითხება; ალენ დალასისეული დოქტრინის პოსტულატი თვალს ჭრის; შეურაცხყონ ავტორიტეტული პიროვნებები, რათა ხალხმა ღირებული იდეის რწმენა დაკარგოს და განუკითხაობის ფონზე ხელჩაქნეული უზნეობის მორევში უყოყმანოდ გადაეშვას. აქვე დიდი მწერლისა და მამულიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, ადამიანს ის უნდა დააბრალო, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე ებრძვის, რათა მისი მორალური სუ-

ლისკვეთება გატეხო და საყოველთაო დისკრედიტაცია მიუსაჯო. მსგავსი უგვანობის ჩვენება სწორედ ამ მიზანს ემსახურება და რეჟისორის უკან ამოფარებული ადამიანების შავბნელ ზრახვას კინემატოგრაფიულად აშიშვლებს. ამგვარივე დეტალის „ეფექტს“ ქმნის პრემიერ-მინისტრის მიერ საცვლების რეცხვა მდინარეში, როდესაც მუნჯი ალის როლში მყოფი საკმაოდ გავლენიანი თანამდებობის პირი ყველას თვალწინ დედიშობილა წარსდგება. დაცვის წევრების გამხიარულების ფონზე მაჰჯუბიც იღიმება. დიახ, ეს ირანელი არტისტი-მარიონეტი; ზვიად გამსახურდია რომ ამგვარ სცენას სიცილ-კისკისით არ შეეგებებოდა, ამას ახსნა არ სჭირდება! როგორც ჩანს, უხამსობის თუნდაც ეპიზოდური ვაქცინის შეშხაპუნებით ოვაშვილი ზვიად გამსახურდიას, როგორც გამოკვეთილად მორალური პიროვნების გაბიაბრუებასა და დამცრობას გეზმიმართულად ცდილობს. სხვაგვარად ესოდენ უბადრუკი ჩანართის აღქმა გამორიცხულია.

კინემატოგრაფის ზეგავლენის მასშტაბების გათვალისწინებით ისტორიული ჟანრის ფილმებისა და ე. წ. ბლოკბასტერების, იგივე ეპოპეის გადაღება არა თუ წამყვანი, არამედ ნაკლებადგანვითარებული, თუმცა სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე პრეტენზიის მქონე ქვეყნების მზარდი სურვილია, რომლებიც თანამედროვე მსოფლიო რუკაზე ღირსეული ადგილის დამკვირებისკენ მიისწრაფვიან და ხშირად საკუთარი წარსულისა და გამორჩეული ადამიანების იდეალიზირებით მეორე უკიდურესობაში ვარდებიან. ღვთის წყალობითა და განჩინებით, ჩვენ თავდადებული მოღვაწეების ნაკლებობას ნამდვილად არ განვიცდით, ცალე საკითხია, ვინ როგორ დაფასდა, რაც მომავლის საქმეა; ზვიად გამსახურდიას არავითარი შეღავათი არ სჭირდება ამისთვის და აქედან გამომდინარე, მისი ღვაწლისა და ბიოგრაფიის გაუკუღმართების მცდელობა ოდენ მოდური ექსპერიმენტის ფარგლებს სცილდება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, ისტორიულ ფილმებს ახალგაზრდების ცნობიერებაზე რაოდენ ძლიერი ზეგავლენა გააჩნიათ. პოლონეთში სენკევიჩის რომანების ეკრანიზაციამ 30 წლის შემდეგ სასურველი ნაყოფი გამოიღო; ისედაც მაღალი პატრიოტული შეგნებით გამორჩეული პოლონელები უფრო გაძლიერდნენ; ჩვენში ყველაფერი პირუკუ ხდება, რადგან ვისაც არ ეზარება, ჩვენს ღირსეულ წინაპრებს ლაფს ასხამს. სწორედ ამგვარ მედროვეებს უპყრიათ ხელთ სამოქმედო ბერკეტები და ეს სულგაყიდული მანქურთები ისე ჭრიან და კერავენ, როგორც ზევიდან არიგებენ და მუშტრავენ. ოვაშვილს ხალხის რეაქციაზე ოდნავი წარმოდგენა რომ ჰქონოდა, თავისი პროვოკაციული ფილმის პრემიერაზე ამაყად არ გამოცხადდებოდა, თუმცა საჯარო ბიბლიოთეკაში მის ვიზიტს უხმაუროდ არ ჩაუვლია. ნომენკლატურის ფავორიტმა „ზვიადისტებისგან“ სამართლიანი კრიტიკა იწვნია და აპლოდისმენტების ნაცვლად გაკიცხვა და საყვედური იგემა. ასეა, როცა ყალბისმქნელობას ხელოვნებად ასაღებ და გგონია, საერთაშორისო ჯილდოების დახმარებით იმ ადამიანებს გააჩუმებ, ვინც 90-იანი წლების ქარტეხილების მონაწილეა და უახლესი ისტორია დემაგოგებისგან ნამდვილად არ ესწავლება!

და კიდევ ერთი: ფილმის დაგემოვნება სწორედ იმ ადამიანების გვერდით მომიხდა, რომელთაგან ერთი, ცნობილი ჟურნალისტი და მრგვალი მაგიდის ვიცე-სპიკერი, ბატონი ვახტანგ ბახტაძე ეროვნული მოძრაობის აქტიური წევრი და მერაბ კოსტავას მეგობარი, ზვიად გამსახურდიას საკმაოდ კარგად იცნობდა, რის გამოც ფილმის მსვლელობისას აღშფოთებული კომენტარების გახმოვანებას არ ერიდებოდა; ამავე პოზიციას იზიარებდა უაღრესად განსწავლული ისტორიკოსი ,ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ბათუმელი „აქტივისტი“, ბატონი გოგი ფირცხალაიშვილი, რომელმაც ოვაშვილის მზაკვრული ჩანაფიქრი ფაქტების გაანალიზების ფონზე გაათვალსაჩინოვა. მოკლედ, ჩვენი რეპლიკები დამოუკიდებელ ფილმს დაედებოდა საფუძვლად. რომ იტყვიან, აქ ფილმის ორი, სიუჟეტის სიუჟეტში ჩართვის სტილი მოქმედებდა, რომლის დროსაც ოვაშვილის „შედევრს“ ცხელ კვალზე ვაფასებდით და განვიხილავდით. აქვე დავძენ, რომ ფილმის დასრულებისთანავე ორგანიზატორებმა, ახალგაზრდა, ჯანსაღად მოაზროვნე სტუდენტებმა და დოქტორანტებმა დამსწრე საზოგადოება სადისკუსიოდ იქვე, თსუ-ს ზვიად გამსახურდიას სახელობის აუდიტორიაში მიიწვიეს. თავყრილობას ბ-ნი ვახტანგ ბახტაძე უძღვებოდა. საინტერესო და მძაფრი გამოსვლების ფონზე თქვენმა-მონა-მორჩილმაც გამოხატა საკუთარი პოზიცია; სახელდობრ, ახალგაზრდებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა; უპრიანია აქვე დავაზუსტო, რამ მიბიძგა ახალგაზრდებისთვის მიმემართა; ერთ-ერთმა მათგანმა მღელვარედ განაცხადა, რომ მათ ეროვნული ხელისუფლების პერიოდზე ან ყალბ ინფორმაციას აწვდიან ან საერთოდ ჩქმალავენ ზვიად გამსახურდიასდროინდელი საქართველოს ისტორიას, რაც არაეროვნული, არასახელმწიფოებრივი აზროვნების კლასიკური მაგალითია და ქვეყანას საბჭოთა კავშირისდროინელი იდეოლოგიის საფრთხეს უქმნის. ნეოლიბერასტების ხაზგასმული მსგავსება კომკავშირელებთან ამ დამღუპველი პოლიტიკის უშუალო გაგრძელებაა; ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მოსკოვს უთანხმებენ ყველაფერს, ვაშინგტონს, სტრასბურგს თუ სამივეს ერთად, რაც სრული მონობისა და უხერხემლობის მაჩვენებელია. მსგავსი ცენზურის წნეხში გამოტარებუ-

ლი ახალგაზრდების წრეგადასული გარდაქმნა ცივსისხლიან კარიერისტებად, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ ამ გზით მიაღწევენ წარმატება, სამწუხაროდ, შეუქცევადი პროცესია და ისედაც რთული ვითარების უკიდურესი ფორმით დამძიმებას უწყობს ხელს. ქართველი ახალგაზრდების ინერტულობა ამ თვალსაზრისით გადაუჭარბებლად რომ ითქვას, საგანგაშოა; "მე განსაკუთრებულად ჩემი, ქართველი ახალგაზრდა მეცოდება- უნიჭიერესი და უვიცი, არასწორი წარმოდგენებისა და ფუჭი ილუზიების ტყვე. შენ რომ არ გისმენს, არაფრად რომ აღარ გაგდებს, ეს კიდევ არაფერი, ამას შენც მოინელებ, რა თქმა უნდა, მაგრამ შეიძლება მართლა გაგისკდეს გული, როცა საკუთარი თვალით ხედავ, როგორ ბრმად ენდობა ნებისმიერ სულგაყიდულ სინდისგარეცხილ მედროვეს, რომელიც აშკარად პირადი გამორჩენის მიზნით, ანდა კიდევ უარესი, სხვა, უფრო დიდი მედროვის ფარული მითითებების შესაბამისად, დაუნანებლად სვრის, ბილწავს, ასახიჩრებს ირგვლივ ყველაფერს, აკნინებს, აბითურებს წმინდა ცნებებს, ეჭვის ქვეშ აყენებს საუკუნეობით დადგენილსა და დაკანონებულს. პირუტყვულ თავისუფლებას ქადაგებს ზნეწამხდარ ოჯახებსა და ფუნქციადაკარგულ სკოლებში..."- დიდი ქართველი მწერლის, ოთარ ჭილაძის მწარე დაკვირვებითა და გამოცდილებით ნასაზრდოები შემაშინებელი სიმართლე სწორედ ამ გამრუდებულ ღერძზე გადის და გვაიძულებს ესოდენ საგანგაშო სინამდვილეს მზერა გავუსწოროთ და მის წინააღმდეგ ორგანიზებულად გავილაშქროთ. უღირსი უფროსთაობელი კონფორმისტების მაგალითზე დაგეშილი უმცროსების ცვლა სანუგეშოს ვერაფერს გვპირდება; სტატისტიკის გათვალისწინებით, თუნდაც ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების თანატოლებისგან განსხვავებით, რომლებიც ეროვნულ მრწამსს სერიზულობითა და გაგებით ეკიდებიან, ჩვენთან ეს მხოლოდ ფასადური ნიღაბია , კარიერული წინსვლის შესაძლებლობის გამოჩენისთანავე უმალ რომ ხუნდება და უზომო ძალაუფლების მოპოვების მწველ სურვილს უმორჩილებს.

ცხადია, ოვაშვილის პროვოკაციული ფილმი სწორედ ამგვარ მყიფე, მერყევ, ოდენ კარიერისტული მისწრაფებებით გონებადაბნელებულ ახალგაზრდობასა და ორმაგ ავანტიურისტებზეა გათვლილი, რომლებიც სხვადასხვა პრესტიჟულ დაწესებულებებში ასგზის ათვალწუნებული სამშობლოს წინააღმდეგ გადამთიელი ზედამხედველებივით შესაშურად ირჯებიან და მსხვილი ფინანსების ეშხით გამოუცდელ ახალთაობელებს იდეოლოგიურ შხამს გულმოდგინედ უმარჯვებენ. „ხიბულა" სწორედ ამის მკაფიო ილუსტრაციიაა და ცხადია, ორმაგად მისასალმებელია სტუდენტების პოზიცია, რომლებმაც ესოდენ სახიფათო ფილმი გააზრებულად გააპროტესტეს; წინა დამუნათებით დამფრთხალი რეჟისორი უნივერსიტეტში გამართულ განხილვაზე არ გამოჩენილა; როგორც ჩანს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ამტყდარი უსიამოვნო ინციდენტის შემდეგ ახალ კონფლიქტს გამიზნულად გაერიდა, რითაც მორიგი სკანდალი თავიდან აიცილა. ასეა, როდესაც დაკვეთას ბრმად ასრულებ და საყოველთაოდ შერცხვენილი სამხედრო ტყვესავით ემალები საზოგადოებას, რომლის აზრსაც აგდებით ეკიდები და ანგარიშს არ უწევ! არადა, ბატონ ოვაშვილს ეგონა, კეისრის საკადრის ტრიუმფს არგუნებდნენ წილად, როგორც ამას მისი ფარისევლური გარემოცვა წინასწარმეტყველებდა, ვისაც მიაჩნია, რომ ძალისა და ფულის დიქტატურით ყველას დამორჩილებაა შესაძლებელი. მადლობა ღმერთს, გაუსაძლისი პირობების მიუხედავად ეროვნული ძარღვი მაინც ფეთქავს და მას ვერასდროს ამოძირკვავენ, სანამ მოწამისა და მოღალატის გარჩევის უნარი იარსებებს.

და ბოლოს, 60-იან წლებში, როდესაც ამერიკელებმა "ვეფხისტყაოსნის" ეკრანიზაცია მოიწადინეს და ტარიელის როლზე ალენ დელონი წარადგინეს, ეროვნული თავმოყვარეობის ნიშნად ქართველებმა ესოდენ "ხელსაყრელი" წინადადება უარყვეს, დღეს კი ბედის ირონიით საქართველოს მოწამე პრეზიდენტის როლში ირანელი მაჰჯუბი გამოჭიმეს, ისე, რომ ჩვენთვის არავის უკითხავს, გვსურდა თუ არა ეროვნული გმირის სიმბოლოდ მიჩნეული მამულიშვილი ვიღაც გადამთიელის სახით ეკრანზე დამკვიდრებულიყო და მასშტაბური სიყალბით საუკუნის შემზარავი მკვლელობა დამახინჯებულად გაეპიარებინა. სიცრუე, რომლის დაფარვა ქართულ სახელმწიფოებრიობას უმძიმეს დარტყმას აყენებს და კვლავ უკან, უფსკრულისკენ გვეწევა! აქედან გამომდინარე, ვინც „ხიბულას" ნახვის შემდეგ "ნეიტრალურ" პოზიციას გამოავლენს, ძნელი მისახვედრი როდია, მას საქართველო რამდენად უღირს და ეძვირფასება!

14.09.2018.

დალილა ბედიანიძე

გასაღები

დამეკარგა ლექსის გასაღები
და ლექსს, როგორც აუღებელ ციხე-სიმაგრეს,
ირგვლივ ვურბენ და ამაოდ ვცდილობ,
შესასვლელი მოვუნახო.
გონებას ნისლის ბოქლომი ადევს,
ჩაკეტილია და წყვდიადში გამოხვეული,
დამეკარგა ლექსის გასაღები.
სიტყვები აღარ ჰგვანან ჯარისკაცებს,
რომლებიც სიცოცხლისთვის იბრძვიან
და ბრძოლის ველზე – დაწერილ ფურცელზე
ყიჟინით გადარბიან.
სული ამევსო მკვდარი სიტყვებით
და დაემგვანა საძმო სასაფლაოს,
დამეკარგა ლექსის გასაღები,
ვეღარ შევდივარ ლექსში, როგორც
აუღებელ ციხე-სიმაგრეში.
განელდა ლექსის კოცონი და ისე შემცივდა,
თითქოს არასდრო არ მენახოს ცეცხლი, ანდა – მზე.
ვეღარ შევდივარ ლექსში, როგორც შინ
და ვჩურჩულებ: „სეზამ, გაიღე!"

გალაკტიონს

მე გაღიარებ, როგორც გენიოსს,
მაგრამ არ გბაძავ და არ მოგყვები.
ხმაში სიკვდილი დაე, გერიოს,
რომ კითხულობენ ცაზე მოგვები.
დაე, თვითმკვლელი და განწირული
თვითონ უფალმა არ მიგიკაროს,
სიკვდილმა გითხრას ძილისპირული
და მოსვენება გაღირსოს არროს!
არავის ჰყავდა შენსავით მტერი,
მარტო არ იყო არვინ შენსავით,
პოეზიისა არ იყავ გერი,
იყავი შვილი და საესავი.
თვით სიკვდლშიაც რაინდად დარჩი
და გამოგესხა ნანატრი ფრთები,
ცა – შემოსილი ღრუბლების ფარჩით
ისე შეიძრა, რომ ახლაც ვკრთები.
ვერ მოგესწარი და გული მწყდება,
რომ არ მინახავს გალაკტიონი,
მოდის ლექსები წყება და წყება,
დაუშრეტელი, როგორც რიონი.
მე გაღიარებ, როგორც გენიოსს,
თუმც ზოგიერთნი ახლაც გიყეფენ,
ხმაში სიკვდილი დაე, გერიოს!
იყავი, ხარ და დარჩები მეფედ.

ვილლანელე 1

თენდება და მზე ამოდის ნარნარი,
ეს მზე ჩემთვის მარადისი ქნარია
და სხმარტალებს ისე, როგორც ჭანარი
და ღრუბლები იპობიან ზანზარით,
აქ სამყაროს ღვთით გახსნილი კარია,
თენდება და მზე ამოდის ნარნარი
და იწყება ღვთაებრივი ზღაპარი,
ყოველივე სულს როგორ უხარია.
დასაწყისი სიცოცხლისა აქ არის
და მზეს – მერანს უფრიალებს ფაფარი,
აქ სიზმრების, ჩვენებების მხარეა,
თენდება და მზე ამოდის ნარნარი.
საქორწინო ღვინით სავსე მარანი
და სინათლის დაუშრობი ღვარია.
მლოცველებით გატენილი ტაძარი
და თევზებით დაჭორფლილი დარანი,
რეკავს მზე და აი, ეს მზე ზარია.
თენდება და მზე ამოდის ნარნარი
და სხმარტალებს ისე, როგორც ჭანარი.

ვილლანელე 2

ღმერთო, მომეც სიჯიუტე ბალახის,
რათა დარდის ქვები გამოვარღვიო
და მოგითხრო, ქვის ქვეშ რა მაქვს ნანახი,
დავინახო, რა მაქვს გადასალახი.
და ავწიო მაღლა ზეცის თაღიო
ღმერთო, მომეც სიჯიუტე ბალახის,
რომ ვიბრძოლო მხოლოდ შენი კარნახით
და ქვითინი სიხარულში აღვრიო,
დავივიწყო, ვინა ვარ და ან რა ხნის,
სიტყვის ოქრო ავრწყა ლექსის ჩანახით,
გავამარჯვო მხოლოდ აზრი საღიო.
ღმერთო, მომეც სიჯიუტე ბალახის.
დაე, მქონდეს მე სიმაღლე არა ხის,
მაგრამ ვიყო ძლიერი და ლაღიო,
გავიხარო გახსნილ ზეცის დანახვით,
დავინახო, რა მაქვს გადასალახი
და შევამკო გაზაფხულის ბაღიო.
ღმერთო, მომეც სიჯიუტე ბალახის,
რომ მოგითხრო, ქვის ქვეშ რა მაქვს ნანახი.

***

ყველა მოდის, ვინც არ მიყვარს,
და ვინც მიყვარს, ის კი არ ჩანს.
მინდა, ვუთხრა ერთი სიტყვა,
რაც რომ ჯერ უთქმელი დამრჩა.

წავიდა და დაიკარგა
უცნობია გზა და კვალი,
სახილველად აღარ ვარგა,
რასაც ახლა ხედავს თვალი.

რატომ მაშინ არ ვუთხარი,
როცა იყო აქ, ჩემს გვერდით?
აღარ მაქვს იმედი ხვალის,
ველარ ვწერ, როგორც რომ ვწერდი.

ჩაქრა ცეცხლი, ჩაინავლა,
მისი ლანდიც აღარ მოჩანს,
სხვა ლანდები ჩანან მრავლად,
ის კი – აღარ... გაქრა, მორჩა!

ყველა მოდის, ვინც არ მიყვარს,
ვინც კი მიყვარს, აღარ მოდის.
დრო გაჩერდა, წინ ვერ მომყავს
სიტყვა, ვით სიზიფეს ლოდი.

***

ცად ჩანს დარის ნიშნები,.
დაფრინავენ გედები,
ზღვაო, ნუ დაგვიშრები!
მტკვარო, ნუ დაბერდები!

ქარმა თავისუფლების
დროშა ააფრიალა.
გველოდება სუფრები,
ვით ირემი – იალაღს.

იყვავილეთ, ვარდებო,
მარადმწვანე ტყეებო
და ბლებო საადრეო,
გაზაფხულის ტყვეებო!

მორჩა, გამოიდარა,
წვიმაშიც კი დარია,
ჟღერს ათასი გიტარა
და ეს გულს უხარია.

ჭიკჭიკებენ ჩიტები,
გალობს დედა-ბუნება
გვილოცავენ ტიტები
სამშობლოს დაბრუნებას.

ზეცა მოწმენდილია,
არსაით ჩანს ღრუბელი,
მკვდრეთით აღდგა ილია,
მომსწრე თავისუფლების.

ცად ჩანს დარის ნიშნები,
დაფრინავენ მტრედები...
ზღვაო, ნუ დაგვიშრები!
მტკვარო, ნუ დაბერდები!

***

ხარ იდუმალი, როგორც კავალა,
როგორც ფალესტრად სახელდებული,
ქალთა არმიის შთამომავალი
და ამორძალთა ლამაზ კრებულის.

მშვილდივით მძაფრად მოგხრია ტანი
და წამწამები ისრის ტოლია,
დაგინახე და მყისვე გიცანი
სურნელოვანი, ვით მაგნოლია.

საიდან მოხველ და საით მიხვალ?
წინაც, უკანაც მხოლოდ გზებია.
ო, შენს თვალებში ბრიალებს რისხვა
და ცეცხლი წმინდა დანაგზნებია.

მშვენიერების გქვია სახელი,
ო, შენი სუნთქვა ნელ სიოს მოჰგავს,
რა საიდუმლო გაქვს გასამხელი?
ო, გული ვნებით ვინ აგიტოკა?

ხარ იდუმალი, როგორც კავალა,
ბედნიერება შენი ხვედრია.
ო, დაგელოცოს ეგ გზა-სავალი,
გზა – ცხენივით რომ გასახედნია!

***

მთვარემ ღრუბლების კაბა გაიხადა
და შიშველი გამოვიდა ზეცის სცენაზე,
სხივები თმებივით გაშლია
და ცეკვავს, ცეკვავს თავდავიწყებით.
დედამინა გაოცებული შეჰყურებს
და ხეები ტაშს უკრავენ აღტაცებული,
რა ლამაზია შიშველი მთვარე!
რა ლამაზია მისი ღიმილი,
მისი თმები და მისი სხეული!
არ გეგონოთ, ღამ-ღამობით მიწას ეძინოს,
ყოველღამ იმართება მთვარის სტრიპტიზი
და როცა სძინავთ ადამიანებს,
ამ სამყაროში საოცარი ამბები ხდება.
განთიადისას მთვარე ისევ ჩაიცვამს ღრუბლებს
და ფეხაკრეფით გაიპარება კულისებში,
სადაც ახლად გაღვიძებული მზე ემზადება
გამოსასვლელად.
ეს ყველაფერი მე თვითონ ვნახე
და მას შემდეგ აღარ მძინავს განთიადამდე,
შევყურებ მთვარეს, დიდ მსახიობს
და მეჩვენება, რომ ლექსებს ამბობს აცეკვებული,
მე კი ამ ლექსებს ვიწერ და ვიწერ.

ნანა კოტეტიშვილი

ვახტანგ კოტეტიშვილის ბედისწერა

(საარქივო მასალების მიხედვით)

ვახტანგ კოტეტიშვილი მე-20 საუკუნის 30-იანი წლების იმ ეროვნულ მოღვაწეთა ბრწყინვალე პლეადის წარმომადგენელია, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის მეცნიერული კვლევის საფუძვლების ჩაყრასა და განვითარებაში. ის იყო მრავალმხრივი შემოქმედი, საზოგადო მოღვაწე და პედაგოგი. მან, როგორც რენესანსულად მოაზროვნე პიროვნებამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მრავალ მოვლენას „მოხვია ხელი“ და „ერთ მთლიანობაში აძერწა”. ასეთ ერთ მთლიანობაშია აძერწილი მთელი მისი შემოქმედება ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

მძიმე დრო იდგა საქართველოში... ბორგავდა საქართველო... განადგურება ელოდა ჩვენს ეროვნულ საგანძურს. ვახტანგ კოტეტიშვილი, როგორც ეროვნული და დიდად ერუდირებული პიროვნება, თავისთავადი ბუნებით, მგზნებარე ტემპერამენტით და სიახლის ძიების დაუოკებელი სურვილით აღსავსე, თავისი მრავალმხრივი შემოქმედებით წინ აღუდგა ამ მძიმე სინამდვილეს. მისი დიდი ორატორული ნიჭით წაკითხული ლექციებიც, განსაკუთრებით ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, ამ მიზანს ემსახურებოდა. ვახტანგ კოტეტიშვილი იყო ლიტერატორი, ფოლკლორისტი, კრიტიკოსი, ესეისტი, სოციოლოგი, ხელოვნებათმცოდნე, ფერმწერი და მოქანდაკე. „იგი ხელოვნებისათვის იყო დაბადებული და პირადი ცხოვრებითაც ხელოვნებას განასახიერებდა”. (გ. ჯიბლაძე)

საკუთარი სამეცნიერო გამოკვლევების მისეული, მოკრძალებული შეფასებისა და თავისი თავის „მორიგ მუშად” მოხსენიების გამო „ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში”, მას „რაინდი მეცნიერი” უწოდეს. ვახტანგ კოტეტიშვილს შუასაუკუნეობრივ რაინდულ შემართებასთან ერთად, თანამედროვე ევროპული თვისებებიც უხვად ჰქონდა მომადლებული. არისტოკრატული გარეგნობის ულამაზესი კაცი, განუშორებელი შავი ბაფთით, სხვა სამყაროდან მოსულ ზღაპრულ გმირს უფრო ჰგავდა, ვიდრე რეალურ ადამიანს. ქუჩაში შავი ჩოხით მისი გამოჩენაც პროტესტად ჩანდა, კომუნისტური ტირანიის წინააღმდეგ.

ამ დიდებული ადამიანის ცხოვრების გასაცნობად ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო სხვადასხვა არქივებში შემონახული მისი ავტოგრაფებია: ავტობიოგრაფია, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი შრომების სია, სხვადასხვა დროს შევსებული კადრების აღრიცხვის ფურცლები, მეცნიერ-მუშაკთა სააღრიცხვო ბარათები, გამოკვლევების ხელნაწერები, პირველი ფოლკლორული ექსპედიციების ანგარიშები, მის მიერ ჩაწერილი ფოლკლორული მასალა, ლექციების კონსპექტები და სხვა.

ვახტანგ კოტეტიშვილი დაიბადა 1892 წლის 25 ოქტომბერს სოფ. დიდ თონეთში (ალგეთის ხეობა) მღვდლის ილია კოტეტიშვილის ოჯახში. კოტეტიშვილების გვარი დასაბამს იღებს ვინმე კოტეტისაგან. მათი საცხოვრისი და ადგილ-მამულები კი ქართლის სოფ. კავთისხევში იყო. კოტეტიშვილები ტახტის აზნაურებად იწოდებოდნენ და მოხსენიებულნი არიან გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ თავად-აზნაურთა სიაშია.

მამა ილია სოფ. დიდ თონეთში მღვდლად იყო განწესებული, სადაც დასახლდა თავისი ახლადშექმნილი ოჯახით, იქ დაიბადნენ ვახტანგი და მისი და-ძმები. მამა ილია გამოირჩეოდა თავისი გარეგნობით, იყო ახოვანი, წარმოსადეგი, სანდომიანი, ენაწყლიანი და ტკბილმოუბარი.

ვახტანგის დედა გახლდათ ეკატერინე (კატო) ბიძინაშვილი ქართლის სოფ. კარბიდან. კატო იყო ცოცხალი, საკმაოდ ნაკითხი და ხალხური პოეზი-

ის კარგი მცოდნე. პოეზიისადმი სიყვარული მან ბავშვობიდანვე ჩაუნერგა თავის შვილებს: ივლიტას, ვახტანგს, გიგოს და ლადოს, რაც შემდეგ გადაეცა მთელ კოტეტიანთ შთამომავლობას.

ბავშვები ჯერ კიდევ პატარები იყვნენ, როცა მამა ილია სვეტიცხოვლის მთავრად აკურთხეს და ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა მცხეთაში, სვეტიცხოვლის გალავანში მდებარე სახლში. აქ, სვეტიცხოვლის მადლიან ფრთებქვეშ იზრდებოდნენ მამა ილიას შვილები 9 წლის მანძილზე. აქვე გაიარეს დაწყებითი სწავლების კურსი, მცხეთის სამრევლო სკოლაში. შემდეგ თბილისში გადმოვიდნენ თავიანთ საგვარეულო სახლში მთაწმინდაზე, კოტე მესხის №18-ში. ამ სახლის მეორე სართული 12 წლის ვახტანგს ისე კარგად მოუხატავს, რომ გაკვირვებას იწვევდა მნახველებში. ბავშვობაში გამოვლენილ ხატვის დიდ ნიჭს მოგვიანებით ელოდა სრულყოფა.

მამა ილია თბილისში გადმოსვლის შემდეგ იყო წმ. სამების, პეტრე-პავლეს ეკლესიების მღვდელი და ბოლოს მამა დავითის ეკლესიის დეკანოზი გახდა.

ვახტანგმა და მისმა ძმებმა ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელი, შემდეგ კი სასულიერო სემინარია დაამთავრეს. 1891 წელს ვახტანგი პეტერბურგს მიემგზავრება. წარმატებით აბარებს გამოცდებს ფსიქო-ნერვოლოგიურ ინსტიტუტში პედაგოგიკის ფაკულტეტზე ფსიქო-ნევროლოგიური განხრით. მას აქ ასწავლიდნენ ისეთი ცნობილი პროფესორები, როგორებიც იყვნენ: ვენგეროვი, ანიჩკოვი, დე-რობერტი, ჟაკოვი და სხვები. ვახტანგი ერთიანდება ლიტერატურულ წრეებში და ჟაკოვის „მსოფლიო ზღაპრის წრეში", სადაც ყველა ქვეყნის ფოლკლორს ასწავლიდნენ. სწორედ ამ წრეებში მიღებულმა ცოდნამ იქონია გავლენა ვახტანგ კოტეტიშვილის დიდ ფოლკლორისტად ჩამოყალიბებაში.

ვახტანგი და მისი მეგობრები მე-4 კურსზე პარალელურად ტარტუს უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ. ამ დროიდანვე იწყება ვახტანგის შემოქმედებითი ცხოვრება. 1913 წელს „სახალხო გაზეთში" იბეჭდება ვახტანგ კოტეტიშვილის პირველი ერთთაბახიანი სტატია: „საზოგადოებრივი მოტივები არჩილისა და დავით გურამიშვილის შემოქმედებაში".

პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილებიდან ცნობილი ხდება, რომ სამშობლოს გარეთ გატარებული ყოველი დღე, ყოველი საათი სწავლასა და სამშობლოს მომავალზე ფიქრს ხმარდებოდა. „უნდა მომშივდეს კიდეც, უნდა შემცივდეს კიდეც – წერდა მშობლებს – და ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა გადამხდეს, რადგან როგორც „რკინა ცეცხლში მორბილდების", ისე ადამიანი უნდა გაკაჟდეს, გასალკლდევდეს, რომ შესძლოს „ჭირსა შიგან გამაგრება." ბრძოლაა საჭირო, გმირებს კი ცხოვრება ზრდის".

ვაჟა-ფშაველას დაკრძალვაზე რუსეთიდან ჩამოდის სტუდენტი ვახტანგ კოტეტიშვილი და ქართველი სტუდენტების სახელით წარმოთქვამს სიტყვას, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე.

1916 წ. ვახტანგმა ტარტუს უნივერსიტეტში წარმატებით დაიცვა სადიპლომო შრომა „დიპლომატიური ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის, მე-15 საუკუნიდან შეერთებამდე". „სახალხო საქმემ" იმავე წელს დაიწყო ამ ნაშრომის ბეჭდვა.

ვახტანგი 1917-18 წლებში კვლავ ტარტუშია. იგი უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს სოციოლოგიასა და ისტორიაში. მალევე ნიშნავენ საზოგადოებრივი ფაკულტეტის დეკანად და მას დიდი მეცნიერულ-პედაგოგიური კარიერა ელის. გარკვეული დროის შემდეგ მას კვლავ დაწინაურება და დიდხელფასიანი სამსახური შესთავაზეს, მაგრამ არ ინდომა იმ მოსაზრებით, რომ ეს თანამდებობა ხანგრძლივად ჩამოაშორებდა სწავლას. „წიგნები უფრო მტაცებს თვალს – წერდა მშობლებს – ფული რაა, ფულს არტემას ბიჭებიც იღებენ, ისე რომ არაფერი მაზაა ფულიანობა... ისე კი, ისევ იმ აზრზე ვრჩები, რომ „ჭკვიანი ღარიბი სჯობია უჭკუო მდიდარსო."

1918 წელს ვახტანგი ჩამოდის საქართველოში და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის ვაჟთა მე-2, ქალთა1 და მე-2 გიმნაზიებში. ამასთანავე იგი სისტემატურად თანამშრომლობს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში.

ორიოდე სიტყვა ვახტანგის დაოჯახების შესახებ. ვახტანგ კოტეტიშვილის არქივს შემორჩა ჯვრისწერის მოწმობა, რომელიც გვამცნობს, რომ 1920 წლის 6 ნოემბერს მამადავითის ეკლესიაში ჯვარი დაიწერეს ვახტანგ კოტეტიშვილმა (28 წ.) და ნინო (ნუსია) დილევსკამ (25 წ.). ნუსია მამით პოლონელი იყო, დედა კი ქართველიშვილის ქალი გახლდათ. ნუსია ქართველიშვილების და დილევსკების ოჯახში აღიზარდა. ის იყო საოცრად რაფინირებული ქალბატონი, გარეგნობითა და ღრმა სულიერებით. წერდა და აქვეყნებდა ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე ნინო როინელის ფსევდონიმით. ვახტანგმა და ნუსიამ ერთმანეთი ქორწილში გაიცნეს, სადაც ნეფე-პატარძლის მეჯვარეებად იყვნენ მიწვეულნი.

ბედნიერი ოჯახი შექმნეს. მათ სახლში სიცოცხლე სჩქეფდა. იკრიბებოდნენ პოეტები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, მეცნიერები, მხატვრები, იმ დროის გამორჩეული საზოგადოება. ამ ოჯახის მრავალრიცხოვან მეგობართა შორის იყვნენ: ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, პავლე ინგოროყვა, ჭაბუა ამირეჯიბის მშობლები ერეკლე ამირეჯიბი მეუღლითურთ და სხვანი. ვახტანგი ჭაბუა ამირეჯიბის ნათლია იყო.

ვახტანგს და ნუსიას სამი შვილი შეეძინათ: ლეილა, მანანა და ვახუშტი. 15 წელს გასტანა მათმა ბედნიერებამ. ნუსია მესამე შვილის, ვახუშტის დაბადებას გადაჰყვა, ისევე როგორც ნუსიას დედა მის დაბადებას. დედის მძიმე ბედისწერა სამწუხაროდ მის შვილში განმეორდა, რაც ვახუშტის მთელი ცხოვრება განუშორებელ ტკივილად დარჩა და მოგვიანებით ასეთ სტრიქონებად ამოთქვა.

„ან რად მინდოდა სიცოცხლე,
დედის სიკვდილად დამჯდარი?!"

1924 წელს ვახტანგი სწავლას აგრძელებს თბილისის სამხატვრო აკადემიაში ქანდაკების სპეციალობით. ის იყო იაკობ ნიკოლაძის ჯგუფის პირველი გამოშვება. 1928 წელს ამთავრებს სამხატვრო აკადემიას და იწყებს ლექციების კითხვას ქანდაკების თეორიისა და ისტორიის დარგში, თან სამწერლო-კრიტიკულ მოღვაწეობას ეწევა. მან სამ ტომად გამოსცა ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი (მე-19 ს.). შემდეგ კი ხალხური სიბრძნის მეცნიერული შესწავლა დაიწყო.

ამავდროულად ვახტანგ კოტეტიშვილი სამხატვრო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად ექსპონატებს ქმნიდა: ქვასა და ხეს აქანდაკებდა, სულს უდგამდა. მას ეკუთვნის მთელი რიგი ბიუსტებისა და სკულპტურული ნამუშევრებისა, რომელთა რიცხვი დაახლოებით 30-ს შეადგენს. შალვა ნუცუბიძეს უთქვამს ვახტანგის შესახებ: „მის განათლებაზე, მის ნიჭზე მეტად ვაფასებ მის ხელოვნებას. თუ ხელოვანი კარგია, ეს ყველა პროფესიაზე მეტია, მისი ერთი ქანდაკება, ერთი ნახატი გადაფარავს მთელ ჩემს წიგნებსო".

არქივში მის მიერ შექმნილი ალექსანდრე ყაზბეგის ცნობილი ბიუსტის შესახებ ინახება ცნობა: „მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი შუამდგომლობს, რომ ეს ძეგლი, რომელმაც თავის დროზე ყველა გამოფენაზე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება და ითვლება ახალი ქართული ქანდაკების ერთ საუკეთესო ნიმუშად, დაიდგას ფუნიკულიორის ქვევით სკვერში, ან სხვაგან". (ტიციან ტაბიძე).

ვახტანგ კოტეტიშვილი დიდ საზოგადოებრივ საქმიანობაში იყო ჩართული. მის არქივში დაცულია მწერალთა კავშირის და სამხატვრო აკადემიის სხდომის ოქმები. ამ მასალებიდან ჩანს, რომ ვახტანგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, უამრავ დავალებას ასრულებდა, ყველგან მისი ხმა ისმოდა, ყოველი ეროვნული წამოწყების აქტიური მონაწილე იყო, იქნებოდა ეს ქართველ მწერალთა ანთოლოგიის გამოცემის საკითხი, თუ ქართველი კლასიკოსების მონოგრაფიული შესწავლის კომისიაში მოღვაწეობა, ხელოვნების სასახლეში საღამოების მოწყობა და მოხსენიებების წაკითხვა, ინფორმაციები მხატვართა გამოფენის მოწყობის, მხატვართა გალერეისათვის ბინისა თუ ფონდების გამოყოფა, სამხატვრო აკადემიის და სამხატვრო სტუდიის რეორგანიზაცია და სხვ.

აღსანიშნავია ალექსანდრე პუშკინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კრებულში „პუშკინი საქართველოში" ვახტანგ კოტეტიშვილის ორი ნარკვევი – „პუშკინი და ქართული ლიტერატურა", „საქართველო პუშკინის შემოქმედებაში". ასევე მოხსენებები: „შემოქმედის საკითხები ქართულ პოეზიაში", „ქანდაკება და გრაფიკა გამოფენაზე". კრიტიკის სექციის სხდომაზე წაკითხული მოხსენებები: „ქართული ლიტერატურის პერიოდიზაციის შესახებ" და „ვაჟა-ფშაველა".

ვახტანგი, როგორც სხვადასხვა საზოგადოების წევრი, თავდაუზოგავად ემსახურებოდა თავისი ქვეყნის კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების საქმეს. იყო მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, მწერალთა კავშირის საბჭოს ახალი პრეზიდიუმის წევრი, ხელოვნების კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, მწერალთა კავშირის გაზეთ „ქართული სიტყვის" რედაქტორი, მხარეთმცოდნეობის საზოგადოების საბჭოს წევრი, მთიელთა კავშირის, სარეპერტუარო კომისიის, რეგლამენტის შემუშავებული კომისიის, ქართველ ხელოვანთა კულტკავშირის მთავარი კომიტეტის, მწერალთა კავშირის ჟურნალ „კავკასიონის" რედკოლეგიის, ქართველ მწერალთა აკადემიური ასოციაციის გამგეობის, რუსულ ენაზე ანთოლოგიის გამოცემის კომისიის, კრიტიკოსთა სექციის წევრი, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ სამხატვრო საბჭოს წარმომადგენელი, სამხატვრო აკადემიის გამგეობის მიერ სოფ. წერაქვში ექსპედიციის ხელმძღვანელი, ვენეციაში საერთაშორისო გამოფენაზე ქართველ მხატვართა ჯგუფის გაგზავნის თაობაზე მთავრობის თავმჯდომარესთან მომლაპარაკებელი დელეგაციის წევრი და სხვ.

პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღ-

ვაწეობას. კითხულობდა ლექციებს

1) დორპატის უნივერსიტეტში – სოციოლოგიას;

2) თბილისის სახ. უნივერსიტეტში – პოეტურ ფოლკლორს და პოეტიკას;

3) სამხატვრო აკადემიაში – ქანდაკების და კერამიკის ისტორიას;

4) ქუთაისის პედინსტიტუტში – ფოლკლორს;

5) ასწავლიდა რუსთაველის სახ. თეატრალურ სტუდიაში.

6) მე-2 შრომით სკოლაში – ლოგიკას, ფსიქოლოგიას, ისტორიას.

1. საქ. ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში იყო ფოლკლორის განყ. გამგე, დირექტორის მოადგილე;

2. ხელოვნების მუზეუმში „მეტეხი" – ქანდაკების განყოფილების გამგე.

3. სამეცნიერო აკადემიის ფილიალში – ფოლკლორის სექციის გამგე, შემდეგ უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

4. მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში – დირექტორის მოადგილე.

ვახტანგ კოტეტიშვილმა იცოდა უცხო ენები: ბერძნული, ლათინური, გერმანული, ფრანგული, უკრაინული, რუსული.

მკვლევარის სამეცნიერო მემკვიდრეობაში განსაკუთრებულად იკვეთება მისი დიდი დაინტერესება ხალხური სიტყვიერებით. ბავშვობიდან გამოყოლილი დიდი სიყვარული ხალხური პოეზიისა, სტუდენტობის დროს დასავლეთევროპული ფოლკლორის შესწავლამ მას საშუალება მისცა უფრო ღრმად გაეანალიზებინა ქართული ფოლკლორული მასალა, რომელიც ასე უხვად შემონახულა მის არქივში, დაეძებნა ქართულის პარალელები მსოფლიოს ხალხთა ფოლკლორში. ხალხური შემოქმედება მისი სიტყვებით „არის დიდი გზნებისა და ფანტაზიის ქვეყანა, რომელიც უცნაური სისადავისა და სიღრმის გამო პირდაპირ აჯადოებს ადამიანს. ეს არის დაუშრეტელი აუზი, სადაც მოგროვილია ხალხის ფიქრი, განცდა და წარმოდგენა".

ვახტანგ კოტეტიშვილი თვლიდა, რომ არა მარტო ლიტერატურა, არამედ ყოველი ეროვნული წამოწყება ხალხური შემოქმედებიდან იღებს სათავეს. „ხალხური პოეზია ლიტერატურის სათავე და საფუძველია. მსოფლიოში რაც კი რამ შექმნილა დიადი და უკვდავი, უმრავლესობა ხალხური პოეზიის თესლზეა აღმოცენებული „ილიადა" – „ოდისეადან" მოყოლებული „ფაუსტამდე" და „ვეფხისტყაოსნიდან" „გველისმჭამელამდე" მოდის ეს ხალხური პოეზია, როგორც უდიდესი შთაგონება და ჩაუქრობელი ნათელი".

ვახტანგ კოტეტიშვილი 1927 წელს ივანე ჯავახიშვილმა უნივერსიტეტში ქართული ფოლკლორის კურსის წასაკითხად მიიწვია. და დაიწყო მისი დიდი ორატორული ნიჭით წაკითხული ლექციები. მისი პირველი შესავალი ლექცია დაუვიწყარი აღმოჩნდა მსმენელთათვის. ვახტანგმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფოლკლორულ ექსპედიციებს – მესხეთ-ჯავახეთის, ატენის, თეძმის და ალგეთის ხეობებში 1930,1933, 1934 წლებში. „ამ ექსპედიციების დროს შეკრებილი მასალა ფოლკლორული არქივის ოქროს ფონდს შეადგენს" – წერდა მისი ყოფილი სტუდენტი ელენე ვირსალაძე. წლების მანძილზე შეკრებილი ხალხური პოეტური ფოლკლორი მან ერთ წიგნად შეკრა და „ხალხური პოეზიის" სახელით გამოსცა, რომელზედაც თაობები აღიზარდა. ამ წიგნმა ივ. ჯავახიშვილის დიდი მოწონება დაიმსახურა და მას ამ ნაშრომისათვის დისერტაციის დაუცველად მიენიჭა პროფესორის წოდება.

ვახტანგ კოტეტიშვილმა თბილისში ფოლკლორის ცენტრი დააარსა, სახ. უნივერსიტეტში ფოლკლორის კათედრა, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ფოლკლორის განყოფილება და ფოლკლორული არქივი ჩამოაყალიბა, ხელმძღვანელობდა თბილისის უნივერსიტეტთან დაარსებულ ქართული ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას, რომელიც შემდეგ აკადემიის სისტემაში გადავიდა.

მეცნიერს მძიმე დროში მოუხდა ცხოვრება. მკვიდრდებოდა ახალი დროება ახალი ფასეულობებით. რუსეთის წითელი იმპერიის ბატონობის წლებში ძირძველ ქართულ ტრადიციებს, რწმენა-წარმოდგენებს და ხალხურ საუნჯეს, რომელიც ქართველმა ერმა საუკუნეებში გამოატარა, განადგურება ელოდა. „ძველი უნდა წავიდეს – წერდა ვახტანგ კოტეტიშვილი, მაგრამ მისი კვალი არ უნდა დავკარგოთ, რადგან უიმისოდ ახლის გაგება შეუძლებელი იქნება". ეს იყო მიზეზი ასეთი შემართებისა. მან ფართოდ გაშალა მუშაობა ხალხური შემოქმედების გადასარჩენად და საფუძველი დაუდო მის მეცნიერულ შესწავლას. „ეს საქმე მაშინ თითქმის ხელუხლებელი იყო და ნიჭიერ გულშემატკივარს ელოდა... ვახტანგ კოტეტიშვილზე უფრო სასურველი ქომაგი მას არ შეეძლო ენატრა. ვახტანგ კოტეტიშვილის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ფოლკლორისტიკის შექმნა" – წერდა პროფ. დ. გამეზარდაშვილი, მისი ყოფილი სტუდენტი.

სწორედ ეს გზა გახდა მისთვის საბედისწერო. იმ წლებში, როდესაც ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყველგან პარტიული მუშაკები

ინიშნებოდნენ, მისი ასეთი აღტკინებული, თავდაუზოგავი კვლევა ხალხური სიტყვიერებისა, არქაული და მითოლოგიური ძირების ძიება, პროტესტად ჩანდა. ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების წინ წამოწევა, როგორც თვითონ აღნიშნავდა, „ქართული ხმის" ძიება მსოფლიოს ხალხთა მოარულ მოტივებსა და სიუჟეტებში უარყოფითად აღიქმებოდა მაშინ – „პროლეტარული კულტურის" დამკვიდრების ეპოქაში.

საბედისწერო აღმოჩნდა მისი ბოლო კრიტიკული გამოსვლა მ. ჩიქოვანის წინააღმდეგ. ვახტანგი უკომპრომისო კაცი იყო, სხვაგვარად მას არ შეეძლო.

1937 წლის 5 ნოემბერს ვახტანგ კოტეტიშვილი დააპატიმრეს. სახლში მიაკითხეს უშიშროების თანამშრომლებმა. იმ დღეებში მისი შუათანა შვილი 12 წლის მანანა მძიმედ ავად იყო და უკანასკნელ საათებს ითვლიდა. ვახტანგმა სთხოვა მათ, მიეცათ ნება თავის მომაკვდავ შვილთან გაეტარებინა ბოლო დღეები, მერე კი თვითონ გამოცხადდებოდა უშიშროებაში. უარი მიიღო. როცა სახლიდან გამოდიოდა, უკანასკნელად შემობრუნდა და უფროს შვილს 15 წლის ლეილას დაუძახა, „ლეილა, ვახუშტი გამიზარდე, არავის დააჩაგვრინოო".

ლეილამ 2 წლის ვახუშტის გაზრდა იტვირთა და მთელი ცხოვრება ვახუშტის მშობლების მაგივრობას უწევდა. ლეილას პირადი ცხოვრება არასოდეს ჰქონია.

ვახტანგ კოტეტიშვილის არქივში საკმარისი მასალაა შემონახული, რომლითაც შეიძლება მხილებულ იქნენ ის ადამიანები, ვისაც ბრალი მიუძღვით მის განადგურებაში. პირველ რიგში ისინი შეეცადნენ მისი ნაშრომების განადგურებას. შემორჩენილია მხოლოდ გამოსაცემად გადაცემული ნაშრომების სია (ავტოგრაფი). როგორც ჩანს, ფოლკლორში თითქმის ყველა კარდინალური საკითხი გამოკვლეული ჰქონდა:

1) ამირან-პრომეთეს პრობლემისათვის (ტექსტები და გამოკვლევა).

2) ეთერიანი – (ტექსტები და გამოკვლევა);

3) ამბავი ტარიელისა და „ვეფხისტყაოსანი (400გვ.-მდე);

4) ქართული ხალხური ეპოსი, ტ. 1;

5) მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი (500გვ-მდე);

6) ლეგენდის წარმოშობა;

7) პოეტური ფოლკლორის კურსი ტ.1

8) ზღაპრის რაობა;

9) მზეთუნახავი ქართულ ზღაპრებში;

10) საბავშვო ფოლკლორი (300 გვ-მდე).

11) ხალხური პოეზია ტ. 2 (500 გვ-მდე).

ვახტანგ კოტეტიშვილის დაპატიმრებიდან

მეორე დილითვე მის სამსახურში მისულ უშიშროების წარმომადგენლებს სამუშაო მაგიდის უჯრები ცარიელი დახვდათ. როგორც ჩანს, დაინტერესებული პირი ვახტანგ კოტეტიშვილის დაპატიმრების დღესვე დაეპატრონა მის გამოსაცემად გამზადებულ ფოლკლორულ გამოკვლევებს. მან წაიღო ეს გამოკვლევები მისი საწერი მაგიდიდან – რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებიდან, ხელოვნების მუშაკთა სახლიდან, სადაც ის იმხანად მუშაობდა შეთავსებით და გამომცემლობიდან, დასაბეჭდად გადაცემული – ქართული ზღაპრების 1 ტომი და ქართული ზღაპრების რუსული თარგმანების I ტომი (Закгиз.).

ხანგრძლივი, არაადამიანური წამების შემდეგ ვახტანგ კოტეტიშვილი დახვრიტეს. ასე ტრაგიკულად დასრულდა მისი სიცოცხლე 44 წლის ასაკში, რაც ასეთი ნიჭიერი და მრავალმხრივი შემოქმედისათვის ძალიან ნაადრევი იყო.

ამ მოვლენებიდან გაივლის რამდენიმე ათეული წელი და საიდუმლო განარქივებული საქმეები გაზეთში გამოქვეყნდება. ვახტანგ კოტეტიშვილის საბრალდებო დასკვნაში სწერია: „განწყობილია ანტისაბჭოურად, პესიმისტურად, თითქმის ვერ ხედავს საბჭოთა სინამდვილის პერსპექტივას, ექსპედიციებში ცოტას მუშაობს, სამაგიეროდ, საჯარო გამოსვლებს აწყობს, უკმაყოფილებას

გამოთქვამს იმის გამო, რომ შოთა რუსთაველის სახ. ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელად 1936 წ. ახალგაზრდა სპეციალისტი ჩიქოვანი დანიშნეს, რომლის ხელმძღვანელობით მუშაობა კოტეტიშვილს არ სურდა. თუმცა კოტეტიშვილმა იცის მარქსიზმ-ლენინიზმი და სწორედ ესმის პარტიის პოლიტიკა, თავის ნაშრომებში სოციალიზმის გამარჯვება არ სჯერა". დაიწყეთ ყველას აქტიური დამუშავება, კოტეტიშვილი დაპატიმრებულ უნდა იქნეს. (ქობულოვი).

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ დადგებოდა დრო, როდესაც ცნობილი გახდებოდა ვახტანგ კოტეტიშვილის დახვრეტის ნამდვილი მიზეზი, ისიც რომ ცნობებს ინსტიტუტში შექმნილი ვითარების შესახებ უშიშროებას, კერძოდ კი, სახ. უშიშროების სამმართველოს სამძებროს მე-5 განყოფილების უფროსის მოადგილეს, მღებრიშვილს, მიაწვდიდნენ აგენტები „ნერონი", „მოსკოვი", და „მიხაილოვსკი". „მავნებლად", „უვარგის ხელმძღვანელად" მონათლულ ვახტანგ კოტეტიშვილს კი დასახვრეტად გაიმეტებდნენ.

ვახტანგ კოტეტიშვილის არქივში დევს მეტად მნიშვნელოვანი ორი ოქმი. 1937 წლის 26 ნოემბრის ოქმი №19, მწერალთა კავშირიდან მისი, როგორც ხალხის მტრის გარიცხვის შესახებ დია ჩიანელთან, ვალ. ლუარსმიძესთან, სამსონ ჭანბასთან, ჩერმენ ბეჯიზატთან ერთად. სხდომას ესწრებოდნენ. შ. რადიანი, კ. სამსონიძე, დ. შენგელაია, მ. ჩიქოვანი, ს. ეული, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, კ. ლორთქიფანიძე, ბ. ჟღენტი, კ. ჩარკვიანი, რ. გვეტაძე, და სხვა. თავმჯდომარე: კ. ჩარკვიანი; მდივანი ირ. ქავჟარაძე.

მეორე ოქმია – რუსთაველის სახ. ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სექციათა ხელმძღვანელების 1938 წლის 1 თებერვლის სხდომის ოქმი №3 ესწრებოდნენ: კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, ი. აბულაძე, მ. ზანდუკელი, ტრ. რუხაძე, დოც., მ. ჩიქოვანი. თავმჯდომარე კ. კეკელიძე; მდივანი ქ. ცხადაძე. დღის წესრიგში იყო სექციის ხელმძღვანელების საანგარიშო მოხსენებები 1937 წ. სექციის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ. ფოლკლორის სექციის გამგის, მ. ჩიქოვანის მოხსენებაში ნათქვამია, რომ სექციას თავისი სამუშაო გეგმა არ შეუსრულებია, ვინაიდან სექციის წევრებს შორის აღმოჩენილმა მავნებლებმა სექციის მუშაობას ხელი შეუშალეს. აგრეთვე სექცია მუშაობდა ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენაზე, მაგრამ ყოფილი ხელმძღვანელობის უვარგისობის გამო მუშაობა ჩატარდა არადამაკმაყოფილებლად. (მავნებლებში იგულისხმებოდნენ ვახტანგ კოტეტიშვილი და ქ-ნი ელენე ვირსალაძე).

ვახტანგ კოტეტიშვილი იმ იდეალებს შეეწირა, რასაც მთელი ცხოვრების მანძილზე დიდი გატაცებით ემსახურა.

გავა წლები და ვახუშტი კოტეტიშვილი ასე შეაფასებს თავისი სახელოვანი მამის თავგანწირულ შემართებას: „ვახტანგ კოტეტიშვილი „თავს ისე გრძნობდა ქართული ლიტერატურის საომარ ველზე, როგორც ის ფშაველი, ბრძოლის ჟინით ატანილი, რომ აცხადებდა.

„ბიჭი ვარ გოგოლაური, რას მიცქერ ტალავარზედა,

ფეხს დავკრავ, გადავევლები, ბახტრიონ გალავანზედა,

მოგიტან ჩვენსა ალამსა, დავარჭობ ციხის თავზედა".

ვახტანგ კოტეტიშვილი თვითონ იყო მის მიერვე გამოქვეყნებული ლექსის გმირი, ბახტრიონ-ციხის გალავანზე გადამვლები „კაი ყმა", ალმის მიმტანი, რომელსაც სწორედ ამ გალავანზე ალამშემართულს დაარჭვეს გულზე უჩალმო, წითელვარსკვლავიანმა ურჯულოებმა ყიაწითელი ისარი".

გია ჯიჭონაია

მედიტაციური კირბები

კირბი ცხოვრების გზას

ჰარმონიაში გმირობიდან უარყოფამდე,
მოკლე, ძნელი გზა ღიმილიდან თოკის ყულფამდე,
ურთიერთშერწყმა სიყვარულის და სიძულვილის,
შეიგრძნობ ტანჯვას, მთელი სიღრმით იგრძნო
წყურვილი,
ესაა შენი ისტორია, რაც იგულადე
და იმშიშარე ბუნებრივად შენივ სურვილით.

აბსურდის კირბი

რაც დაინახა აქ ცხოვრების აბსურდულობა,
უფრო და უფრო ჩაიძირა, წასვლა სწყუროდა
მას არაფრიდან არაფერში.. ნერვი დააწყდა,
(ბევრ თვალისმომჭრელ სისულელეს გზად გადააწყდა),
არც თვისი ბედი აწუხებდა, რადგან უწყოდა,
დაბადებამდე ყველაფერი უკვე გადაწყდა.

პოლიტიკოსების კირბი

გამომსვლელები ღობე-ყორეს კვლავ ედებიან,
ბებიების და ბაბუების ზღაპრებს ყვებიან,
ეს ცრუ სიტყვები ძველებურად გაყვება ნიავს,
მხოლოდ საკუთარ თავისათვის აგებენ პიარს,
თუმცა სიმართლეს ერთ დროს მაინც შეეხლებიან,
აბა სიტყვებო, წინ და უკან ნაბიჯით იარ!

ცხოვრების რომანის კირბი

რომ მაგიდასთან აღარ გეყო ბოთლი მარტინი,
სიტყვა ქსოვილად სადა იყო, ძლიერ მარტივი,
სულის ვარჯიში კი განდგომას ხშირად მოითხოვს,
(იქვე ბუხართან ვიღაცა დგას და ხელებს ითბობს),
ჩვენი ცხოვრების რომანია თურმე მარტივით,
არეულია და ყოველთვის გაძლებას ითხოვს.

წასვლის წინ

იგიც წავიდა, ისე, უკან არ მოუხედავს,
მიხვდა, რომ ახლა მის ღირსებას ეს მოუხდება,
რამოდენიმე ნაპერწკალი დარჩა უბეში,
რაიც გულს უთბობს (და ცრემლები მიყვება პეშვით),
იცის მის გამო არც არავინ არ შეწუხდება,
ოცდამეერთე ამ ცივ და მტრულ საუკუნეში.

მარტოდენ უფლის თვალში დაფასებული ერი

სტუმართმოყვარე და მგზავრისთვის კარის გამღები,
ჩვენ, წინაპართა სულებისთვის სანთლის დამნთები,
ცეკვით "ქართულით" სიყვარულის რაცაა ჰიმნი,
შვიდი თაობის არაღრევას ვიცავდით სისხლით,
ლოცვით ავაგეთ ციხე-კოშკნი და ეს ტაძრები,
მუხლდაჩოქილის ვედრება რომ დღემუდამ ისმის.



კორიბანტების კირბი

ქართულ ანბანში დაუნჯებულ თეოგონიას,
და ბრწყინვალებით გაცხადებულ კოსმოგონურ აზრს,
თლიდნენ ქურუმნი, ველს უქმნიდნენ იქ მაღალ სიტყვას,
იმ ა.ბ. გ. დ – ს მეხთატეხით არშემწყდარ სეტყვას,
სხვისთვის თუ ბორგვა, არმორგება და აგონია,
ჩვენთვის, იქ ტრფობა წამებულის, ლამაზად ითქვა.[1]

ცირკ შაპიტოს პიროგებში

ეს დღეც მზადაა, რომ მორიგი სცენა გამართოს,
ხალხს გაჭირვება დაავიწყოს და კვლავ გაართოს,
თუმც დღევანდელი გუშინდელს ხომ მაინც არ ჰგავდა,
ახალთახალი ტრიუკებით ღიმილს ჰქარგავდა,
მეც გზა განვაგრძე ახლა ჩემთვის უმისამართოდ,
როცა საღამოს ამაზრზენი გემო დაკრავდა.

კირბი გადამღლელ წერტილ-მძიმეს

წერტილი,მძიმე,კვლავ წერტილი და ისევ მძიმე,
სხვადასხვა ჯურის ემბლემები ტექსტს კვლავ ამძიმებს,
კითხვის, ძახილის ის ნიშნები ირგვლივ დაჰქრიან,
ტირე, ბრჭყალები და ფრჩხილები საწყობში ყრია,
ვიღაცა მოვა და ამ ნიშნებს კვლავ ჩამოკიდებს,
გზად, ვინმეს რომ არ დავეჯახო დილაადრიან.

---

1 კორიბანტები – დამწერლობის შემქმნელი ქურუმები ძველ საბერძნეთში. სტრაბონი ძველ წყაროებზე დაყრდნობით წერდა, რომ მეტალურგიისა და მჭედლობის მფარველი ღვთაებები – კორიბანტები (კირბანტები), ჰელიოსის (მზის) ვაჟიშვილები და კოლხეთის მეფის, აიეტის ნახევარძმები კრეტაზე, ევბეაზე, სამოთრაკეზე, ხმელთაშუა ზღვის სხვა კუნძულებსა და ფრიგიაში კოლხეთიდან იყვნენ მოსულნი.

კირბი მიუწვდომელ ოცნებებს

მკლავს რეაქცია უბედური ჭიაყელისა,
ფეხს აბიჯებენ, გაზმორება რომ არ ეღირსა,
მე თვალწინ მიდგას, ის სურათი, ვერ გაიცრიცა,
თურმე სიკვდილი იქ კარებთან დიდხანს იცდიდა,
ეს არ იცოდა კაცმა, სახე რომ მოეღრიცა,
მიუწვდომელზე იოცნება და გაისრისა.

ოცდაათი ვერცხლის კირბი

უსამართლობა მიგაცილებს კვლავ ატირებულს,
საწუხილოა ყველაფერი, რაც გისერავს გულს,
უთანასწორო რომ ბრძოლები ვერაფერს ვერ ცვლის,
განადგურდები, ვიცი დარდი ამაზე, შეგშლის,
როცა ვალუტას, დღეს ყველაზე კონვერტირებულს,
კვლავ წარმოადგენს ოცდაათი, იცოდე, ვერცხლი.

ოაზისი უდაბნოში

მეგობრულ გრძნობას ხომ საერთო საფრთხეც აღვიძებს,
რაც უფრო მეტად ძლიერდება დროთა მანძილზე,
ღმერთმა იმაზე ფასეული არა ინება,
ვიდრე ეს ჩვენი ერთმანეთთან დაკავშირება,
განსაცდელის ჟამს ჩვენ ერთურთის ძებნას
რად ვიწყებთ,
როდესაც ირგვლივ უამრავი ხალხი ირევა.

საქართველოო ლამაზო

აქ გააწამეს ნიკალაც და გალაკტიონიც,
ულამაზესი მუდამ ჰქონდათ მათ ალიონი,
ასეც იქნება, რადგან უფლის აქ სართველოა,
და რომ ღვთისმშობლის წილხვედრი და სამლოცველოა,
თუმც გენიოსებს არ სწყალობდნენ ოდენ იოტით,
აქ, ჩემო კარგო, ხომ იცი, რომ საქართველოა.

ცხოვრების სიჭრელის კირბი

ბევრს საუბარში გამოიცნობ და გაგაკვირვებს,
თან იქვე ხვდები, რა კაცია, რას ხმარობს ილეთს,
როცა სიტყვები კვლავ ტყუიან, დასანანია,
ფუჭმეტყველება უსაქმურთა გულსაფხანია,
ჭკვიანი კაცი კი თავს უყრის გონების სხივებს,
როცა სულელი ისევ ისე ბუნდოვანია.

ლექსის აბსტინენცია

რომ ცუდადა ხარ, საუბარშიც კვლავ შეგეტყობა,
და გძულს დამღელი დილიდანვე ეს გარეგნობა,
სხვებსაც აწუხებს, დაგეწყება სხვა ინერცია,
სულის სიღრმეში როცა შევა ის ინექცია,
რითმა რომ ქვია, ფრენა-ფრენით როცა შეტოპავ,
ნელა გეხსნება იმ დროს ლექსის აბსტინენცია.

უწერტილმძიმეო კირბი

სასვენ ნიშნებით გრამატიკა ფიქრში ეფლობა
ვით შუქნიშანი ეკალბარდთან რომ დაესობა
იქ მწერალია და იმ სიტყვებს ხმალივით იქნევს
(ენათმეცნიერს რაც არ მოსწონს მისკენ გაიწვევს)
თუმც ლამაზია ეს მწერლური დაუდევრობა
მეცნიერული პედანტიზმი რომელსაც იწვევს

ლექსის აბორტის კირბი

სულის სიღრმეში გადაეშვა ოცნება დილის,
ღამენათევი, წუხანდელი ნამუსახდილი,
მღვდელმა შენდობის გრძელი ლოცვა როცა წარმოთქვა,
შვების ღრმა ოხვრით (მომაკვდავის) აღარც რა მოხდა,
ფიქრებს ლექსამდე დარჩა როცა მცირე მანძილი,
გარდაიცვალა იმ დროს სიტყვა და ტექსტიც მოკვდა.

დუმილით საუბარში

სევდაში ვნახე სილამაზე გაუხუნარი,
მისით სრულყოფა, ბუნებრივში წვდომის უნარი,
იქ სევდა იდგა მარტოდმარტო, ყველაფრის მერე,
სიბრძნე, სიცოცხლე, სიყვარული, იქვე სიბერეც,
მე მოვისმინე უჩვეულო რამ საუბარი,
სიტყვა დუმილში, საოცარი და დავიჯერე.

კირბი პოეტს _ 2

გენიალობა გაამჟღავნა როცა გრძნობაში,
დუღილის ჟამს ის ლექსმა გათქვა უცხო ფორმაში,
გრძნობის და ფორმის ეს ერთობა რომ გამოვლინდა,
გარეალურდა მაშინ ლექსი, მყისვე დაღვინდა,
„გაველურებას" არ ჩაუთვლის თავხედობაში,
ვიცი მკითხველი.. როცა ნახა, ცრემლი დასდინდა.

VII

დღემდეც არ იცის აქ არავინ, რა არის კირბი,
როგორც ეფუთი კვალგამქრალი დუმილით მიჰქრის...
მას ნაწყვეტები ეფუთიდან კარში დაებნა,
როცა დაქალი ტყაშკოჩისგან დარჩა ორსული,
კირბს კითხულობდა სადაც აპ. როდოსული,
გვიან საღამოს კი ტყაშმაფა ნაზ კავალერთან,
კვლავ ბოლო მოდის ვარცხნილობით იყო მოსული.[2]

---

2 ეფუთი – ძველკოლხური ბრძენთა წიგნი, რომელიც ასევე რელიგიური დანიშნულებისა იყო და დიდი ხანია რაც დაიკარგა.
ტყაშკოჩი – ტყის კაცი
აპ. როდოსული – აპოლონ როდოსელი.
ირბი – კირიბის (ცხვრის) ტყავი (კოლხ), იგივეა რაც, კვირ-ბი, კირიბი)

ნინო ბაქანიძე

„ხმამაღლა მოლაპარაკე“

– დეე, მალე წახვალ?

ზაზა ფანჯარასთან დგას და ქუჩას გაჰყურებს.

– ჰო, შვილო, მივდივარ უკვე. რამე ხომ არ გინდა?

ოთახში კოხტად ჩაცმული, სანდომიანი ქალი შემოდის.

– არა, დე, უბრალოდ, წუთი-წუთზე ჩემი ჯგუფელი კოტე ხმიადაშვილი უნდა მოვიდეს. შენც ხომ იცნობ? ერთად უნდა ვიმეცადინოთ..... აი, ცოტა გამხდარი, შავგვრემანი ბიჭი რომაა. გაიხსენე? ისე, აქ იშვიათად ყოფილა.

– ჰოო,მგონი. საერთოდ, ხმიადაშვილები ჩვენი მხრიდან არიან. სამთავისში არა, მაგრამ.....

– მართალი ხარ, გორიდან არიან, – მოუთმენლად აწყვეტინებს ზაზა დედას. – მაგისი პაპა საქართველოს რადიოს ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი იყო. მამამ, ცხადია იცის. შენთვისაც სულ მინდოდა მეთქვა.

– აა, მაგიტომაც აირჩია არა რადიოტექნიკის ფაკულტეტი. – ეღიმება დედას. – თვითონ ხომ კარგად სწავლობს?

– ისე რა, ცოტა პრობლემები აქვს. ამიტომაც მოდის, რომ წავეხმარო.

– ძალიან კარგი,ძალიან. რამე თუ დაგჭირდეთ, ხილი მაცივარშია. სადილს ახლა მოვრჩი, გაზქურაზე ვტოვებ. მოკლედ, თქვენ იცით. – დედა გადის... დროც გადის...

ზაზა კვლავ ფანჯარასთან დგას, ჩაფიქრებული. სადღა დაიკარგა ეს ბიჭი? მგონი, მე უფრო ვწუხვარ მაგის შედეგებზე, ვიდრე თვითონ. მარტო გიტარა და ჩქარი ტაში, რომ იტყვიან... ლექსები, პოეტური გაფრენები....ეს კი ბატონო, მაგრამ....მართლა, ნეტა იმ გაზეთის წამოღება არ დაავიწყდეს....ზაზა მობილურს წაეტანება, მაგრამ სწორედ ამ დროს კარზე რეკავენ.

– სალამი ზაზას!

– მოდი ბიჭო, სად ხარ აქამდე? სადარბაზო ხომ არ შეგეშალა!

– ეგ არა, მაგრამ „მარშრუტკამ“ დამაგვიანა. მაგის დედაც....ოჰ, უკაცრავად, შენ წესიერი ბიჭი ხარ, ეგეთები არ გიყვარს. – კოტე მოწყვეტით ეშვება სავარძელში. – შენ ხო რამე არ გაგიფუჭე, ძმაო?

– არა, უბრალოდ გკითხე. გაზეთი მოიტანე?

– კი, აგე. – კოტე ცელოფნის პარკიდან საგამოცდო კონსპექტს იღებს, იქიდან კი ფრთხილად აცოცებს ძველისძველ, გაცრეცილ გაზეთს.

– აუ, მაგარია. ძლივს არ მოგატანინე? რამდენი ხანია, გეხვეწები.

– რავი, ბიჭო, ჩესტნად გითხრა, მოძებნა მეზარებოდა, ხან მავიწყდებოდა.

– შეგიძლია, ხვალამდე მაინც დამიტოვო? მამა-

ჩემი გაგიჟდება, რო ნახავს.

– მამაშენს ურჩევნია, ფიზიკის ლექტორთან შემაწიოს სიტყვა. – ეშმაკურად აპარებს კოტე.

– ეგ რო ვუთხრა, არ არსებობს. ხომ იცი, მეც არაფერს მიკეთებს. – უხერხულად იშმუშნება ზაზა.

– შენ რა გიჭირს? ჯერ მეორე კურსი არ დაგვიხურავს და უკვე წაიპრაფესორებ. დიდი მომავალი გელის, ხომ იცი?! – მაღალფარდოვნად წარმოთქვამს კოტე.

– გეყოს ხუმრობა. ჰო, მე ეს დარგი მიყვარს და მაინტერესებს. ისე, შენი წინაპრის ხსოვნას მეტად უნდა უფრთხილდებოდე, სხვა თუ არაფერი, კაცი საქართველოს რადიოს „ხმამაღლა მოლაპარაკეს“ ერთ-ერთი პირველი თანამშრომელი და ოპერის თეატრიდან პირველი რადიოგადაცემის ცოცხალი მოწმე იყო. ეხუმრები?! კიდევ კარგი, მამაშენმა შეინახა მისი საგაზეთო წერილები, სადაც ამ ყველაფერზე თავად ყვება.

– ოჰ, ეგეც ეხლა პოპოვი გვყავდა რა, ან ედისონი..... – ქირქილებს კოტე.

– კარგი ბიჭო, შენ გული გქონდეს აცრუებული სწავლაზე, ვინმეს ბრალია თუ რა?! – ბრაზობს ზაზა. – სხვათა შორის, იცი, რა თქვა ედისონმა: „გენიოსი – ეს ერთი პროცენტი შთაგონებაა და ოთხმოცდაცხრამეტი – ოფლის ღვრა“.

– ყველა გენიოსი ვერ გახდება, რამდენიც გინდა, ღვარე ოფლი. – ცალყბად წარმოთქვამს კოტე.

– ეგ ჩემი საქმე არ ყოფილა და მორჩა. ალბათ აკადემიურს ავიღებ, მერე ვნახოთ.

– ეგრე არ გამოვა, ძმაო. – არ ეპუება ზაზა – სხვათა შორის, ედისონმა ესეც თქვა: „ჩვენი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ საკმაოდ სწრაფად ვყრით ფარხმალს. ჭეშმარიტი გზა მეცნიერული წარმატებისაკ-

ენ – ესაა, ყოველთვის ვცადოთ კიდევ ერთხელ“.

– გეყოს რა ბიჭო, ეგ ბრძნული შეგონებები. – ცხარდება კოტე. – ედისონისა არ ვიცი და მამაჩემივით კი ლაპარაკობ. ეს – ოჯახური ტრადიციის გაგრძელებაო, იქნება შენც თქვა შენი სიტყვაო, გამომგონებელი გახდეო. კარგია, არა ეგეთი შეკვეთები!

– ჰო, გეყოს. ნერვიულობით რას გახდები? მოდი, დავიწყოთ ბარემ. ვეცდები, გასაგებად აგიხსნა. – უყვავებს ზაზა მეგობარს.

– აკი გაზეთის წაკითხვა გეჩქარებოდა?

– ცხადია, მაგრამ ხომ მიტოვებ?

– გიტოვებ კი არა, თუ გინდა, სულაც გაჩუქებ. – ამთქნარებს კოტე – ისეც ძლივს ვნახე, სადღაც მიჩურთული. ეხლა მამაჩემიც ყოველდღე მაგას არ აბულბულებდეს.

ზაზა უკმაყოფილოდ აქნევს თავს. – მოკლედ, თუ გინდა ცოტა დაისვენე, ვიდრე წავიკითხავ. გზამაც დაგღალა, ეტყობა.

– აბა, გლდანიდან საბურთალოზე გამოსვლას ეხუმრები ამ „პროპკებში“?!-ცხარობს კოტე. – მიდი, მიდი, წაიკითხე. მე მანამდე სიგარეტს მოვწევ.

– ყავა ხომ არ გაგიკეთო?

– არა, ჯერ არ მინდა. ცივი რამე თუ გაქვს.....

– მიდი, გამოაღე მაცივარი. მინერალურიც არის და ლიმონათიც.

ზაზა მოუთმენლად შლის გაზეთს.

– ვაა, ლუდიც გქონია! – აღფრთოვანებით გამოსძახის კოტე სამზარეულოდან.

– ლუდი არ დალიო, ბიჭო, სამეცადინო გვაქვს. – ბრაზობს ზაზა. სამზარეულოდან ბოთლის ხუფის ჩხაკუნი მოისმის. ზაზა უკმაყოფილოდ აქნევს თავს და გაზეთს უბრუნდება:

„1924 წლის 13 თებერვალი თბილისის ოპერის თეატრის ცხოვრებაში ერთ-ერთ საინტერესო თარიღად შედის. ამ დღეს თეატრის დარბაზიდან პირველად მოეწყო რადიოტრანსლიაცია ქარხანა „ტემზას“ მუშებისათვის. მუშები და მათი ოჯახის წევრები მივიდნენ თავიანთ ქარხანაში, რათა მოესმინათ ბიზეს ოპერა „კარმენი“ იმავე შემადგენლობით, რომლითაც მიდიოდა იგი იმ საღამოს სახელმწიფო ოპერის სცენაზე ორკესტრის, გუნდისა და მთავარ პარტიათა შემსრულებლების – მუხტაროვას /კარმენი/, ევლახოვის /ხოზე/ და ქარცივაძის /ტორეადორი/ მონაწილეობით.

ოპერა ქარხანა „ტემზას“ კლუბში დაიწყო სრულ 8 საათზე, იმავე მომენტში, როდესაც სახელმწიფო ოპერის შენობაში დირიჟორმა წკეპლა მაღლა ასწია და ორკესტრმა უვერტიურა დაუკრა. ისევე, როგორც იმავე საღამოს იწვევდა მაყურებელთა ტაშს თეატრში მუხტაროვასა და სხვების სიმღერა, ქარხანაშიც ასევე იწვევდა ქებას მუშების მხრივ ოპერა, რომელიც კარგად ისმოდა პირველიდან უკანასკნელ ნოტამდე. თვალით ვერ უცქერდნენ, მაგრამ სამაგიეროდ მშვენივრად ისმენდნენ. ამის შესაძლებლობა შეიქმნა ჩვენი საუკუნის ტექნიკის სასწაულის – „ხმამაღლა მოლაპარაკეს“ მეოხებით. რადიოტექნიკის ამ უკანასკნელმა სიტყვამ მისცა „ტემზას“ მუშებს შესაძლებლობა, რათა ოპერის სცენასთან შეერთებული ჩვეულებრივი ტელეფონის მავთულების საშუალებით მთელი ოპერა მოესმინათ თავიანთ ქარხანაში.

ბგერები მოლივლივებდნენ „ტემზას“ მუშათა კლუბის შენობაში რუპორის ორი მილით, რომლებიც ტელეფონით იყო შეერთებული სახელმწიფო ოპერის თეატრთან. ბგერების უკეთესი რეზონირების მიზნით რუპორები ორ, ერთმანეთზე შემდგარ მაგიდაზე იყო დაყენებული.

არათუ მომღერალთა ხმა, ორკესტრის დაკვრა, არამედ მსმენელთა ტაში და შეძახილებიც ისევე ისმოდა, თითქოს შენც ოპერაში ხარ, სპექტაკლს ესწრები.

დიდი კულტურული მიღწევაა!

კავშირგაბმულობის თანამშრომელი ანტრაქტებში აცნობდა დამსწრეთ „კარმენის“ შინაარსს.სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მუშებმა მადლობა გადაუხადეს მთავარი პარტიების შემსრულებლებს, რაც მაშინვე გადაცემულ იქნა ოპერის თეატრში.დღეს მთელი ვეებერთელა საბჭოთა კავშირი რადიოთია დაქსელილი და კუნჭული არაა დარჩენილი ისეთი, რომ ათასგვარი ჰანგი არ ისმოდეს. თვალსა და ხელს შუა უზარმაზარი ძვრების მოწმენი გავხდით.საქართველოს დედაქალაქის რადიოფიცირების გარიჟრაჟზე ჩვენი ოპერის თეატრსაც წილად ხვდა მცირე წვლილის შეტანა.“

ზაზა თავს სწევს და ახლაღა ამჩნევს, რომ მისი მეგობარი ოთახში არაა.

– წავიკითხე, ბიჭო. მართლა, რა საინტერესო სტატიაა. ერთი სული მაქვს, მამაჩემი როდის დაბრუნდება უნივერსიტეტიდან. რომ ნახავს, გადაირევა....ბიჭო, კოტე, შენ ისევ სამზარეულოში ხარ? – გასძახის მეგობარს.

– ჰო, აბა სად ვიქნები? – სამზარეულოდან კოტეს მხიარული ხმა მოისმის.

– ბოდიშს კი გიხდი, დაუკითხავად მეორე ბოთლიც რომ გავხსენი. გამოგხედე და ისე იყავი კითხვაში ჩაფლული, ხელი აღარ შეგიშალე. მამაშენი ხო არ გაბრაზდება?-კოტე სახეგაბრწყინებული ბრუნდება ოთახში.

– ძლივს არ გახსენი შუბლი? – ზაზა უკმაყოფილოდ შესცქერის მეგობარს.

– მაშ, მაგარია, არა?

– ეს კია მაგარი, მაგრამ შენს საქციელზე ამას ვერ იტყვი. ეხლა რიღას მსწავლელი ხარ?

– ერთი, ფეხებზე მკიდია უკვე....ოჰ, ბოდიში, ბატონო. მაგრამ აკი გითხარი... ოღონდაც ედისონის ციტატები აღარ დამიწყო ახლა.

– არაფერსაც არ დაგიწყებ. არ გინდა და ნუ გინდა. უბრალოდ, პაპაშენის სახელს არცხვენ და ეგ არის. – ზაზა ფრთხილად კეცავს გაზეთს.

– შენ მაინც რა მაგრა გაინტერესებს ეგეთი

ძველი ისტორიები. – კოტე კვლავ სავარძელში ჯდება და სიგარეტს უკიდებს. – ამას წინათაც ყვებოდი რაღაცეებს თენგოს დაბადების დღეზე, მაგრამ მაშინ ძაან თიში მქონდა და აღარც მახსოვს...

– სამაგიეროდ მე მახსოვს. საქართველოში რადიოს პირველ გამომგონებლებზე გიყვებოდით.

– ვაა, ბევრნი არიან თუ? – ცალყბად ეღიმება კოტეს.

– მე ორი ვიცი მამაჩემისგან და მწირი ინფორმაციები მათ შესახებ ინტერნეტშიც დაიდო უკვე. – წყენას არ იმჩნევს ზაზა. – რო გაინტერესებდეს, არ დავიზარებდი, კიდე მოგიყვებოდი. იქნებ ამასობაში გამოფხიზლდე და ცოტას წავიმეცადინებდით კიდეც.

– ჰო, დაიწყე, დაიწყე, ჩემი რა მიდის. – კოტე კვლავ არხეინად აბოლებს სიგარეტს.

ზაზა უხალისოდ შლის პატარა უბის წიგნაკს. – აი, აქა მაქვს ჩანიშნული რაღაც-რაღაცეები და ზუსტი თარიღები. ინტერნეტიდან ამოვწერე.

– ზუსტი თარიღები რაღაში გვინდა? – კოტე სიგარეტს აქრობს და ახლა მობილურს იღებს ჯიბიდან. – მოიცა, ერთი, ეკას დავურეკავ. კარგად გამახსენდა. ბარემ საბურთალოზე ვარ და თუ სცალია, შევხვდები. – ზაზა ხელს ჩაიქნევს და უბის წიგნაკს ისევ ხურავს.

– ჰო, ეკაჩო, მე ვარ. რას შვრები?

– .....

– ერთ საათში გეცლება? ძალიან კარგი. მაშინ ზუსტად შვიდზე ვიქნები ბუკიას ბაღთან. – კოტე კმაყოფილი სახით თიშავს მობილურს.

– ერთ საათშიო, რომ ეუბნები, სწავლა?...- აღშფოთებას ვერ მალავს ზაზა.

– დღეს რაღაც ვერა ვარ ხოდზე. – მშვიდად ეპასუხება კოტე. – ჰოდა, ვიფიქრე, ეკას მაინც ვნახავ -მეთქი. ორი დღე კიდევ ხოა გამოცდამდე. რამდენიმე საკითხს ჩემით მოვაჯახირებ და რაც იქნება, იქნება.

– როგორც გინდა, – ხელს ჩაიქნევს ზაზა, – შენი საქმისა შენ იცი. მაშ, ეს ერთი საათი რა ვაკეთოთ?

– მიდი, მომიყევი იმ შენ გამომგონებლებზე და დროც გავა. – კოტე კვლავ სიგარეტს უკიდებს. ზაზა კვლავ უკმაყოფილოდ აქნევს თავს.

– რამდენს ეწევი?

– მიდი, მიდი, გისმენ. – აგულიანებს კოტე.

– კაი, დავიწყებ. პირველ ქართველ გამომგონებლად რადიომაუწყებლობის ისტორიაში ითვლება გრიგოლ /ნიკოლოზ/ ბეჟანის ძე ნახუცრიშვილი. როგორც გითხარი, ინტერნეტში მწირი ინფორმაცია დევს, მაგრამ ცნობილია, რომ 1900 – 05 წლებში იგი სწავლობდა ესტონეთში, ტარტუს, მაშინდელი იურიევის უნივერსიტეტში. ჰო, ინტერნეტში დერპტი წერია, ტარტუს უფრო ადრინდელი სახელწოდება, მაგრამ გადავამოწმე და მაგ წლებში იურიევი ერქვა.

– ნეტა შენ, მაგას რაღა მნიშვნელობა აქვს? – ქირქილებს კოტე.

ზაზა ყურადღებას არ აქცევს და კვლავ უბის წიგნაკს ფურცლავს. – ჰო, გრიგოლი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ პარალელურად 1900-1904წლებში თურმე მუშაობდა ელექტროკავშირის ასოთმბეჭდავი აპარატის კონსტრუქციაზე, რომელიც იძლეოდა რადიოკავშირის ავტომატური მიღება-გადაცემის საშუალებას. სამწუხაროდ მკვლევარმა ეს საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. იგი სრულიად ახალგაზრდა, 29 წლისა გარდაცვლილა და იქვე, ტარტუშია დაკრძალული. მამაჩემისგანაც ვიცოდი, რომ საქართველოში გრიგოლ ნახუცრიშვილის სახელი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გაუგიათ.

– ზაზა კვლავ უბის წიგნაკში რგავს თავს. – 1906 წლის „ცნობის ფურცლის“ სურათებიან დამატებაში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც მისი გარდაცვალების წლისთავს მიეძღვნა. იქვე დაბეჭდილი ყოფილა გამომგონებლის ფოტო-პორტრეტი და მისი ხელსაწყოს ფოტო წარწერით: „გრიგოლ ნახუცრიშვილის მიერ გამოგონებული მანქანა უმავთულო ტელეგრაფისა“. – ზაზა სინანულით ოხრავს. – ამ ხელსაწყოს კლავიატურის რამდენიმე დეტალი და ცილინდრის ნაწილი თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება თურმე. ჰოდა, გულზე ვსკდები, აქამდე რომ ვერ მოვაბი თავი წასვლას.

– ჰოო,- სერიოზულდება კოტე – ეგ შენ როგორ დაგემართა? მოდი, გამოცდების მერე წავიდეთ, ეკაჩოსაც შევაბამ, მგონი სწორედ თელავში ყავს ნათესავები, თუ თელავთან ახლოს. ეგ მუზეუმიც ვნახოთ და კაი დროც გავატაროთ.

– შენ მარტო დროსტარება გადარდებს! – ცხარდება ზაზა – ადამიანები ცხოვრობდნენ, იღვწოდნენ, ათას გაჭირვებას და სირთულეს უმკლავდებოდნენ და უმეტესად მაინც აღწევდნენ მიზანს. როგორ შეგიძლია ასეთ თემებზე აგდებულად ლაპარაკი?!

– ეგრეც არ არის საქმე. – უეცრად წყნარი ხმით ეპასუხება კოტე. – რატომ? მე მიყვარს ადამიანები, ბუნება, პოეზია, თითქოს არ იცოდე. ყველა მართლა მეცნიერი და გამომგონებელი ხომ ვერ გამოვა?! კი, ბატონო, შევცდი, რომ ფილოლოგიურზე არ ჩავბარე და მშობლების დაჟინებით „ოჯახის ტრადიციებს“ შევეწირე..... – კოტე ნერვიულად ხითხითებს. – ამიტომაც ვარ გაორებული და როგორც ვხვდები, ხეირიანად შენც არ მიცნობ. სხვათა შორის, ერთი ჩვენი თანამედროვე პოეტია, ძაან ცნობილი, მაგ შენი გამომგონებლის მოგვარე – გაგა ნახუცრიშვილი. აბა, ეხლა აქეთ გკითხავ, წაგიკითხავს მაგისი ლექსები?

– წაკითხვით არა, თუ მგონი ადრე ....ყოველ შემთხვევაში გამიგია. – შემცბარი ზაზა უბის წიგნაკს ხელში ატრიალებს.

– ჰოდა, კაროჩე, იმას ვამბობდი, ხშირად ხდება რა, ადამიანები ერთმანეთს თითქოს ვიცნობთ და სინამდვილეში მის მხოლოდ ერთ რომელიმე მხარეს ვხედავთ. ამის მიხედვით კი მთლიან პიროვნებაზე ვერ ვიმსჯელებთ.

– ბიჭოს, შენ რადიოტექნიკოსი არა და ფილოსოფოსი კი ყოფილხარ – რაღაც უხერხულად იცინის ზაზა.

– მაგისი რა მოგახსენოთ, – კოტე კვლავ სიგარეტს უკიდებს. – აი, გაგა კი მართლა ფილოსოფოსიცაა და პოეტიც. ეხლა ნაწყვეტს წაგიკითხავ ჩემი საყვარელი ლექსიდან, „ერთი კაცი“ ჰქვია, თითქო ჩემზეა დაწერილი. უფრო სწორად, ვინც წაიკითხავს, ალბათ ზუსტად ჩემსავით იფიქრებს. მოიცა, დავაბიჩოკო... – კოტე სიგარეტს ნაჩქარევად აქრობს და მკაფიო ხმით იწყებს:

„სინამდვილე თუ თამაში ჩრდილებით,
თუ სიზმრები აუხსნელი, ახსნილი,
მე ვიცხოვრე ისეთ სინამდვილეში,
ხშირად თვითონ არ ვიყავი ნამდვილი.“

– აბა, რას იტყვი?

– ჰო, მართლა ძალიან მაგარია, ხომ იცი. – შუბლს ისრესს ზაზა. – შენი პოეტი რომ იტყვიან, გულში არტყამს. ....ვაღიარებ, ეგეთ საკითხებზე არასდროს დავფიქრებულვარ.

– ჰოდა, შენც დაფიქრდი, ძმაო. მარტო „ხმამაღლა მოლაპარაკეს“ გამოგონება არ კმარა. რადიო და მერე ტელევიზორი იმიტომ მოიგონეს, რომ ხანდახან მოუსმინონ შენნაირებმა იმათ „ლაპარაკს“. მარტო ფორმულებში და ნახაზებში კირკიტი არ კმარა სამწუხაროდ. სხვა წიგნებიც უნდა იკითხო, ქუჩაშიც გახვიდე...

– კარგი, წავალ, ყავას მოვადუღებ. ხომ დალევ? – ნაჩქარევად აწყვეტინებს ზაზა.

– კი, სიამოვნებით.

. . . . . .

მეგობრები ერთხანს უხმოდ წრუპავენ ყავას. სიჩუმეს კოტე არღვევს – მიდი, ძმაო, ბარე იმ მეორე გამომგონებელზეც მიამბე და წავალ მერე, დამაგვიანდება. ხომ იცი, შვიდზე ბუკიას ბაღთან უნდა ვიყო.

– ჰოო, – ფიქრებიდან ერკვევა ზაზა. – ისე, შენ ეს მეორე უფრო დაგაინტერესებს, მგონია. გორიდან ყოფილა, შენი ქალაქიდან.

– ვინა, ბიჭო, გვარი მითხარი. – მართლა ინტერესდება კოტე.

– აა, არ მითქვამს? – ზაზა კვლავ დაბნეული ჩანს – გვარად იანქოშვილი ყოფილა. სახელი უცნობია. მაგაზეც ინტერნეტში წავიკითხე. საზღვარგარეთ მიუღია განათლება. მასაც დამოუკიდებლად შეუქმნია რადიომიმღები და ვიდრე პოპოვის გამოგონება ოფიციალურად დადასტურდებოდა, 1895 წლის 7 მაისს, იანქოშვილს თავისი გამოგონების შესახებ ილია ჭავჭავაძისთვის უამბნია. ილიამ სწორად განჭვრიტა, რომ რუსეთის იმპერია ასეთ სენსაციურ ამბავს ქართველთა მხრიდან არ დაუშვებდა და იანქოშვილის სქემა სასწრაფოდ გაზეთ „ივერიაში“ დაუბეჭდავს. მაგრამ რუსებს ეს ინფორმაცია არ გამოპარვიათ. სპეციალისტებს კი მალევე აღმოუჩენიათ მსგავსება ქართველი გამომგონებლის სქემასა და პოპოვის სქემას შორის, თუმცა ეს ამბავი გასაგები მიზეზების გამო ვერ გაუხმაურებიათ.

– ვახ ჩემი, ბიჭო, მგონი ჩვენი გზები ამ ზაფხულს გაიყრება – იცინის კოტე. – შენ თელავში წაბრძანდები, მე კიდე გორში. ვიღაც-ვიღაცეებთან გავიკითხავ მაგ ტიპზე.....ბოდიში, გამომგონებელზე. ეგებ კიდევ რამე ინფორმაციას მივაკვლიო, სახელი მაინც დავაზუსტო.

– ჰოო, შენ იხუმრე, იხუმრე. – იშმუშნება ზაზა.

– სულაც არა ვხუმრობ. – კოტე საათს ახედავს. – მაგაზე მერე ვილაპარაკოთ, თორე ეკაჩოსთან დამაგვიანდება....ბიჭო, რა იცი, კიდე რო გნახავ, გაგა ნახუცრიშვილის ლექსების კრებულს მოგიტან.

– კარგს იზამ. – ეპასუხება ზაზა. – „ერთი კაცის“ თემამ სერიოზულად დამაფიქრა, რო იცოდე. გულზე მომხვდა ძალიან... მოკლედ, მართალია, ვერ ვიმეცადინეთ, მაგრამ მგონი ჩვენი დღევანდელი შეხვედრა საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ორივესათვის.

– ნუ იცი ეგეთი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი. – იცინის კოტე. – ისე, მეც ეგრე ვფიქრობ. – კოტე დერეფანში გადის და საკუთარ გამოსახულებას დაკვირვებით შესცქერის კედლის სარკეში, ოხრავს. – ადამიანს ათასი სურვილი და ოცნება აქვს ცხოვრებაში. რამდენი რამ გინდა გააკეთო, მოასწრო, მაგრამ ნებისყოფა და ენერგია ყოველთვის არ გყოფნის. ეგება და მაინც...

– კარგად გამოიყურები ბიჭო, ეკაჩოს ნამდვილად მოეწონები – სიტყვას ბანზე უგდებს ზაზა. კოტე არ ეპასუხება. ისევ საკუთარ გამოსახულებას შესცქერის დაკვირვებით. – გაზეთს მიტოვებ არა? – ზაზა ცდილობს, ფიქრებიდან გამოარკვიოს მეგობარი.

– ჰო, რა თქმა უნდა...ოღონდ მერე დამიბრუნე.

– რაზეა ლაპარაკი, მადლობა დიდი.

– აბა, კარგად. მადლობელი მე ვარ, ტყულა გაგაცდინე.

– ეგ არაფერი, ძმაო. მე უკვე ყველა საკითხი ნასწავლი მაქვს.

– პრინციპში ეჭვიც არ მეპარებოდა – იცინის კოტე. – მაშინ წასვლამდე გაგას ერთ ლექსსაც გეტყვი, შენი ედისონის შეგონებების პასუხად:

„ცხოვრება მოკლე, თანაც ხანგრძლივი,
არ დაწყებულა და მორჩა თითქმის,
უმანძილოა ყველა მანძილი,
მე მაინც ისევ ნაბიჯებს ვითვლი....

– ჰოდა, ვნახოთ, სადამდე მიგიყვანს ნაბიჯების თვლა. – იღიმება ზაზა – აუცილებლად მომიტანე გაგას წიგნი.

– მოგიტან-მეთქი. აბა, კარგად, შეხვედრამდე....

გია ხოფერია

ᲨᲝᲠᲔᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲜᲓᲔᲑᲐ

სათოფურიდან ვხედავ ქალაქებს
შემოხევიათ ქვათა კალთები
და ჩემი სული ქალაქს განაგებს
აქედან გრძელი ცეცხლის დანთებით.
საუკუნენი ჰყრია ლანდებად,
კაცს მათი ცქერა ფიქრად ამაგებს?
სად კოშკებიდან ცეცხლი ვარდება,
სად დალეწავენ ფერად ქალაქებს...
მე ვარ ქალაქი გარდასულ დღეთა,
ნაჩეხი ხმალით, შუბით ნასვრეტი,
დროის ტრამალზე ვიწექი ღმერთად
და სამყაროზე ფიქრსაც ვასწრებდი.
მე ვარ ქალაქი აჩეხილ ქალთა,
აწივლებული ბავშვთა საბუდე;
ასობით წელი გალავნის კართან
მღელვარე ზღვებში გადავაყუდე....
მოდის ლანდები... ყოველ ცისმარე
შენ იხატები ქვათა კალთებით;
ჩემი თვალები წარსულს ისხამენ
აქედან გრძელი ცეცხლის დანთებით.
და წავალ ჩემთვის ცათა ლტოლვილი;
გადავშლი მიწას, ვნახავ ალაგებს,
სადაც ფანჯრებზე გადმოყრდნობილი
ქალწულთა სუნთქვა რევდა ქალაქებს.
მე ვარ ქალაქი გარდასულ დღეთა,
ნაჩეხი ხმალით, შუბით ნასვრეტი,
სიცოცხლე მქონდა სიკვდილთან ერთად
და სამყაროზე ფიქრსაც ვასწრებდი...
ცხენთა ჭიხვინი მოარღვევს დილას...
აგერ მონები იწვიან სიცხით...
ღამეა ბრძოლა, არავის ძინავს
და ამ ღამეზე ჩამოდის სისხლი.
ვერ გამაძევებს აქედან შიში,
მეფეთა რისხვა, წყევლა ქურუმთა,
რა ვაჟკაცების გამწყდარა ჯიში,
რამდენ სიყვარულს ბედმა უმუხთლა!
უდაბნოები წვანან სახლებზე
და მე მივდივარ ტრამალზე ქვიშის;
შენ აქ დარდებით უნდა გახევდე,
და ნუ ამოხვალ თუ გული გიშლის.
მოდის ლანდები... ყოველ ცისმარე
ისევ იმღვრევა ქვათა კალთები;
ჩემი თვალები წარსულს ისხამენ
აქედან გრძელი ცეცხლის დანთებით.



მხატვარი მარსიანი

კობა ცხაკაია

მასხარა _ კლოუნადა და ძალაუფლების მანდატი ქართულ მედია სივრცეში და ფეის-კომენტარები

„იმისათვის რაც შენ ჩაიდინე, ღმერთმა ისე გაცხოვროს, რომ მარტო შენს ხალხს დასცინოდე!"
(აზიური წყევლა)

„ცხოვრება სცენაა, ჩვენ კი ყველანი არტისტები ვართ!"
შექსპირი

„აგი ცხოვრება ისედაც ცირკია, ბიძია და რაღა შენ გინდა ტაკიმასხარაობა!"
ერთი იმერელი კაცი

ადამიანებო, იყავით ფხიზლად! – ამბობდა ჩეხი ხელოვანი იულიუს ფუჩიკი, რომლის პიესის მიხედვით, თავის დროზე დადგა არაჩვეულებრივი სპექტაკლი გენიალურმა ქართველმა რეჟისორმა მიხეილ თუმანიშვილმა და ჩვენს თეატრალურ ხელოვნებაში დაიწყო ახალი ეპოქა – ლეგენდარულ-ცხოვრებისეული პრობლემატიკით, ტრაგიკომიკური იუმორით აღსავსე, უბრალო ქართველი ადამიანის ამსახველი წარმოდგენათა ციკლისა, რომელიც დღევანდლამდე გრძელდება...

...და დაიწყო მანკიერი, დამალულ-დაფარული „ქართული სულის" გამომზეურება,რომელიც მანამდე რუსულ-იმპერიულ ლიტერატურაში ფუძნდებოდა და ფეხს იკიდებდა, მაგრამ თეატრმა და კინომ შეიძლება ითქვას „კატოკივით" გადაუარა და ამ გადასწორებულ მთა-ბარზე, ფსევდო-ლიბერალოიდური და ფსევდო-ევროპოიდული კულტურ-მულტურის დათესვა და დაშენება დაიწყო... შედეგად კი მივიღეთ ტაკი-მასხარების მთელი დასტა, ხელოვნებაში, რელიგიაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში – ისინი პოპულარულები გახადა ტრადიციების დაცინვამ, ძალაუფლება კი პოპულარულობამ სინით მიართვა. დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ცირკში, რომლის სანახაობის გადასახადს შვილების გამობრიყვებით და დროით ვიხდით! (ციტატა ინტერნეტიდან)...

ქართველები – ფენომენი, რომელიც ბევრს ჰგონია, რომ იცის, მაგრამ მას ქართველზე უფრო მეტად ვერავინ აამაღლებს და ვერავინ გათელავს.

პირველ რიგში უნდა ავიღოთ ილია ჭავჭავაძის უცნობილესი ლექსი „ბედნიერი ერი" ...

ეს ისაა, სადაც ყველაზე კარგად და ზუსტადაა გაკრიტიკებული ქართველების მიერ შეძენილი ის მანკიერი ჩვევები, რაც დღესაც კი არის გავრცელებული ჩვენს საზოგადოებაში.

უნდა ითქვას, რომ ილიამ თავის ლექსში დასვა დიაგნოზი და სწორად განსაზღვრა ქართული სულის ავადმყოფობის სიმპტომები და მერე უამრავი რამ დაწერა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემკურნალა ქართულ საზოგადოებას თავისი შერყეული სულისათვის...

ამ ნაწერებში მთავარი იდეა ის კი არ იყო, რომ მომხდარიყო მანკიერებამიბმული ტრადიციის აღმოფხვრა, არამედ მისი გამოჯანსაღება და მცდელობა პირვანდელ მდგომარეობამდე დასაბრუნებლად – თავი თუ გტკივა, მისი მოჭრა არაა აუცილებელი, სხვისას მაინც ვერ დაიდგამ, რადგან მაინც უთავო იქნები.

დღეს კი იმისათვის, რომ გახდნენ პოპულარულნი და შესაბამისად ძალაუფლების მატარებელნი, რას აკეთებენ?

დასცინიან...

დრო – პიკის საათის დრო, ანუ დრო როცა ტელევიზორს მთელი ოჯახი (უფროსებიც და ბავშვებიც) უყურებს.

მაყურებელი – 8-წლიდან 80-წლამდე.

ადგილი – "რეიტინგული" ტელევიზია და პოპულარული გადაცემის სტუდია.

მონაწილეები – ახალგაზრდა წამყვანები (გოგონა და ბიჭი 22-იდან 25-წლამდე) და სტუმარი 50 მიტანებული, ძალოვანების წარმომადგენელი, თავისი ეპატაჟურობით და იუმორით ცნობილი პიროვნება – მამაკაცი... და 50-მდე სტატისტი (გოგო-ბიჭები 17-25 წლამდე, ძირითადად სტუდენტები).

გავრცელების არეალი – მთლიანი საქართველო და უცხოეთის ქვეყნები.

წამყვანი გოგონა – ამდენ დასაცინ მასალას სად შოულობთ? (მაგარი ლოგიკური შეკითხვაა)

სტუმარი – (იცინის) სულ სასაცილო არაა

ყველაფერი... მთავარია ისე მოყვე, რომ სასაცილო იყოს (?!) და მორჩა! „დაჟე“ სხვისი სიკვდილი... აბა შენსას ვერ მოყვები დაააა...

(სიცილი და ტაში სტუდიაში)

წამყვანი ბიჭი – როგორ მიხვდით, რომ პოპულარული გახდით?

სტუმარი – (იცინის) ყველაფერს ვაკეთებ ქირურგიული ოპერაციების გარდა! ღმერთივით ვარ, რა... (პირჯვარს იწერს) მაპატიებს უფალი, იმედია... თუ არა და... ჯოჯოხეთში უფრო საინტერესო „სასტავი“ მელოდება...(იცინის)

წამყვანი ბიჭი და წამყვანი გოგო იცინიან

(სიცილი და მქუხარე ტაში სტუდიაში)

იმისათვის, რომ გახდნენ პოპულარულნი და შესაბამისად ძალაუფლების მატარებელნი, რას აკეთებენ? – დასცინიან?...

რას აკეთებს მასმედია? – პოპულარიზაციას უწევს დეგრადირების ამ აპრობირებულ მეთოდს...

რატომ? რაში ჭირდება, ან რაში ჭირდებათ?

...ავიღოთ „გენიალური და განუმეორებელი” გადაცემა – ნიჭიერი, ან თუნდაც ჯეო-სტარი – განსაკუთრებით როცა შერჩევით ტურებს ეხება გადაცემები. რას ეთმობა მეტი საეთერო დრო? ცუდი გამოსვლების ჩვენებას. რათა ბევრი ვიცინოთ? არა, რათა ბევრი დავცინოთ საკუთარ თავს! ხოლო საშუალო დონის გამოსვლებს ათწამიან კლიპებად წარმოადგენენ. მოგებული კი ვინ გამოდის? წამყვანი. ის ხომ ლევიტანივით (ცნობილი რუსი წამყვანი, მისი ხმის მიბაძვას ცდილობს მავანი) ტრაგი-ხმით გვამცნობს და გვიფასებს მომხვდურებს...

კარგად გამიგეთ, სასაცილოც ბევრია ამ დედა... დალოცვილ (მარხვაა და მომიტევეთ) გადაცემებში, მაგრამ მთლიანად ყველაფერი აგებულია ისე, რომ მაყურებელი დარწმუნდეს, რომ სა-სა-ცი-ლო-ააა და დასაცინია...

ამიტომაც ამ გადაცემების ხარისხი და რეიტინგი ნელ-ნელა ეშვება იქ, სადაც მის ორგანიზატორთა დამსახურებით უნდა იყოს წესით... ინტერნეტი არსებობს და ვიცით როგორ მონტაჟდება და კეთდება სხვა „არა-ნორმალურ” ქვეყნებში ასეთი გადაცემები ისინი იყენებენ იუმორს, მაგრამ ძირითადად აქცენტი წარმატებულ ნომრებზე კეთდება, თუ იცით რატომ? – არა იმიტომ, რომ ჟიურიმ და კადრს იქით მიმალულმა წამყვანმა „იკაიფონ” ისედაც გასაცოდავებულ ადამიანებზე, არამედ იმიტომ, რომ მაყურებელს გემოვნება აუმაღლონ და ნომრების მომზადებაში მეტი ენერგია დახარჯონ... ამდენი დაცინვა სირცხვილია... ილია მოკლეს, მაგრამ სანამ ის დაწერდა (და მერეც) „ბედნიერ ერს”, ილია იყო... მაგრამ თქვენ არა გაქვთ უფლება ისედაც ზღვარს მისულ ხალხს დასცინოთ, რადგან მას თავისი შინაგანი ნიჭის თუ პროტესტის გამოსახატავად („ჰოპლა, ჩვენც ვარსებობთ“) მხოლოდ ეს „სატინგიცო” გადაცემები დაუტოვეს... გრცხვენოდეთ, „ნიჭიერის” მესვეურებო...

P.S.

ეს არ ეხება ორ წამყვანს, რომლებიც კულისებში დგანან და ყველანაირად ცდილობენ ეს „ამაზრზენი კლოუნადა” ცოტათი მაინც ადამიანურად აქციონ... ისინი ნამდვილად არ დასცინიან, ისინი განიცდიან!!!! (ნაწყვეტი ინტერნეტიდან)

დიახ, ეს „მასხარული“ ფენომენი – სამწუხაროდ მე-20 საუკუნეში ჩამოყალიბდა ფენომენად, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „ილიას კომპლექსი“, ანუ კომპლექსი, როცა თავის გამოჩენის მიზნით იწყებ ერის და ბერის მანკიერი მხარეების წარმოჩინებას და მის გამომზეურებას და ამ „სიბინძურის“ ფონზე თავად საკმაოდ „სუფთა, პროგრესული, ინტელექტუალური და რაც მთავარია, პოპულარული ხდები“.

აი ზოგიერთი მოსაზრება, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე ამოვკრიფე ინტერნეტიდან, ანუ იმ ჯერ კიდევ არაკონტროლირებად სივრციდან.

მოკლედ რას ფიქრობენ ქართველებზე და ქართველობაზე:

1)ჩვენ გვაქვს უძაღლო ქვეყანა, სადაც არამარტო კატები, არამედ მწერებიც კი ყეფენ.

2) ჩვენი პოლიტიკური კულტურა ვერ გასცდა კუმირებისა (კერპების) და მათი მტრების ძიებას. 3) ჩვენი რწმენა ვერ გასცდა სამარხვო ნამცხვრებს. 4) ჩვენი ლიტერატურული აზროვნება ვერ გასცდა საკითხს – „დათა თუთაშხია“ მართლა ამირეჯიბისაა თუ კონსტანტინეს მოპარა. 5) ჩვენი ისტორიული ანალიზის უნარი შეილია მარადიულმა თემამ – სტალინი უფრო მაგარი იყო თუ ბერია.

6) ჩვენ გვიყვარს და ვამაყობთ „ვეფხისტყაოსნით“, რომელიც სკოლაში ძალით გვასწავლეს.

7) ჩვენ გვაქვს უამრავი ლექსი თბილისზე, გვიყვარს თბილისი, ვაღმერთებთ თბილისს, თუმცა იმაზე ვერ ვთანხმდებით თუ როგორი უნდა იყოს ნამდვილი თბილისელი. 8) ვაღმერთებთ ქართულ სილამაზეს სიმთვრალეში, სიფხიზლეში კი „გაუპარსავ“ ქართველ ქალებს რუსები გვირჩევნია.

9) ჩვენთვის დედა სიწმინდეა, რომელიც იმდენად გავაიდეალეთ, რომ ფეხებზე გვკიდია მისი ჯანმრთელობა, რადგან უხორცო გვგონია, რომელსაც ჯანმრთელობა არც აქვს. მთავარია დროსტარება!

10) ჩვენთვის ღვინო წმინდა სითხეა, მაგრამ უამრავი ლიტრის შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ ისიც კი წყალდება. 11) ჩვენი ძმაკაცობა (და საერთოდ-კაცობა) გაუტოლდა და ვერ გასცდ-

და თანამესუფრეობას. 12) ჩვენ ვართ ნამდვილი რაინდები და რაინდულადაც ვიტანთ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემებს.

13) ჩვენ გვიყვარს ლამაზი ადამიანი, ლამაზი სიტყვა, ლამაზი სიმღერა – მოკლედ ყველაფერი რაც ბრწყინავს, თუნდაც ოქრო არ იყოს.

14) ჩვენ არ ვიყიდებით! 15) ჩვენ ვართ მოხუცი ერი, რომელსაც იდეალთა გაორება დაემართა (9 აპრილი, თუ 7 ნოემბერი?, ვერ ვიტანთ რუსებს და ყველაფერი ჩავაბარეთ მათ); 16) ჩვენ არ გვიყვარს იდეალისტები (არ გვიყვარს რა, გვეზარება უბრალოდ). არ გვინდა ამდენი ანკესი (არ იჭმევა), თევზი მოგვეცით ვინმემ, თევზი!

17) ჩვენ ვართ ქართველები და გადავეგეთ პირადულ კეთილდღეობას, გვწამს რა, რომ ეს ჭეშმარიტად საერო საქმეცაა!

18) ჩვენ ვართ ქართველები და გვიყვარს ჩვენი სახელოვანი ისტორია, რომელიც არ ვიცით!

19) ჩვენ ვართ ქართველები და უკლებლივ ყველა ვართ ჭეშმარიტი პატრიოტები, რაც ვერ გასცდა მეტყველებაში-პათოსს და მოქმედებაში-მართკუთხა მაგიდას! 20) ჩვენ ვართ ქართველები და ყველანი მზად ვართ ჩვენი საქმეებით ვემსახუროთ ქვეყანას, რომელიც ჩვენთვის სულზე უტკბესია, ოღონდ ნუ იქნება ომი! გვეშინია! 21) ჩვენ ვართ ქართველები, რომლებსაც გვძულს მკრეხელი ათეისტები, მაგრამ ჩვენი დღევანდელი ცხოვრება ყველაზე დიდი (თან შეფარული) მკრეხელობაა!

22) ჩვენ ვართ ქართველები და გვეზარება აზროვნება!

23) ჩვენ ვართ ქართველები და გვეზარება კითხვა! 24) ჩვენ ვართ ქართველები და გვეზარება რწმენა! 25) მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ვართ ქართველები და მაშასადამე მოაზროვნეები! 26) ჩვენ ვართ ქართველები და მაშასადამე ვიცით ბევრი! 27) ჩვენ ვართ ქართველები და მაშასადამე გვწამს ყველაზე ძლიერ!

28) ერთი სიტყვით კი: ჩვენ გვიყვარს ჭურჭელი და არა ის, რაც შიგ ასხია, თუნდაც შხამი აღმოჩნდეს!

29) ჩვენ ვართ ფარისევლები!

და უკვე იმდენად გულის ამრევია ჩვენი ფარისევლობა, რომ ვინმემ რომ იწინასწარმეტყველოს, თუ ასე გააგრძელეთ, გადაგვარება არ აგცდებათო, ნამდვილად არ გამიკვირდება და დავეთანხმები კიდეც... (აბზაცი ინტერნეტიდან)

სამწუხაროდ ავტორთა ვინაობას ვერ დაგისახელებთ, თუმცა საგულისხმოა, ამ ტექსტის პათოსი პირდაპირ პასუხობს „ილიას კომპლექსს“...

იქმნება დემაგოგიური, დიახ, დემაგოგიური გარემო, რადგან დემაგოგიაა ის, რაც ამას ყველაზე კარგად ახასიათებს – დემაგოგია – უკეთეს შემთხვევაში ნახევრადსიმართლე, უარესში კი ხუთი პროცენტი სიმართლე, ოთხმოცდათხუთმეტი კი ტყუილი, ან შექმნილ-მოგონილი რეალობა...

ქმნიან სანახაობრივ თეატრს, რეალობას, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს, ანუ რომელზეც ითქვა, რომ ეს „მასხარული რეალობაა“... სადაც ჭკვიიანი, მხოლოდ მასხარაა და დანარჩენი კი დაცინვის ობიექტია...

„ცხოვრება სცენაა, ჩვენ კი ყველანი არტისტები ვართ!“..

ნუ ვიცხოვრებთ თეატრში, ვიცხოვროთ რეალურ სამყაროში და მაშინ არ დაგვჭირდება ნიღბების მიწებება არც საკუთარი თავისთვის და არც სხვებისთვის! თუმცა ნიღბებიან გარემოში ძირითადად ცხოვრობენ დიდი ფანტაზიის და განუხორციელებელი, მათი ძალებისა-გონიერებისა-ნიჭისთვის შეუფერებელი ოცნებებით დამძიმებული ჩამოუყალიბებელი პიროვნებები.

სამწუხაროდ, ასეთი საკმაოდ ბევრია!

პეიზაჟით დეკორაციებში ნუ დავტკბებით, დავტკბეთ რეალობაში.

ასევე პორტრეტებით ნუ დავტკბებით, რომლებსაც ფანტაზიის, საკუთარი განუხორციელებელი სურვილების და მოჩვენებითი ცოდვების საშუალებით ვახატავთ სხვებს.

დავინახოთ რეალობა! მისი დანახვა კი მხოლოდ საქმიდან გამომდინარე შეიძლება.

საქმიდან და არა ჭორაობიდან. მსჯელობიდან და არა ლაქლაქიდან!

ანუ ისეთი სიტყვების ნაკადიდან, რომელიც მადლიანი საქმისაკენ გიბიძგებს და არა იმისკენ, რომ ცუდი აკეთო. ანუ იყო უმოქმედოდ და ეს აბრალო სხვას, რომელსაც ვითომ ნიღაბი აქვს აფარებული, ნიღაბი, რომელიც ჩვენ ავიფარეთ და მას არა აქვს.

რეალობა ძალიან სასარგებლოა. რეალობა არ გაძლევს დაბოღმვის და გაბოროტების საშუალებას, რეალობა სახეზე ღიმილს მოგგვრის და კეთილი საქმის კეთებისაკენ გიბიძგებს.

დავინახოთ საკუთარ თვალში დირე და სხვის თვალში ნუ ვეძებთ ჩხირს (თუმცა ეს უფრო ჭკვიანური გგვგონია – ასეა, ნიღაბი ადვილი მისაწებებელია. ძალიან ადვილი)

მოგვეცა რეალობის ტკბობის და კეთილი საქმის (არაა საჭირო სხვისთვის, საკუთარი თავისთვისაც თუ რეალურად აკეთებ, სხვისთვის გაკეთებული გამოდის) კეთების მადლი!... (ციტატა ინტერნეტიდან)

დრო – პიკის საათის დრო, ანუ დრო, როცა ტელევიზორს მთელი ოჯახი (უფროსებიც და ბავშვებიც) უყურებს.

მაყურებელი – 8-წლიდან 80-წლამდე.

ადგილი – “რეიტინგული” ტელევიზია და

პოპულარული გადაცემის სტუდია.

გავრცელების არეალი – მთლიანი საქართველო და უცხოეთის ქვეყნები.

მონაწილეები – სამი სიმპატიური და ცნობილი წამყვანი (ქალები 25-იდან 45-წლამდე) და სტუმარი 60 გადაცილებული, თავისი ეპატაჟურობით ცნობილი პიროვნება – კაცი... და 50-მდე სტატისტი (17-იდან 25 წლამდე გოგო-ბიჭები, ძირითადად სტუდენტები).

სტუმარი – შენი დედა (წამყვანს), რომელ ანსამბლშიც ცეკვავდა, ხომ იცი... ჰოდა დედაშენი ჩემი საყვარელი იყო და როგორც ყველამ იცის, შენ ჩემი შვილი ხარ...

(სიცილი და ტაში სტუდიაში)

წამყვანი – საიდან ვარ მე შენი შვილი, მე რომ გავჩნდი შენ მერე იყავი დედაჩემის საყვარელი...

(ლაპარაკია დაქვრივებულ ადამიანზე, რომელიც მეუღლე იყო ცოტა ხნის წინ გარდაცვლილი ცნობილი და პატივსაცემი პიროვნებისა)

(სიცილი და ტაში სტუდიაში)

II წამყვანი – (იცინის) რა ხდება? სერიალის ამბებია?

(სიცილი და ტაში სტუდიაში)

სტუმარი – ამას დედა ყავდა?! თვითონ, ხომ ადრე შვლის ნუკრს გავდა?!

წამყვანი – (ცოტა დაბნეული, მაგრამ მხიარული) „შვლის ნუკრის ნაამბობი" ვიყავი..

(სიცილი სტუდიაში)

სტუმარი – მაგრამ დედამისი იყოოო...

(სიცილი და მქუხარე ტაში სტუდიაში) ?!...

...მოდით ბევრს არ მივედ-მოვედები და რაკი ყველაფერი თვალშისაცემი დღეს-დღეობით ჩვენთან შემოდის ევროპიდან-დასავლეთიდან, სწორედ ევროპიდან დავიწყოთ...

სიტყვა „კლოუნი" ევროპაში მე-16 საუკუნეში წარმოიშვა.

დასაწყისში, ის იყო ნიღაბი სოფლელი, „გაუთლელი" კაცისა, რომელსაც ყველა დასცინოდა. აქედან გამომდინარე, მის ირგვლივ არსებული ხუმრობებიც გაჟღენთილი იყო საკმაოდ უხეში ხუმრობებით.

გავიდა დრო და „კლოუნი" შეცვალა შედარებით „ზრდილობიანმა და ინტელექტუალურად დახვეწილმა" – მასხარამ, რომლის მოქმედების არეალმა სოფლის „ბირჟიდან" გადაინაცვლა უფრო კომფორტაბელურ და გავლენიან სივრცეში.

მასხარა – ევროპაში ეს იყო პიროვნება მონარქის, ან გავლენიანი არისტოკრატის კარზე, რომლის მოვალეობაც იყო გაერთო მისი პატრონი, ოჯახის წევრები და სტუმრები. (თუმცა ისტორიულად მასხარა არსებობდა დიდ ხნის წინაც, მაგალითად უფროსი პლოტინი, სამეფო ელინური მეფის პტოლომეი I კარზე მასხარას (პლანუს რეგიუს) თანამდებობის შესახებ მოგვითხრობს. თუმცა „მასხარა" ევროპულ შუასაუკუნეებთან ასოცირდება მაინც.)

მასხარა – ითვლება და ითვლებოდა მისი პატრონის სიმბოლურ ტყუპისცალად, ამიტომ მასხარას უფრო მეტი უფლება ჰქონდა, ვიდრე ვინმე სხვას. ხშირად ისინი ასრულებდნენ პრივილეგირებული კლასისათვის მთავარ სოციალურ და პოლიტიკურ როლს. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, ან არარსებობის პირობებში, როცა შეუძლებელი ხდება მთავარის (პირველის) კრიტიკა, ან როცა პირველს (მთავარს) არ ჰქონდა პოლიტიკური მდგომარეობის გამო გავლენიანი ქვეშევრდომების კრიტიკის საშუალება, ამისათვის გამოიყენებოდა მასხარა და მისი ნიჭი პრობლემის ვიზუალირებისა.

მასხარის „მანჭვა-გრეხისა" და „ქილიკის" საშუალებით გავლენიანი ძალაუფალნი აგებინებდნენ ერთმანეთს და, რაც მთავარია, საზოგადოებას, თავის თამამ და სარისკო პრეტენზიებს, სამომავლო გეგმებს და შეხედულებებს.

მაინც რა ხდება მასმედიაში?..

მოდით ტელეკომპანია „ი...ი" გადავაკეთოთ „უიმედობა"-დ ან უკეთეს შემთხვევაში „ნეკროლოგების არხად", ეგენი მაგის გარდა ახალ ამბებში მაინც არაფერს გადმოსცემენ და ყველაზე მეტ დროს საინფორმაციოებში მხოლოდ ასეთ უხვ სიკვდილიანობას-ეპიდემიობას-წარღვნობას-ვაის და ვუის ამსახველ სიუჟეტებს უთმობენ! „ქ....იკას" კი დავარქვათ – მთავარი საინფორმაციო „სამძიმარი"! ვაი-ვუი-ვაი-ვუი-ვაი-ვუი და იფ-იფ(როცა რაიმე სიუჟეტი, ისიც იშვიათად სახელმწიფო საქმიანობას ეხება) – აი, მთელი შინაარსი ტვ-"უბედურების"!

მიმოიხედავ და რას ამჩნევ?

ტელეკომპანია რ....ი 2-იც ასე არ არის?

ტელეკომპანია მ...როც კი საინფორმაციო სიუჟეტების უმეტეს ნაწილს ამას არ უთმობს?!

რატომ?

მათი უპირველესი ამოცანაა ხალხის დაზაფვრა?

„11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ერთი სისხლიანი ადამიანი თუ გამოჩნდა სი-ენ-ენზე ან სხვა საერთაშორისო საინფორმაციო გამოშვებებში. მკვლელობები და ვანდალიზმი ყველა ქვეყანაში ხდება, მაგრამ არავინ არ აჩვენებს მიცვალებულს და ჟურნალისტი ჭირისუფალს არ აწუხებს შეკითხვებით." (რეპლიკა)

ამ განათლებელ გოგო-ბიჭებს ეს ჟურნალისტობა ჰგონიათ?

(კრიმინალზე სიუჟეტების კეთება უფრო ადვილია, თუკი იმას, რასაც ისინი აკეთებენ, საერთოდ ქვია სიუჟეტი. ეს კი იმის ბრალია, რომ თემებს ვერ ხედავენ, ან არ ჰყავთ ტელევიზიაში

ისეთი ხალხი, რომლებიც ასეთ თემებს გააშუქებენ და ამიტომ ხელწერა გაიწაფეს მხოლოდ სასტიკეზე და სენტიმენტალობაზე. კლასიკური ქართული ტელესიუჟეტის შაბლონი:

1) კადრშია მოქმედების ადგილი, კადრს იქიდან ისმის „ჟურნალისტის" ხმა: – აი, ის ადგილი, სადაც მოისაქმა ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების აზრი შეიცვალა (და ასე შემდეგ...)

2) კადრშია ჟურნალისტი, რომლის უკან არის ზემოთხსენებული მოქმედების ადგილი და მოსაქმებულის მსხვილი ხედები, ჟურნალისტი: – თქვენ იცნობთ ძაღლს. თუ არა, ჩვენი გადაცემიდან მაინც გაგიგიათ მის შესახებ. ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების აზრი შეიცვალა. აი, ის ადგილი, სადაც მოისაქმა ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების აზრი შეიცვალა (და ასე შემდეგ, ანუ იგივე, რაც 1 სინქრონში...)

3) კადრშია აღშფოთებული პიროვნება, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ამ ფაქტთან, ის ამბობს: – ამას არ მოველოდი, მაგრამ აი, ის ადგილი, სადაც მოისაქმა ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების და ჩემი აზრი შეიცვალა (და ასე შემდეგ, ანუ იგივე, რაც 1 და 2-ე სინქრონში...)

4) მოლაპარაკე ძაღლია კადრში: დიახ, მე ვქენი ეს. აი, ის ადგილი, სადაც მოვისაქმე მე ოთხფეხა არსებამ, რომელსაც მეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ჩემს მიმართ ქართველების აზრი შეიცვლება. ვწუხვარ, მაგრამ ასეა (და ასე შემდეგ, ანუ იგივე, რაც 1,2 და 3-ე სინქრონში...)

5) ვინმე ჭკუის-კოლოფა, ის ამბობს: – ყველა ძაღლს აქვს უფლება მოისაქმოს. მაგრამ აი, ის ადგილი, სადაც მოისაქმა ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების აზრი შეიცვალა და ეს ძალიან მოძველებული და არაკომპეტენტურია, თუმცა რეალურია (და ასე შემდეგ, ანუ იგივე, რაც 1,2,3, და 4-ე სინქრონში...)

6) ისევ „ჟურნალისტი":- დიახ, როგორც ხედავთ საზოგადოება საქმის კურსშია(?!) და აი, ის ადგილი, სადაც მოისაქმა ოთხფეხა არსებამ, რომელსაც ეწოდება ძაღლი, თუმცა ამ საქციელის მერე ქართველების აზრი შეიცვალა (და ასე შემდეგ ანუ იგივე, რაც 1,2,3,4 და 5-ე სინქრონში...) გმადლობთ ყურადღებისათვის მომავალ შეხვედრამდე.

ახალი არაფერი! არც დასკვნა, არც პოზიცია, არც ახალი რაიმე... ესაა ტელე ჟურნალისტიკა, საღეჭი რეზინის აზროვნებით, ახალი არაფერი, იგივე, ოღონდ სხვა ხმით....

ეს ყველაფერი არ წყდება?

(ხანდახან ისეთი შეგრძნება იბადება მაყურებელში, თითქოს ტელევიზიის რედაქტორები ყოველდღიურად ლოცულობენ იმაზე, რომ რაც შეიძლება მეტი კაცი მოკვდეს, მოკლას, თავი მოიკლას ან მოხვდეს ავარიაში და ვვვვااااშშშაااااა! სატელევიზიო საინფორმაციო ეთერი შევსებულია, იაფფასიანი ბრტყელი(აზრობრივად) ვითომ-სიუჟეტებით დანაშაულის, ტრაგედიის, უბედური შემთხვევის ადგილიდან).

არ დამავიწყდება ჩემს ახლობლებთან საუბარი საზღვარგარეთ, ანუ იქ სადაც ნორმალური ტელევიზიებია, რომლებშიც ნორმალური განათლებულ-გათვითცნობიერებული ჟურნალისტები მუშაობენ:

„ – მართალია, რომ ხანძარმა ნახევარი ქალაქი პანიკაში ჩააგდო და თქვენთან ძარცვები დაიწყო?

– სად ჩვენთან?

– ნ------ში?

– ვინ მოგიყვა ეგ სისულელე?

– ტელევიზიით გადმოსცეს! ჩვენთან ამის შესახებ ყოველ არხზე მთელი დღეა ლაპარაკობენ!

– ჰა-ჰა-ჰა! მაგრა გიჭირთ, როგორც ჩანს! აქ ხანძრის შესახებ ერთხელ გადმოსცეს და ისიც გაკვრით! არც არაფერი მომხდარა და იმედია არც მოხდება!

– იმედია! "

იმედიااااااა....

ტელევიზია – ეს არის ინფორმაციის მომწოდებელი დაწესებულება, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში 70-80% უკავია და ის უნდა ეხმარებოდეს მოქალაქეს იცხოვროს ნორმალურად და ადეკვატურად აღიქვას მოვლენები, თემები და სიტუაციები, რომელიც მისი ოჯახის გარეთ ხდება, მხოლოდ ასეთ ვითარებაში ქვია მას სინფორმაციო ტელევიზია. ის კი რას გადმოსცემს?

სირცხვილი არ არის? – არის! არის! ნამდვილად არის!

მათ კი ხელს უწყობენ, რადგან ამ არხებს ეტყობა სულ სხვა დავალება აქვთ მიღებული?

ყურადღება უნდა მივაქციო იმას, რომ საინფორმაციო გადაცემების ბლოკები აწყობილია ისე, რომ საზოგადოებას ელდა ეცეს და არა ისე, რომ მან ინფორმაცია მიიღოს და წამყვანებთან ერთად შეძლოს მისი გაანალიზება და შემდგომ ნორმალურად ცხოვრების გაგრძელება!

ტელევიზია, მინდა ვთქვა, არ შექმნილა იმისათვის, რომ მაყურებელი დაზაფროს, რაზეც აქვთ აქცენტი ჩვენი ტელეეთერის საინფორმაციოს რედაქტორებს! არამედ მისი ფუნქციაა სხვადასხვა დოზით დღის სხვადასხვა მონაკვეთში მიაწოდოს ინფორმაცია და ანალიზის პირველადი მიმარ-

თულება დაუსახოს მაყურებელს, ანუ იმათ, ვინც საზოგადოებრივ ატმოსფეროს ქმნის – მუშაობს, მკურნალობს, ემსახურება, იცავს, ართობს, ამოწმებს, ახარებს, ასწავლის, სწავლოს, იკურნება...

ესენი კი მთავარ საინფორმაციო გადაცემას რამდენი ბლოკიც არ უნდა იყოს მასში აუცილებლად იწყებენ და ამთავრებენ უბედურებით!

თითქოს მათი უპირველესი ამოცანაა ხალხის „დაშოკვა"!

ალბათ იმიტომ, რომ „დაშოკილი" ხალხი უფრო ადვილად იქცევა ბრბოდ?

საოცარია დილის „იმედის" პოლიტიკა?!

მისი საინფორმაციო გასართობი(?!) ბლოკიც აუცილებლად იწყება სუიციდით(?!) ასეთ .... სიუჟეტურ წყობას კადაფის ტელევიზიაც კი არ აკეთებს. ამათ რაღა მოუვიდათ, რატომ იმძიმებენ სულს?

ტელევიზია (მის მიერ მოწოდებული პროდუქტი) არ მოქმედებს მხოლოდ ცნობიერ სამყაროზე, ის ზემოქმედებს ქვეცნობიერზეც, და ქმნისს „ადამიანის მოქმედების სტრუქტურას", რომლის დროსაც ცნობიერად და ქვეცნობიერად მიღებული ინფორმაციის საშულებით ადამიანი ცდილობს გადალახოს-დაძლიოს-გადაწყვიტოს პრობლემები.

„ადამიანის მოქმედების სტრუქტურა" კი ყალიბდება მიღებული რეალური ინფორმაციებით და მოდელირებული ფორმებით (სერიალებით, საინფორმაციო ანალიტიკური ბლოკებით და სხვა..).

- ჩვენ კი რას ვღებულობთ ქართული ტელევიზიის შემხედვარე?

პრობლემები გადაწყდება – 1) თუ თავს მოიკლავ!, 2) თუ ვინმეს მოკლავ; 3) თუ აიძულებ ვინმეს, მოკლას პრობლემის შემქმნელი!

ახლა თითქოს ძალიან ვაუქმებ სიტუაციას, მაგრამ რეალურადაა ასე. ადრე აქცენტი კეთდებოდა წამალზეც, საბედნიეროდ სახელმწიფო პოლიტიკა "წამლის" მიმართ შეიცვალა...

ასე ადამიანი ნელ-ნელა კარგავს სიცოცხლის მშვენიერების შეგრძნებას, მის ფასს და სიყვარულს და სიცოცხლემოძულებული ადამიანი ჯერ ამებას ემსგავსება, უჭკუოს, უნერვოს და უგრძნობს, მაგრამ დიდი შანსია დროთა განმავლობაში ტრანსფორმაცია განიცადოს, უზომოდ გაიზარდოს, გასივდეს, სიძულვილით გაიჟღინთოს, აგრესია მოემატოს და ასევე უნერვო და უჭკუო, მაგრამ უკიდურესად დაუნდობელ და სისხლისმსმელ ორგანიზმად გარდაიქმნას, ამას არ ფიქრობენ რატომღაც, თხილისხელა ტვინის ბრალია ალბათ (რეპლიკა ინტერნეტიდან)".

ეს ყველაფერი ყველა ტელევიზიას ეხება და გამონაკლისი სამწუხაროდ არ არის.

ინფორმაცია ყველა ქართულ არხზე ყველას კრიმინალური ქრონიკა ჰგონია! არა და ამისათვის არსებობს სპეციალური ფორმატი, ის არაფრით არ შეიძლება შედიოდეს 80%-70%-50% და თუნდაც 20% სახელმწიფო მასშტაბის ინფორმაციების ბლოკში და თანაც მეორდებოდეს ყოველ ჯერზე...

ბიძია-ბაბუებო და დეიდა-მამიდებო, კრიმინალურ ამბებისათვის არსებობს სპეციალური დრო და ერთჯერადი გადაცემა და ერთჯერადი ინფორმაცია (ეს არ ეხება სახელმწიფო ღალატს და პოლიტიკურ კრიმინალს)!

აქცენტი ტელეკომპანია „ი...დზე" იმიტომ გავაკეთე, რომ მას – იმედი-ჰქვია, თორემ საქართველოში თითქმის ყველა ტელევიზია „ნეკროლოგურ-კრიმინალურ" აზროვნებაზეა გადასული, ალბათ იმიტომაცაა მის ფონზე იდიოტური სერიალები და არანაკლებ იდიოტური ფილმები, გადაცემებზე რომ არაფერი ვთქვათ, ასეთი პოპულარული. თან უბედურება იმაშია, რომ მაყურებლის ცნობიერებაში სიტყვა – „იმედი" ნელ-ნელა ილექება, როგორც უიმედობა, გამოსავლის არქონა და თვითმკვლელობის, ან ვინმეს მკვლელობის განხორციელების სურვილი.

ამით რისი მიღწევა უნდა ტელევიზიის „რედკოლეგიას"ვერ ვხვდები... ციხეები ისედაც სავსეა...

ისე, მეორე მსოფლიო ომის დროს დეზინფორმატორები ამის მეტს კი არაფერს აკეთებდნენ – საზოგადოების დეზორიენტაცია, უიმედობის, სისასტიკის და კრიმინალურისკენ აქცენტირება – ამის გულისთვის ომის დროს ხვრეტდნენ, ჩვენთან კი... მადლობებს და საკმაოდ დიდ ჰონორარებს უხდიან!

მინდა დავამთავრო ეს ჩემი ოდნავ გრძელი რეპლიკა დღევანდელი ერთ-ერთი საინფორმაციო გამოშვების შინაარსით:

„– გამარჯობათ! ეთერშია საინფორმაციო გამოშვება – სიუჟეტები – საზღვარგარეთის ამბები:-ვუუუუიიიი! (კრიმინალი) ოოოოიიიიი! (კრიმინალი) ვაი- (კრიმინალი) ვუი- (კრიმინალი) ვაი- (კრიმინალი) ვუი! ჩვენი ამბები – ვაი (კრიმინალი) -ვუი (კრიმინალი), ვუუუუუუუიიი (კრიმინალი-ავტოკატასტროფა) -იფ-იფ (მოკლე კულტურული ამბები)! შერეული ამბები, ანუ ჩვენიც და ახლო მეზობლებისა – ეგენი აფრენენ და ამიტომ ვია და ვუი... : უხ (ნი...მ იმღერა)-ვაი (კრიმინალი) -ვაი (კრიმინალი-ავტოკატასტროფა) -იფ(რთველი ახლოსაა, მაგრამ...)-ვუუუუუიიიი (კრიმინალი-ავტოკატასტროფა) !

სამთავრობო ამბები – წმინდაო... ნათელო ...., იმედის მიმცემო... უჭკვიანესო..., უკეთილესო..., მეტო და მზეზე მეტო... ამით ვართ ბედნიერნი.

გმადლობთ ყურადღებისათვის, მშვიდობიან დღეს გისურვებთ! (ასეთი საინფორმაციო ჩხავი-

ლის მერე განსაკუთრებით?!), მომავალ შეხვედრამდე.

თქვე... ნაკლებად გათვითცნობიერებულებო საქართველოში, "ნი..მ იმღერას" და კრიმინალის მეტი არაფერი ხდებაااა????...

დრო – პიკის საათის დრო, ანუ დრო როცა ტელევიზორს მთელი ოჯახი (უფროსებიც და ბავშვებიც) უყურებს.

მაყურებელი – 8-წლიდან 80-წლამდე.

ადგილი – "რეიტინგული" ტელევიზია და პოპულარული გადაცემის სტუდია.

მონაწილეები – ცნობილი წამყვანი (მამაკაცი 35-იდან 40-წლამდე) და სტუმარი 60 გადაცილებული, თავისი ეპატაჟურობით ცნობილი პიროვნება – მამაკაცი... და 50-მდე სტატისტი (გოგო-ბიჭები 17-25 წლამდე, ძირითადად სტუდენტები).

გავრცელების არეალი – მთლიანი საქართველო და უცხოეთის ქვეყნები.

წამყვანი – ამ წიგნის სანაცვლოდ რაღაც უნდა გაჩუქო?

სტუმარი – რა გაქვს, რომ მაჩუქო...

წამყვანი – რაღაც უნდა გაჩუქო?

სტუმარი – ფულს შენ ვერ მაჩუქებს და სხვა რა უნდა მაჩუქო?

წამყვანი – რაღაც უნდა გაჩუქო.

სტუმარი – ოცდახუთი სანტიმეტრი შენ არა გაქვს, რომ მაჩუქო... არა გაქვს და ვერც მაჩუქებ!

(ისტერიული სიცილი და მქუხარე ტაში სტუდიაში)

წამყვანი – (ხარხარებს) ییییییییییییییاااااا

მერაბ კოსტავა



*

მსოფლიო იცნობს ოცდაათწლიანი და ასწლიანი ომების ისტორიას, მაგრამ არსებობს მუდმივი, უვადო ომი, ეს არის საქართველოს ისტორია. აქედან გამომდინარე, ქართული კულტურა არის საბრძოლათაშორისო შესვენებების კულტურის ისტორია. ხმალი, წიგნი და ისევ ხმალი! ამგვარი ცხოვრება ყოფილა საქართველოს ხვედრი. დავით აღმაშენებლისეული ხელოვნება ხმლიდან წიგნზე და წიგნიდან ისევ ხმალზე გადართვისა, თამამად შეიძლება მთელი საქართველოს ბედ-იღბალსა და განვლილ გზას შევუსატყვისოთ.

და ეს მახვილი აროდეს ჰკავებია აგრესორის ხელს, არამედ მხოლოდ საკუთარი მიწა-წყლის, ღირსების დამცველს. ამადაც საუკუნეების მანძილზე ეულმა და ევროპისაგან სავსებით მოწყვეტილმა ქვეყანამ დაუყვედრებლად დაიმსახურა ის, რისთვისაც თავი შეინარჩუნა – ევროპის, ანუ გლობალურ კულტურასთან და ცივილიზაციასთან ზიარება, მასთან გათანასწორება და თავისთავადი მყობადის საიმედო პერსპექტივა. ეს გახლავთ საქართველოს ღირს მამათა, უამრავ მოწამეთა და გმირთა დამსახურება, რომელთაც სახელი ქრისტეს მცნებისა კლდესა ზედა დააფუძნეს.

*

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენთაგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში.

*

საქართველო რომ უძველესი მუსიკალური კულტურის ქვეყანაა, დღესავით ნათელია ყველა იმათთვის, ვისაც სმენად ყურნი ასხია და მშვენიერების მიუკერძოებელი შეფასება ძალუძს. მონოდიური მუსიკის გარემოცვაში აღმოცენებული მისი საგუნდო მრავალხმიანობა მის ლოკალურ წარმოშობაზე და მიმდებარე ქვეყნების ზეგავლენისაგან ხელშეუხებლობაზე მიგვანიშნებს. მართლაც ერთხმიანი იყო არა მარტო მუსლიმანი მეზობლების, არამედ ქრისტიანული პალესტინის, სირიისა და ბიზანტიის საგალობლები და სიმღერები. ამიტომაც არის ესოდენ განსაცვიფრებელი ქართული მუსიკის განსაკუთრებული განუმეორებელი ორიგინალობა. ქართული მუსიკალური ენის თვითმყობადობა და მისი მრავალხმიანობის წარმოშობა არანაკლებ იდუმალია, ვიდრე იოანე-ზოსიმეს მიერ მინიშნებული ის საიდუმლოება, ქართული ენის წიაღში რომ არის დამარხული. ორთავე ესენი ერის სულის ერთიანი მეტყველის ენის სხვადასხვა გამოვლინებებია. მომავალში ამ საიდუმლოთა გასაღები იმ ღრმა სულიერ იმპულსებში უნდა ვეძიოთ, რომლებთანაც უმჭიდროვესადაა დაკავშირებული ხალხთა წარმოშობისა და მიგრაციის უმნიშველოვანესი საკითხები.

რუსუდან ჭანტურიშვილი

საყმაწვილო ჟურნალი

„კარცერ=ლუქსი „ადამიანი“

ჩვენი ჟურნალის მკითხველს გვინდა წარვუდგინოთ პერიოდული საყმაწვილო ჟურნალი „კარცერ=ლუქსი „ადამიანი“, რომელიც ქალაქ რუსთავში გამოდის 2009 წლიდან.

ეს ჟურნალი სათავეს ხელნაწერ ჟურნალ „ადამიანიდან“ იღებს, რომლის ყდაში ჩასმული ნომრებიც 1995 წლიდან ხელიდან ხელში გადადიოდა. 1998 წელს ჟურნალის დაბეჭდილი ნომერი თსუ-ს 80 წლისთავს, ფილოლოგიის ფაკულტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის 20 წლისთავსა და ქალაქ რუსთავის დაარსების 50 წლისთავს მიეძღვნა. შემდეგ, რუსთავში, 2007 წელს, გამოცემული წიგნის სახით მოგვევლინა, დღეს კი გურამ დოჩანაშვილის ლიტერატურული გმირისათვის საოცნებო „კარცერ=ლუქსში“ გამოწრთობილი პატარა ავტორების მართლაც „ხელიხელ საგოგმანები“ ნააზრევით შემკული ჟურნალის სახით გამოდის.

პირველ ყოვლისა ის ადამიანები ვახსენოთ მადლიერებით, ვინც მოსწავლეები სიყვარულით მოწყობილ რუსთავის საკვირაო სკოლა „კარცერ=ლუქსში“ მიიღო, ცოდნის მისაღებად გაჩაღებულ ცეცხლში გამოაწრთო, სიყვარულით გაათბო და ცხოვრების ორომტრიალში სწორი გეზი აჩვენა. ეს ადამიანები – ლალი ნემსაძე, ნანა ხეცურიანი და ნესტან ჭუმბურიძე, ჭეშმარიტი პედაგოგები არიან.

ახლა კი უშუალოდ ჟურნალი „კარცერ=ლუქსი „ადამიანი“ მიმოვიხილოთ, რომლის ავტორები, კორესპონდენტები, რედკოლეგიის წევრები ამავე სახელწოდების საკვირაო სკოლის მოსწავლეები არიან. ჟურნალის ყოველი ნომერი გურამ დოჩანაშვილის იმ სიტყვებით იწყება, რომელითაც მან მიმართა „კარცერ=ლუქსის“ „მისალოცა“ ბავშვებს: „მისალოცი, ხომ იცით, ჩემებურად რასაც ნიშნავს- ვისაც პირველად წაკითხვის მრავალი ბედნიერება წინა აქვს. მუდამ გყვარებოდეთ ლიტერატურა, მუდამ ბედნიერია მკითხველი, რადგან მრავალი ცხოვრებით ცხოვრობს“. მწერალმა თავისი თვალით ნახა რუსთავის მყუდრო სახლი-საკვირაო სკოლა „კარცერ-ლუქსი“და ბავშვივით გაიხარა, რომ ოცნება აუხდა.

„კარცერ=ლუქსი „ადამიანი“ თავისი არსით ლიტერატურულ-შემეცნებითი საყმაწვილო ჟურნალია. ამიტომ გვხვდება არაერთი ჩანაწერი ლიტერატურაზე.

კარცერლუქსელებმა მთელი საქართველო შემოიარეს. ბევრ საინტერესო მოღვაწეს შეხვდნენ და ჟურნალში ასახეს. წარუშლელია ის შთაბეჭდილება, რომელიც მათ წყალტუბოში ცოცხალ ლეგენდასთან – ოტია იოსელიანთან ოჯახში სტუმრობის დროს მიიღეს 2011 წლის 12 ივნისს. სულ მალე კი 81 წლის მწერალი გარდაიცვალა. მუდამ ემახსოვრებათ ბატონი ოტიას სიტყვები: „გიყვარდეთ წიგნი და ცოდნა გადაგარჩენთ...“

კარცერლუქსელები შინ თუ გარეთ ხვდებიან საინტერესო ადამიანებს. ის, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კარცერ=ლუქსში ტარიელ ხარხელაურის სტუმრობამ, კარგად აისახა ჟურნალის ფურცლებზე: „მე მთიელ პოეტს შევხვდი. ის ტარიელ ხარხელაური იყო. საკვირაო სკოლაში გვესტუმრა და გაგვაოცა თავისი ადამიანობით, თავმდაბლობით, გულითადობით, სითბოთი, ნებისყოფით, გამძლეობით, პოეზიით“. – წერს 13 წლის ნიკა მღვდლიაშვილი.

დიდი ინტერესით შეხვდნენ კარცერლუქსელები ახალგაზრდა რეჟისორ პაატა ციკოლიას, მწერალ თამარ ფხაკაძეს, მწერალ რეზო ჭეიშვილს; მსახიობებს: ზურა ყიფშიძეს გოგა პიპინაშვილს, ნინელი ჭანკვეტაძეს, რამაზ იოსელიანს, რუსუდან ბოლქვაძეს, ლია კაპანაძეს... და გრძნობებით აივსო რუბრიკა „ჩვენ ვფიქრობთ“.

მოსწავლეთა შემოქმედებას ასახავს ჟურნალის რუბრიკა სათაურით „ჩვენ ვქმნით“, რომელშიც თავმოყრილია კარცერლუქსელთა საკუთარი შემოქმედება.

ცალკე აღნიშვნის ღირსია რუბრიკა „ჩვენ ვმოგზაურობთ“. თუ წაიკითხავთ, მერწმუნეთ, თქვენც იმოგზაურებთ კახეთში, მცხეთაში, იმერეთში, რაჭაში... ტაო-კლარჯეთსა და კაბადოკიაში მოგზაურობის შთაბეჭდილებით 15 წლის თემო გურგენიძემ დაწერა: „ამ მოგზაურობის დროს არა მარტო სივრცეში, არამედ დროშიც ვიმოგზაურეთ. ეს არ იყო უბრალო გასეირნება. ეს იყო დროის ის მონაკვეთი, რომელსაც მთელი ცხოვრება გაიხსენებ, იმიტომ რომ უბრალოდ კარგ ხასიათზე დაგაყენებს... 2012 წლის 19 ივლისს გადავკვეთეთ საზღვარი. ეს იყო ყველაზე გრძელი და ყველაზე საინტერესო მოგზაურობა, რომლის დროსაც ვერ მოიწყენდი. საერთოდაც არ მქონია განცდა, რომ უცხო მხარეში ვიყავი, მე მხოლოდ დრო მაცილებდა IX-X-XI საუკუნეების საქართველომდე. ამ მოგზაურობის შემდეგ განსაკუთრებით მომინდა აფხაზეთი, სამაჩაბლო, საინგილო, ტაო-კლარჯეთი. იმედია, ოდესმე საქართველოს ისევ დაუდგება ოქროს ხანა!“

„კარცერ=ლუქსი „ადამიანის“ ყველა ნომერი დიდტანიანია. ძირითადად 2 წელიწადში ერთხელ გამოდის.

სამწუხაროდ, ვეღარ გამოვიდა ამ შესანიშნავი, შინაარსიანი, ილუსტრირებული ჟურნალის



ახალი ნომერი, რადგან მასწავლებლებსა და მოსწავლეებს თავს დიდი უბედურება დაატყდათ. 2016 წლის 26 ოქტომბერს ავტოკატასტროფაში დაიღუპა ყველასათვის უსაყვარლესი მეგობარი და მოსწავლე, უკვე სტუდენტი თემო გურგენიძე.

2017 წელს „კარცერ=ლუქსი „ადამიანის“ ბიბლიოთეკამ ლალი ნემსაძისა და ნია ბოლქვაძის ავტორობით გამოსცა წიგნი „მეხუთე დრო“ (სახსოვარი თემო გურგენიძისაგან).

გთავაზობთ ამონარიდს ავტორთა წინათქმიდან: „წლები კარცერ=ლუქსთან ერთად – თემოს ჩანახატებით, ჩანართებით 2011-2012 სასწავლო წელს შედგენილი ხელნაწერი კითხვარიდან, ფოტოებით, მოგონებებით – ყველაფერი მწერალთა ფიქრების თანხლებით (სიმბოლურად 26 ჩანართი). ეს წიგნი მცდელობაა, არასოდეს დარჩეს თემო მარტო. იმედი კარცერ=ლუქსის ყოველთვის ჰქონდა; იცოდა – რომ დასძინებოდა, K-L-ში, როგორც თვითონ უწოდებდა ჩვენს საბინადროს, ყოველთვის გააღვიძებდნენ“.

წიგნში დიდი სიყვარულითა და სითბოთი იხსენებენ თემოს მისი მასწავლებლები: ლალი ნემსაძე, ნანა ხეცურიანი და მეგობრები: ანანო გურგენიძე, ანი ჩაჩანიძე, ლაზარე ჭაავა, სალომე ფოცხვერაშვილი, ბექა არაბიძე, სოფო ქურდაძე, გიორგი გურჩიანი, ირაკლი სვანიშვილი, ირინკა წაქაძე, გიორგი მღვდლიაშვილი, თიკო გურგენიძე... ლექსებით ეთხოვებიან: ბესო დავითაშვილი, ნია ბოლქვაძე, ნიკა კობერიძე...

ახლა კი თვითონ თემო გურგენიძის რამდენიმე გამონათქვამს გაგაცნობთ 2011-2012 სასწავლო წელს შედგენილი კითხვარიდან:

1. – რატომ დადიან მთაში ? – ღმერთთან უფრო ახლოს ყოფნა უნდათ. 2. – ადამიანის საუკეთესო თვისება. – მონანიების უნარი. 3. – რა იქნებოდა ჩემი ბოლო სიტყვა ამქვეყნიურ ყოფაში ? – მ ი ყ ვ ა რ ხ ა რ თ !

ლალი მასწავლებელმა ოტია იოსელიანის სიტყვები გაიხსენა: „ვინც არ მომკვდარა, მან სიცოცხლის ფასი არ იცის!“ და დასძინა: „თემომ იცოდა!“

მასწავლებელს უფლება არა აქვს სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. მის უკან მოსწავლეები დგანან. „კარცერ=ლუქსი „ადამიანის“ ახალი, ილუსტრირებული ნომერი დაგვიანებით, მაგრამ აუცილებლად გამოვა არაჩვეულებრივი მასწავლებლების წყალობით!

ამ საყმაწვილო ჟურნალის რესპოდენტთა და მკითხველთა სურვილს გამოხატავს თსუ-ს ძველი თანამშრომლის, ფილოლოგის – ქალბატონ ნათელა გრძელიშვილის სურვილი: „მეტად მრავალფეროვანია თქვენი ჟურნალი. მინდა თქვენც გევლოთ „ქრისტეს გზით“; მინდა, მარად ამგვარად წერდნენ „უცხოელები ქართველებსა და საქართველოზე“; მინდა, თქვენი „თეატრალური სკივრი“ ძირგავარდნილი ქვევრივით იყოს; მინდა, „ხსოვნის სკივრს“ არასოდეს დაედოს კლიტე; მინდა, პოეტობანასა და მწერლობანას თამაშში კალამი და გონება დახვეწოთ, თან ბავშვური გულწრფელობა და სილაღე შეინარჩუნოთ; მინდა, ძალიან მინდა, თქვენი ჟურნალიდან არ გაქრეს „უცნობი ოჯახების ისტორიები“; ეს რუბრიკა ხელნაწერ ჟურნალ „ადამიანის“ უმთავრესი თემა გახლდათ“.

ჟურნალი „ისინდი“ უსურვებს კარცერ=ლუქსელებს სულიერ ძალასა და შესაძლებლობას, რომ „კარცერ=ლუქსი „ადამიანი“ შეუფერხებლად გამოდიოდეს მკითხველთა სასიხარულოდ!

მაყვალა გერმანოზაშვილი

მზის ფერები

მზის ფერები სადღაც შორს, უმისამართოდ გაბნეულიყვნენ.ღამისფერი დასდებოდა ქალაქს. თალხი, კუნაპეტი ფერი მიეცა განრისხებულ მდინარე ვერეს. მოზღვავებული მეწყერი ლაფად წასცხებოდა ქალაქის გულს, თითქოს მისი გაჩერება განეზრახა. შავი ტალღები სანაპიროზე ამოზრდილ სახლებს თავზე გადავლებოდა. არც დიდი დაენდო და არც პატარა... თბილისმა გაიღვიძა... როგორ ცდილობდა, ეს კოშმარული სიზმარი წყლისათვის გაეტანებინა, მაგრამ მდინარეს უკვე წარეტაცა ის მშვენება, რომელიც ქალაქს ამშვენებდა... ქალაქი თვალებს იფშვნეტდა, არ იჯერებდა მომხდარს. ლაფი ჯოჯოხეთის კუნაპეტად შემოჰხვეოდა. სილუეტებადღა მოჩანდა მასში ჩაფლული დიდრონი, ძირფესვიანად მოგლეჯილი, წელში გადატეხილი ხეები, უამრავი ავტომანქანა თავდაყირა ჩაძირულიყო, აწ უკვე მდინარის ნამოქმედარში. მზის და ვარდების სადარი გაშავებულიყო, ვარდის სურნელი გველეშაპის სიმყრალეს სადღაც შორს გაეფანტა და თავისი საზარელი სუნით გაეჟღინთა იქაურობა. ბედისწერის სურათზე ზოოპარკიდან წლებით დატყვევებული მტაცებელი ცხოველებიც მოთავსებულიყვნენ. შურს იძიებდნენ მათ დამტყვევებლებზე, ადამიანებზე. დამხრჩვალთა გვერდით გაჩდნენ ვეფხვის ტორებით დაგლეჯილ-დასისხლიანებბული ადამიანთა ცხედრებიც... ქვეყანა გლოვას მოეცვა... ყველაფერს ფასი დაჰკარგვოდა... დედაქალაქს სახე ჩამოსტიროდა... წარმოუდგენელი იყო თბილ წყალში მონათლული თბილისის კოშმარული სინამდვილიდან გამოყვანა... იქნებ მდინარე ვერემაც, ადამიანებისგან დატყვევებულმა, არტახებში მოქცეულმა, თავისუფლებადაკარგულმა, ითმინა, ითმინა და შური იძია მოქალაქეებზე, სიცოცხლით სავსე, უბრალო, უდანაშაულო ადამიანებზე, აწ უკვე მსხვერპლად შეწირულებზე... ლაფში ჩაფლულ ქალაქს ათინათებივით თბილი ლაქები დაედო, გამრავლდა. ძაძით შემოსილი დედაქალაქი ახალგაზრდულმა ფერებმა და ხმამ გამოაფხიზლა... გლოვის ცრემლს სინანულისა და სიხარულის ცრემლი შეერია... გარინდებულ სახეებზე გაოცების, აღტაცების ხაზები გაჩნდა... ცოდვის ფერს ახლა დაუოკებელი, ახალგაზრდათა სულისმიერი ძალა დასტყდომოდა სტიქიად... მამების თაობას იმედის სხივს უნათებდა, სხივს, რომელსაც გაედნო, გაეხო ყინული და დნობილ მარგალიტებად ჩამოჰკიდებოდათ ღაწვებზე. გასაოცარი ახალგაზრდული შემართებით ნიჩბებიან, ლაფში ამოსვრილ გოგო-ბიჭეებს გაეერთიანებინათ მდინარისაგან ჩახერგილი, დანაწილებული ქალაქი, გაემთლიანებინათ პარტიული ნიშნით გათითოკაცებული ქართველნი, ჩინიანნი თუ უჩინონი და ერთი აზრით, ფიქრით, მიზნით განემსჭვალათ... ეს საერთო, სამოქალაქო, მამულიშვილური აზრი ადგილის დედის, საქართველოს გულის გადარჩენისაკენ მიემართათ... სტიქიისგან შოკით შეჩერებული სისხლი ამოძრავებულიყო, მამულის გულს ძგერა დაეწყო... მარიამ ღვთისმშობელს, როგორც ყოველთვის, ლოცვა აღესრულებინა წილხვედრი ქვეყნის გადასარჩენად... წმინდა ნინოს ვაზის ჯვარით კვლავ ეკურთხებინა ქრისტეს ცხოვარნი... მომავლის მცველად თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდანი მოვლენილიყო, მეომართა და მგზავრთა მეოხი-წმინდა გიორგი... მტკვრის სანაპიროდან წმინდა აბოს სული გადაჰფარებოდა თბილისსა და თბილისელებს, წმინდა სული – აბო თბილელის... მეტეხის ტაძრიდან წმინდა შუშანიკ დედოფლის ურყევი სული იცავდა ქართველთ, ნეტარი შუშანიკ, დედა ყოველთა... ზეციური საქართველოდან თამარის მანდილი ჩამოშლილიყო ქართველთა შესარიგებლად... ასი ათასი მოწამის სულნი ათინათებად დასთამაშებდნენ უშიშარ გმირთა... ზეციურ ხმებს მოჰყვებოდა შოთას დანაბარები ანდერძი; – „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“...

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“... ბორგავდა, ტორტმანებდა ქალაქი... დავითის გული ძლივსღა ფეთქავდა, მძიმედ დაედგა მდინარე ვერეს ფეხი მონანული მეფისთვის... მეტეხის გადმოსახედიდან ცხენზე ამხედრებული. თბილისის დამაარსებელი, ხმალამოწვდილი ეძებდა მტერს... ნარიყალადან ქართვლის დედას გაეშიშვლებინა მახვილი, თასი კი, ქრისტეს სისხლით აღევსო მდინარისაგან დაღუპულ ი სულების საცხოვნებლად... მთაწმინდიდან მამა დავითის ლოცვა ეფინებოდა სალბუნებლად შეშფოთებულთა სულებს... ლოცვას მოჰყვებოდა ქართველ მწერალთა საგალობელი; ვაჟას – „ვედრება“, ტატოს – „მერანი“, გალაკტიონის – „მამული“, აკაკის – „განთიადი“... მგლოვიარე საქართველოდან მოისმოდა „ბაზალეთის ტბა“... რაფიელ ერისთავის – „სამშობლო ხევსურისა“... იაკობის – „დედა ენა“... იმოდა გამამხნევებელი შეძახილები; – „მამულიშვილნო!!!“ – ეს ზვიადისა და მერაბის სულების შეძახილი იყო... ქეთევან წამებულის ცრემლით იბანდა თბილისი ლაფით დასვრილ სახეს... ნელ-ნელა თავის იერს იბრუნებდა განახლებული, ახალი თაობის, მამულიშვილთა ანთებული, გაბრწყინებული თვალებით... მზის ფერები ისევ დაჰბრუნებოდნენ მზის და ვარდების სადარს... ღამისფერი უმისამართოდ გამქრალიყო, თვალი მოეჭრა რა სიკაშკაშეს... მომავლის იმედით განთიადი შლიდა ფრთებს ჩემს მრავალჭირვარამგადანახად დედაქალაქში...

19. 06. 2014 წ.



მხატვარი რეზო ემელიანე ადამია

***

გიორგი კორნაპელი (კაპანაძე) მეოცე საუკუნის 60-იანელთა ცნობილი თაობის ნაკლებადცნობილი წარმომადგენელია ქართულ პოეზიაში. 60-იანელები ერთ ჯგუფად მოიაზრებიან და უდავოდ ნიჭიერებით გამორჩეული ჯგუფიც გახლავთ, მაგრამ კორნაპელი ამ ჯგუფს არ მიეკუთნებოდა, „ელიტაში“ არ გადიოდა და მას არც სცნობდნენ და არც აღიარებდნენ. არც შემდგომ თაობებს შეუმჩნევიათ მისი შემოქმედება თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა. დღეს კი პოეზიამ ისეთი არაპოეტური მიმართულებით აიღო გეზი, რომ თავისივე თავის უარყოფამდე მივიდა და არათუ ნაკლებადცნობილ პოეტებს, არამედ აღიარებულ კლასიკოსებსაც კი სკეპტიკურად, ნიჰილისტურადაც კი შეჰყურებს არაერთი ჩვენებური „მეტრი“ და „ავტორიტეტი“. და აი, ამგვარი საერთო განწყობის ფონზე, ვამბობთ: გიორგი კორნაპელი გენიალური პოეტია! შეიძლება აქ წარმოდგენილმა რამდენიმე ლექსმა მკითხველი მის გენიალურობაში ვერ დაარწმუნოს, მაგრამ ნუ ავჩქარდებით. გ. კორნაპელის შემოქმედებას საფუძვლიანი გაცნობა-გააზრება სჭირდება, რაც მომავლის საქმეა. დასაჭაშნიკებლად კი ეს ლექსებიც იკმარებს.

მარსიანი



გიორგი კორნაპელი

*

მარადიულ ცას სინანული არ ეკარება,
აყვავდა მუხა, ხევში ღელე ჩამოქვითინდა,
მომელანდება დინოზავრები,
მომელანდება მილიარდი წლების იქიდან.

ქრება ლოდებზე დინოზავრთა ნატერფალები,
მარადიულ ცას სინანული არ ეკარება:
დაღუპულ ზღვებზე, დამპალ ხეზე,
ჩამქრალ თვალებზე.
შეხე, იები დამიწებულ წიფლის სხეულზე
ამოსულან და აყვავებულ ცას იფარებენ
და გაზაფხული დაყიალობს მწვანე თვალებით.

მოვა საღამო

მოვა საღამო შაშვის გალობით,
მოვა არაფრით კვნესა ქარისა
და მოვა ხომლის შორი წყალობა.
და ისევ ღამე, მოცდა გზისათვის,
სინათლისათვის გული აყვირდა,

წაიღე იგი, მალე, დედაო,
მარგალიტების ნათელ ნაპირთან.

როცა მშორდები

როცა მშორდები,
ჩემ მუნჯ წამებას,
ღრუბლის სიმძიმეს,
მთის შეღამებას,
შენც, ვიცი,უჭვრეტ შენ შორეთიდან.

ეს გაზაფხული კვირტთ გაინათებს,
როგორ ვუცქერდე მე განძარცვული?
ჩამომაშველე შენი სინათლე
და ფირუზებში გაჰფანტე გული.
მე ვერარა ვთქვი,
შენს სიმაღლეში
ცრემლდაწურული ღრუბელი ფრენდა,
შაშვი გალობდა ლაჟვარდისათვის.

მეც შემაჩერე შენს სიმაღლეზე
და შეწუხებულს მომანდე ქნარი,
ხომ არ ამძიმებს შენს სილაჟვარდეს
გადაფრენილი ყვავის ყრანტალი?

უდაბნო

მ. ლებანიძეს

მზეში გაქრება აბასთუმანი,
შეათრთოლებენ მთებს მზის ღვარები,
ვინ გაიარა სიკვდილის ქარი
ხან იმედებით, ხან მწუხარებით?

და სადაც ნისლი აქრობდა მთვარეს,
ნახა ფასკუნჯის მზისფრად მოფრენა,
გადუვლის წერო გადამჭკნარ არეს
და გაზაფხული გაიფოფრება.

და იხედება სილაში სფინქსი,
სადაც მდუმარე კლდეები ყრია.
მზე გაიხსენებს გამქრალ შამბნარებს
და იმ დაღუპულ ლომების ღრიალს.

*

ვარსკვლავები თუ იასამანი
და ალუბლების სპეტაკი ბნედა,
აქ სიკვდილის წინ ანთია, დედა.

მინდვრად პეპლების ჭრელი ფართქალი,
გამოთხოვება დალეულ დღეთა...
აქ სიკვდილის წინ ანთია, დედა.

*

ეს კიპაროსი თოვლს დაუხრია, –
მწვანე დუმილი თოვლით შემკრთალა
და უდარდელი ფიფქების ფრიალს
ანათებს შორი ელვების კვალი.

ყუჩობენ ზღვები ლურჯ ბუდეებში,
წამოელანდა ყვითლად ქედებს მზე,
საით წაიღე ჩემი ყვავილნი –
მოგონებანი ცაზე, ედემზე?

ანანური

ანანურიდან ვუცქერი ამ მთებს,
განათებულებს ტყით და ყვავილით,
მდუმარე სულო ერისთავების,
კლდეებზე ჟინავს ვეფხვის ხავილი.

ჩემო იმედო,შენ რად მიქრები?
მრეში ზვირთები არღვევენ ღამეს.
თავს მოიყრიან ანანურს მთები
და ლომის კუდებს არაგვს ურტყამენ.

ვერ დაგიხატე

ვერ დაგიხატე, დედა, სამოთხე
ამოვსებული მზით და ჩიტებით,
ზეცა ვერ იტანს სულს მეამბოხეს,
ჩემს მძიმე ბედზე ნუ დაფიქრდები.

ვერ მოვუსმინე ბაღების შრიალს,
მის ოქრორეულ წყნარ მდინარეებს,
დაკარგულ ზეცის დარდი დამყვება
და ეფინება ბინდი არეებს.

მაგრამ ოცნება მამაღლებს ცამდე,
ამ ოცნებისთვის მუდამ ვისჯები,
რადგან სამოთხის დახატვა ვცადე,
ამოვსებულის მზით და ჩიტებით.

გელათი

საღამოს, როცა ვეპარები
მთის დამფრთხალ ნათელს
და შაშვის კვნესას
მდუმარ ჭალებში,
მომესმის შენი სინანული,
თეთრდება გული,
თეთრდება წყალი
ჩამავალი კლდის ნაპრალებში.
ვინ გაუძლებდა ამ უღვთო ომს,
რომ...
მეფევ, ლაჟვარდი მორევია
შენს სახეს-გელათს.
ეს ოცნებაა შენი ერისა,
საქართველოს ცით ჩამოსული.
საიდანა გაქვს ეგ სიმშვიდე,
როს სისხლიანი მახვილებით
მოგჯარეს ირგვლივ?
საიდან არის ეგ სიმშვიდე?
ღვთიურ არს იგი?

თეიმურაზ ჭანტურიშვილი

გალაკტიონის ორი ფოტო

მზერა ცოცხალი, ცეცხლივით მწველი,
სერაფიმებთან მქროლავი გონი –
ახალგაზრდა და სულის შემძვრელი,
მიცქერს ფოტოდან გალაკტიონი.
მას დასასრული დიდი ეპოქის
წინამურიდან ეუწყა უკვე;
გრძნობს მისი სული, შიშის ზეობის
მოდის დროება, მოყავს მეუფე!
რას დაახვედრებს, როგორ შეხვდება
ახალ ეპოქას მისი გრძნობები,
ნუთუ ისინი გარდისახება,
დაიდაღება ოხვრა – გოდებით?
არ შეიძლება, არ გრძნობდეს იგი,
რომ ჩრდილოეთის ქარმა სასტიკმა,
ვარდების ჯარი, გვირილათ რიგი,
დასაღუპავად უკვე გარიყა!
შიშით მოელის ამბებს ხვალინდელს –
შეურაცხყოფას ლაჟვარდი ფერის,
გაბრიყვებული პლებსის ღრიანცელს
და დაკნინებას სულიერების!
იცის მან – უნდა იტვირთოს – იცის,
პოეტმა ტვირთი ამ საუკუნის,
მიმართოს ხერხებს – ზოგჯერ ეზოპის –
გასახედნავად ცეცხლოვან რისხვის!
და იცის მან, რომ რითმებად ლექსის
მკითხველს გაანდობს ფიქრებს მღელვარეს –
სუნთქვას და ქროლვას ლურჯა ცხენების,
ასე ჩუმ და ნაზ მთაწმინდის მთვარეს.
ვხედავ აშკარად – იცი შენ, იცი,
რომ გერგო მწარე და წმინდა ბედი –
გამოსალმების ხელოვნებისთვის
ვინ ყავს სამშობლოს პოეტის მეტი?
ძნელია, მაგრამ ტანჯულ სიცოცხლეს
და სულსაც წმინდად შეინარჩუნებ,
ზოგჯერ გაუღებ ხარკს დიონისეს –





ხანდახან ვითომ იმხიარულებ!?
არა, უსაზღვრო შავბნელმა დარდმა
დაღარა სახე და ჰა, ლოდინის
გასამართლებლად და თითქოს წამლად
ღირსგყვეს ახალი დროის ორდენის.
ვინ ჩაწვდა შენი ოცნების სიღრმეს –
შენს დაღალულ სულს როგორ სწყუროდა,
ო, როგორ სურდა შენს სინატიფეს
სინატიფესთან ურთიერთობა!
და მაშინ, როცა უკიდურესად
შენთვის ცხოვრების ტვირთი დამძიმდა,
შენ გაიელვე უკანასკნელად
და მიებარე შენსავ მთაწმინდას.
ვიცი, მკვიდრი ხარ სასუფეველის,
მარადისობის გაგეხსნა კარი,
იმქვეყნიური გადგას ნათელი,
ამქვეყნიური დაგეხსნა ქარი!
მწარე სიტკბოთი სავსეა გული,
გვინდა გაგიცნოს მთელმა სამყარომ,
რომ ვარდ – გვირილა, შენს სულში რგული,
გულში ჩაკრული მკვიდრად ატაროს!

Galaktion's Two Pictures

BY TEIMURAZ CHANTURISHVILI

The vivid gaze that's able to pierce and burn,
His thoughts, which to the seraphs used to speed –
From his old photo he, such a young man,
Galaktion with tension looks at me.
He's been informed from Tsitsamuri now,
And knows – that great age, century is dead!
It's coming, he does feel with his gentle soul,
The epoch of the fear and of the tremble.
What is he going to do and how will meet
His feelings with this new and threatening time?
Maybe they'll be refashioned, will turn sick,
And will get filled with tunes of mournful kind?
It is impossible that he does not sense

That by the merciless northern severe wind
The army of the roses, rows of daisies,
Are pitilessly to perishing convicted.
He feels with fear – one sees those feelings' throb,
The sky-blue will be darkened and defiled,
Expects the turmoil of the cheated mob,
As well expects the sacred life's decline.
He has to heave it on himself, he knows,
The very heavy burden of this age,
And will resort sometimes to Esop's dodges,
To tame this new fire-spitting dangerous rage!
And he knows well that in his mighty lines
He will entrust to us his soul's alarm,
His smart swift horses' distant run and flight,
Mtatsminda's moon, that's never been so calm!
You are rewarded with the bitter fate,
And obviously you know it very well,
Who's there except you in your native land
Able to express to it the best farewell?
It's difficult, you know, but you'll retain
Your tortured life and your pure spirit too,
Appreciate Dionysus now and then,
Who knows, maybe he'll cheer and gladden you?
No, devastating woe and dark black thoughts
Laid traces on your face, filled it with lines,
And there a compensation, a reward –
There on your chest – the order of this time.
Who'll comprehend your mind, the depths of it,
What did your weary soul expect and need,
How your refinement wished, how craved for it –
In others the same attitude to meet!
And when the weight, the burden of your life
Became insufferably exhausting load,
You glittered then, you sparkled for the last time,
And came to your Mtatsminda to a holt.
I know, believe, you stay now in the Eden,
Sojourn below eternity's high vaults,
Above you there – the eternal light of Heaven,
And freedom from the earthly storm-winds' blows!
The heart with bitter sweetness is brim-full,
We dream that you to all should be known well,
And rose and daisy flowers of your high soul
Fill all with an eternal sweet gentle smell.

In Marco Polo Arts Mag (revised), along with Swift Horses, The Ephemera and Mary.
Editor Darin Beasley, to whom I am very grateful.

Galaktion Tabidze (1892-1959)

The Moon of Mtatsminda

Poems by FiodorTiutchev, GalaktionTabidze, and Josef Stalin

Translated by Teimuraz Chanturishvili

Paintig of Galaktion by his friend Kornel Sanadze (1907-1985)

Never yet's been born such low and such a tranquil moon;
A lyre of the sunset, shrouded in the silent gloom,
Blowing calls the sky-blue shadows, weaves them into trees,
I do not remember heavens calm and gentle as these!
The moon looks like an iris with a necklace of faint lights,
And as in this light wrapped up dream, easy and refine,
Shows the Mtkvari and Metakhi, sparkling brightly white,
Oh, the moon has never been born such serene and quiet!
Here the shadow of Akaki rests in royal sleep,
Here this graveyard with its roses, daisies and deep grief,
Is being covered with gay shimmer of the distant stars,
Here Baratashvili loved to walk along these paths…

And let me too, die with singing like a lake's sad swan,
Only saying how the night has cast into soul its glance!
How the dream has been inspired with wings from sky to sky,
And how it has put up its sails, daydreams of blue flight,
How the nearness to the death hour changes an air and tones
Of the roses and the waterfalls of the dying swan's songs!
How I feel that for my soul that's brought up by sea waves,
This death way seems nothing to be but the rosy way,
That on it the poets' bravery looks a fairy tale like,
That there never yet has been born such a silent night,
And that I'm around you, shadows, meeting my last minute,
And that I, the king and the poet, with my song will greet it,
And my lyre will go along with this age, go for ever,
Never yet the moon has been born so gentle and so tender!

Mtatsminda – Holy mount, the mount overlooking Tilisi city, with the burial ground for the outstanding people of Georgia on its slope.

Mtkvari – Georgia's main river, the ancient Kur.
Metakhi – Ancient (XIII century) cathedral on the high bank of Mtkvari.
Akaki – A. Tsereteli (1840-1915), Georgian poet.
Baratashvili – Nikoloz Baratashvili (1817-1845), Georgian poet.

გიორგი შიშნიაშვილი

წერილი ანა კალანდაძეზე

საბჭოთა ცენზურის მხრიდან ჩვენი დიდი ავტორების შემოქმედების ლანძღვა-ქილიკი იშვიათობას ნამდვილად არ წარმოადგენდა, მაგრამ სახტად დავრჩი, როდესაც ანა კალანდაძის ლექსების მიმართ უხამსი შეფასებები მოვისმინე. მხედველობაში მაქვს გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს მიმდინარე მოვლენები, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ ანა კალანდაძის შემოქმედებაზე პირდაპირი იერიში მიიტანა და პოეტს ერთგვარი რეპრესია მოუწყო. ამ დროს ანას ლექსებზე აქტიურად იწერებოდა უარყოფითი, უხამსი შეფასებები, რამაც ავტორის განაწყენება გამოიწვია და შედეგად მივიღეთ, რომ იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ლექსებს აღარ წერდა, გასაგებია, რატომაც... საბჭოთა იმპერია ვერაფრით ეგუებოდა, როდესაც თანამედროვე მწერალი თუ პოეტი ან უარყოფითად აფასებდა არსებულ რეჟიმს, ან შეგნებულად დუმდა, ვინაიდან ამ არაადამიანურ რეჟიმზე კარგს ვერაფერს იტყოდა და მკითხველის გასამხნევებლად ან დიდი წინაპრის „ოქროს ხანად“ წოდებულ პერიოდს ასხამდა ხოტბას, ანდა მომავლის რწმენით იმსჭვალებოდა ... მაგალითად მომყავს ანა კალანდაძის მართლაც გამორჩეული და ერთ-ერთი უძლიერესი პოეტური ქმნილება „შორია თამარ“, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების ვითომ მცოდნე ლიტერატორებმა რაღა თქმა უნდა, არასწორად აღიქვეს და ავტორი თანამედროვეობას აცდენილ, ფეოდალურ საქართველოში ჩარჩენილად შერაცხეს. მეორე მხრივ კი მახსენდება გიორგი შატბერაშვილის ლექსი “წერილი ახალგაზრდობას“, რომლის გამოც იგი დააპატიმრეს და შუა აზიაში გადაასახლეს... აი, რის გამო მოხდა ეს ყველაფერი; გიორგი შატბერაშვილი აღნიშნულ ლექსში წერდა: „...დაბადებულნი, მოსულნი ადრე, ვეტრფიალებით მომავლის აჩრდილს, გვწამს ახალგაზრდებს, სულით ჩვენგვარებს შევხვდებით სადმე, დიდ მომავალში.“ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში მკაფიოდ გაისმოდა, რომ იგი არსებულ რეჟიმს უნდობლობას უცხადებდა და ამ „დიადი“ რეჟიმის არ სწამდა, ამიტომ ხსნას მომავალში ხედავდა... სწორედ ამიტომ იგი მოღალატედ შერაცხეს და სიცოცხლე გაუმწარეს... არსებულ რეჟიმს სამშობლოს სიყვარულით ანთებული ადამიანები საკუთარი ძალებით ებრძოდნენ... აღსანიშნავია, რომ მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში დიდი ოსტატობით, ალეგორიული ხერხებით გადმოსცემდნენ საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას, ისე, რომ ცენზურა ხშირად ვერაფერს ხვდებოდა, მაგრამ თუკი ვინმეს მაინც გამოიჭერდნენ, წამებით ხდიდნენ სულს... რამდენი ასეთი ისტორია გვახსოვს... რამდენი ტკივილი მიაყენეს საქართველოს ღირსეულ მამულიშვილებს... რამდენი სიცოცხლე შეიწირეს... ალალი იყოს მათი სისხლი, სამშობლოსათვის დათხეული... თქვენის ნებართვით, საუბარს ისევ ანა კალანდაძის შემოქმედების მიმართ გამოვლენილ აგრესიაზე გავაგრძელებ... 1946 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ე.წ. „მიმოხილვა“ ანა კალანდაძის ლექსებისა, სადაც მომავალი პოეზიის დედოფლის სახელი მიწასთან იყო გასწორებული მავანთა მიერ, რომელნიც ავტორს არაპროფესიონალიზმს და სხვადასხვა სიბინძურეს სწამებდნენ... კრიტიკის მსხვერპლი გამხდარიყო ერთ-ერთი ჩემთვის საყვარელი ლექსი „თუთა“, რომელზეც ამბობდნენ, რომ იგი ეროტიკულ შინაარსს ატარებდა და ურცხვად გამოხატავდა ისეთ პორნოგრაფიულ გრძნობას, როგორიც სიყვარულია... ამის საილუსტრაციოდ კი წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრიქონი: – „ლამის სახლში შემოვიდეს თუთა, ლამის წელზე

შემომხვიოს ხელი...“ ახლაც მახსოვს ჩემი რეაქცია ეს რომ წავიკითხე... საშინლად გავბრაზდი! ღმერთო, რა სიბნელეა...

კვლავ „თუთა“... სამწუხაროდ ეს ლექსი იმ ავადსახსენებელი რეჟიმიდან დიდი ხნის შემდეგ, რამდენიმე წლის წინ კიდევ ერთხელ დაიჩაგრა... აქ უკვე ანა კალანდაძის წიგნების მრავალსერიანი გამოცემები მაქვს მხედველობაში. დიდი ხანია, ვცდილობ დავადგინო რა მოხდა, რატომ შემხვდა „თუთა“ ავტორის უკვდავსაყოფად გამოცემულ სხვადასხვა კრებულში სახეცვლილად და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ეს მშვენიერი ქმნილება კვლავ გულგრილობის და უპატივცემულობის მსხვერპლი გახდა... არ ვიცი რა ვთქვა, იმედგაცრუებული ვარ... გამოდის დღეს წიგნსაც ვეღარ ენდობი?.. რატომ უნდა მოხდეს მსგავსი შემთხვევა? ვინ აგებს პასუხს ავტორისეული ვერსიის შელახვისთვის? ასი თვალი და ასი ყური უნდა ჰქონდეს იმას, ვინც ასეთ საქმეს იტვირთავს!.. საქმე ეხება გამომცემლობა ინტელექტის მიერ 2009 წელს გამოცემულ წიგნს სერიით “100 ლექსი“, რომელშიც აღმოვაჩინე, რომ აღნიშნულ ლექსში “თუთა“ სტრიქონები გადაადგილებული და ერთფეროვნად შეცვლილია, კერძოდ... ორივე ტაეპში მეორდება ერთი და იგივე სტრიქონები, „ლამის სახლში შემოიჭრას თუთა, ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...“. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია თავად გაეცნოს ლექსის ამ ვერსიას და გააცნობიეროს, დაფიქრდეს, რასთან გვაქვს საქმე, მე კი თავს ვალდებულად მივიჩნევ ეს საოცარი ლექსი მკითხველის წინაშე ავტორისეული ვერსიით წარვადგინო!

თუთა

ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი...
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა?
რა ჩურჩული?.. დამდაგველი, მწველი...
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი...

კონსტანტინე პაუსტოვსკი (1892-1968)

ნაკადული, სადაც კალმახი ფართქალებს

1960 წელი იდგა. ახალი მისული ვიყავი საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა „ნაკადულში“, რომლის დირექტორი მაშინ პოეტი ხუტა ბერულავა იყო. ამ დროს „ნაკადული“ ქუხდა თავის საგამომცემლო სიახლეებით და ყველას სურდა იქ მუშაობა ან წიგნის გამოცემა. „ნაკადულში“ ერთ-ერთ რედაქციას იმხანად განაგებდა ჩვენი სასიქადულო მწერალი რევაზ ინანიშვილი. რეზოს ადრეც ვიცნობდი, მაგრამ „ნაკადულში“ უფრო დავუახლოვდი. ერთხელ მითხრა, ხომ არაფერს წერო. რაღაც-რაღაცეებს ვჯღაბნი-მეთქი, ვუთხარი, ის კი არ მითქვამს, რომ უკვე თარგმნილი მქონდა მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი რუსი მწერლის, ალექსეი ტოლსტოის (1882-1945) რომან-ტრილოგიის „გზანი წამებისანის“ ორი ნაწილი და მესამეს ვეჭიდებოდი. მითხრა, აბა, ერთი რამე მოიტანეო. რაც უკვე მქონდა ის მივუტანე. ეს იყო ადრე, 1958 წელს ნათარგმნი კონსტანტინე პაუსტოვსკის ნოველა „ნაკადული, სადაც კალმახი ფართქალებს“.

რეზო ორი კვირა არ შემხმიანებია, არც მე ვახსენებდი თავს. ორი კვირის შემდეგ დირექტორმა მიხმო. კაბინეტში დირექტორის გარდა დამხვდნენ გამომცემლობის მთავარი რედაქტორი ნონა კალანდარიშვილი და რეზო ინანიშვილი. რეზომ არც აცია, არც აცხელა და პირდაპირ განაცხადა, ბუნინს თუ თარგმნის, ეს თარგმნისო. იყოს ნება შენიო, – მიუგო დირექტორმა რეზოს. ასე ითარგმნა პირველად ქართულად საბჭოთა ხელისუფლების მიერ შერისხული და შემდეგ ნობელის პრემიის ლაურეატის ივანე ბუნინის მოთხრობა „ლიკა“ (ივ. ბუნინის სხვა მოთხრობა „სოფელი“ თარგმნა ცნობილმა მთარგმნელმა გ. ციციშვილმა და ორივე მოთხრობა ერთ წიგნად გამოსცა „ნაკადულმა” 1961 წელს).

ასე გამიკაფა გზა მთარგმნელობით სამყაროში კ. პაუსტოვსკის ხსენებულმა ნოველამ, რომელიც თარგმნიდან ოცდაათი წლის თავზე პირველად 1989 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ქუთაისში“ (მთავარი რედაქტორი ალ. შენგელია).

მთარგმნელი

ბედი ნაპოლეონის ერთ-ერთი მარშლისა მინდა გამცნოთ თქვენ, რომელნიც მუდამ ადამიანურ გრძნობათა სიმწირეზე წუწუნებთ (უმჯობესია, მისი სახელი გაუმხელელი დარჩეს, რომ ისტორიკოსები და პედანტები არ გავაღიზიანოთ).

მარშალი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, ჭაღარაშეპარული თმა და ლოყაზე დაჩნეული ნაჭრილობევი მიმზიდველობას მატებდა ჭირთა და ლაშქრობათაგან ჩამუქებულ მის სახეს.

ჯარისკაცებს უყვარდათ მარშალი: ის ხომ მათთან ერთად ზიდავდა ომის მძიმე ტვირთს. ლაბადაში გახვეულს ხშირად კოცონთან ეძინა მინდორში და საყვირის ჩახრინწული ხმა აღვიძებდა. წყალს ჯარისკაცის მათარიდან სვამდა და გამტვერილი, გაცრეცილი მუნდირი ეცვა.

მარშალს არაფერი უნახავს, არც არაფერი იცოდა დამქანცველი ლაშქრობებისა და ბრძოლების გარდა. არასდროს უფიქრია, უნაგირიდან გადახრილიყო და ეკითხა გლეხისთვის, რა ერქვა ბალახს, რომელსაც მისი ცხენი თელავდა, ანდა გაეგო, რით იყო განთქმული მისი ჯარისკაცების მიერ საფრანგეთის სადიდებლად დაპყრობილი ქვეყნები. განუწყვეტელმა ომმა დუმილს შეაჩვია, საკუთარი ცხოვრება დაავიწყა.

ერთ ზამთარს მარშლის ცხენოსან კორპუსს, რომელიც ლომბარდიაში იდგა, ებრძანა, გერმანიისკენ დაძრულიყო და „დიდ არმიას“ შეერთებოდა.

მეთორმეტე დღეს კორპუსი პატარა გერმანულ ქალაქში გაჩერდა ღამის სათევად. თოვლით დაფარული მთები თეთრად ილანდებოდა ღამეში. ირგვლივ წიფლნარი გაშლილიყო და მხოლოდ ვარსკვლავები კიაფობდნენ ცაზე საყოველთაო უძრაობით გარემოსილნი.

მარშალმა სასტუმროში დაიდო ბინა. მცირე ვახშმის შემდეგ პატარა დარბაზში ბუხართან დაჯდა და ქვეშევრდომნი დაითხოვა. დაღლილი იყო, მარტო დარჩენა უნდოდა. თოვლში ჩაყურსული პატარა ქალაქის მდუმარება აგონებდა ბავშვობას თუ ამასწინანდელ სიზმარს, რომელიც შეიძლება არც უნახავს. იცოდა, იმპერატორი ამ დღეებში გადამწყვეტ ბრძოლას დაიწყებდა და თავს იმით

იმშვიდებდა, რომ ახლა უჩვეულო სიწყნარე ისევე სჭირდებოდა, როგორც უკანასკნელი დასვენება შეტევის ფიცხელი თქარათქურის წინ.

ცეცხლი ადამიანებს ადუნებს. მარშალი ბუხარში მოგუზგუზე შეშის ღერებს თვალს არ აშორებდა და დარბაზში ხანში შესული კაცის შემოსვლა ვერ შეამჩნია. უცნობს ჩიტისმაგვარი გამხდარი სახე ჰქონდა, ლურჯი დაკემსილი ფრაკი ეცვა. ბუხართან მივიდა და გათოშილი ხელები ცეცხლს მიუშვირა. მარშალმა თავი ასწია.

– ვინ ბრძანდებით, ბატონო ჩემო? ასე შეუმჩნევლად რისთვის შემოხვედით? – ჰკითხა უკმაყოფილოდ.

– მუსიკოსი ვარ, ბაუმვაისი, – მიუგო უცნობმა, – ფრთხილად იმიტომ შემოვედი, ამ ზამთრის ღამეს უნებლიეთ გინდა სრულიად უხმაუროდ იმოძრაო.

მუსიკოსის სახე და ხმა მისადმი კეთილად განაწყობდა თანამოსაუბრეს. მარშალმაც მცირე ფიქრის შემდეგ უთხრა:

– ცეცხლთან დაბრძანდით. ბატონო ჩემო, უნდა გამოგიტყდეთ, ცხოვრებაში იშვიათად გამოერევა ასეთი მშვიდი საღამოები და მოხარული ვარ თქვენთან საუბრისა.

– მადლობას მოგახსენებთ, – მიუგო მუსიკოსმა, – მაგრამ, თუ ნებას დამრთავთ, მირჩევნია, როიალს მივუჯდე და დავუკრა. აგერ უკვე ორი საათია ერთი მუსიკალური თემა არ მასვენებს. მინდა დავუკრა, ზემოთ კი ჩემს ოთახში როიალი არაა.

– კეთილი... თუმცა ამ ღამის სიწყნარე ყველაზე ღვთაებრივ ბგერებზე გაცილებით საამოა.

ბაუმვაისი როიალს მიუჯდა და ოდნავ გასაგონად აახმიანა კლავიშები. მარშალს მოეჩვენა, ქალაქის ირგვლივ თითქოს ღრმა და ფაფუკი თოვლი ხმიანებდა, მღეროდა ზამთარი, მღეროდა თოვლით დამძიმებული წიფლების ყოველი ტოტი, ბუხარში დანთებული ცეცხლიც კი წკრიალებდა. მარშალი მოიღუშა, შეშის ღერებს შეხედა და შეამჩნია, რომ ცეცხლი კი არა მისი ბოტფორტების დეზები წკრიალებდნენ.

– უკვე ათასგვარი ოხრობა მეზმანება, – თქვა მან. – თქვენ ალბათ დიდებული მუსიკოსი ხართ, არა?

– არა, – მიუგო ბაუმვაისმა და დაკვრა შეწყვიტა. – მე მხოლოდ ქორწილებსა და საზეიმო საღამოებზე ვუკრავ თავადებსა და მემამულეებთან.

პარმაღთან მარხილის კავების ჭრიალი გაისმა, აჭიხვინდნენ ცხენები.

– აჰა, – წამოდგა ბაუმვაისი, – ჩემს წასაყვანად მოვიდნენ. ნება მიბოძეთ, გამოგემშვიდობოთ.

– საით გაგიწევიათ? – ჰკითხა მარშალმა.

– მთებში, აქედან ორი ლიეს დაშორებით ერთი მეტყევე ცხოვრობს, – მიუგო ბაუმვაისმა. – ახლა მეტყევესთან სტუმრადაა ჩვენი მშვენიერი მომღერალი მარია ჩერნი, რომელიც იქ ომის საშინელებებს არიდებს თავს. დღეს მარია ჩერნის 23 წელი შეუსრულდა და პატარა წვეულებას მართავს. მერედა, რომელი წვეულება ჩაივლის მოხუცი მუსიკოსის გარეშე.

მარშალი სავარძლიდან წამოდგა.

– ბატონო ჩემო, – უთხრა მუსიკოსს, – ჩემი კორპუსი აქედან ხვალ დილით გადის. ჩემის მხრით უზრდელობა ხომ არ იქნებოდა, რომ თქვენ შემოგერთებოდით და ეს საღამო მეტყევის სახლში გამეტარებინა?

– როგორც გნებავთ, – მიუგო ბაუმვაისმა და მორიდებით დაუკრა თავი, მაგრამ ეტყობოდა, მარშლის სიტყვებმა გააკვირვა.

– მაგრამ, – დაურთო ნათქვამს მარშალმა, – ამაზე სიტყვა არავისთან დაგცდეთ. მე უკანა პარმაღიდან გამოვალ და მარხილში ჭასთან ჩავჯდები.

– როგორც გნებავთ, – გაიმეორა ბაუმვაისმა, ისევ დაუკრა თავი და გავიდა.

მარშალს გაეცინა. ამ საღამოს ღვინო არ დაულევია, მაგარამ მაინც რაღაცნაირი უნაღვლო სიმთვრალე მიეძალა უჩვეულოდ.

– ზამთარი! ეშმაკები ტყეში, ღამეულ მთებში! ჩინებულია! – თქვა თავისთვის.

მარშალმა ლაბადა მოისხა და სასტუმროდან ბაღში გავიდა. ჭასთან მარხილი იდგა – ბაუმვაისი უკვე ელოდა. ცხენებმა ფთხვინვით ჩაუქროლეს ქალაქის გასასვლელთან გუშაგს. გუშაგმა ჩვეულებისამებრ, თუმცაღა დაგვიანებით, თოფი მხარზე მიიკრა და მარშალს მიესალმა. შემდეგ დიდხანს აყურადებდა თანდათან დაშორებული ეჟვნების ჟღარუნს და თავი გააქნია.

– რა ღამეა! ნეტავ ერთი ყლუპი ღვინო მომცა! – თქვა მან.

ცხენები ვერცხლით ნაჭედ მიწაზე მიქროდნენ. ცხელ დრუნჩებზე თოვლი ადნებოდათ. ტყეებს ყინვა ჯადოთი კრავდა. შავი სურო ძალუმად ეკვროდა წიფლის ტოტებს, თითქოს ცდილობდა, მათში მაცოცხლებელი წვენი გაეთბო.

უეცრად ცხენები ნაკადულთან შედგნენ. მთის გამოქვაბულებიდან, გრიგალის დროს დალეწილი ხეებით ჩახერგილი, გაყინული ფოთლებით დაფარული ტყეებიდან მომდინარე ნაკადული ქაფქაფით, დუდუნით გადარბოდა ქვებზე.

ცხენები ნაკადულის წყალს დაეწაფნენ. წყალში მათ ფლოქვებთან მოელვარე ჭავლივით გასხლტა რაღაც. ცხენები განზე გახტნენ და ვიწრო გზაზე გაჭენდნენ.

– კალმახია, – თქვა მემარხილემ, – მხიარული თევზია.

მარშალმა გაიღიმა, სიმთვრალე არ უნელდებოდა. არც მაშინ განელებია, როცა ცხენებმა მარხილი მინდვრად მდგარი მაღალსახურავიანი სახლისკენ გააქანეს.

ფანჯრებში სინათლე კიაფობდა. მემარხილე

ძირს ჩამოხტა და ფეხთსათბური გადასწია.

კარი გაიღო. მარშალმა ლაბადა მოიძრო, ბაუმვაისთან ერთად სანთლებით განათებულ დაბალ ოთახში შეაბიჯა და ზღურბლთან შედგა... ოთახში კოხტად გამოწყობილი რამდენიმე ქალი და კაცი დახვდა.

ერთ-ერთი ქალი წამოდგა. მარშლმა შეხედა და მიხვდა, რომ იგი მარია ჩერნი იყო.

– მომიტევეთ, – უთხრა მარშალმა. იგი ოდნავ გაწითლდა. – მომიტევეთ, რომ დაუპატიჟებლად შემოგეჭერით, მაგრამ ჩვენ, ჯარისკაცებმა, არც ოჯახი ვიცით, არც დღეობები, არც მშვიდობიანი მხიარულება. ამიტომ, ნება მიბოძეთ, ცოტათი გავთბე თქვენს ცეცხლთან.

მოხუცმა მეტყევემ თავი დაუკრა მარშალს. მარია ჩერნი კი სწრაფად მივიდა მასთან, თვალებში ჩახედა და ხელი გაუწოდა. მარშალმა ხელზე აკოცა. ქალის ხელი ყინულის ნატეხივით ცივი ეჩვენა. ყველა დუმდა.

მარია ჩერნი ფრთხილად შეეხო მარშლის ლოყას, თითი ღრმა ნაჭრილობევზე გადაუსვა და ჰკითხა:

– ძალიან მტკივნეული იყო?

– დიახ, – მიუგო დაბნეულმა მარშალმა. – მთელი ძალით დამკრეს ხმალი.

მარია ჩერნიმ მარშალს ხელში მკლავი გამოსდო და სტუმრებთან მიიყვანა, შემცბარი და სახეგაბრწყინებული აცნობდა მათ, თითქოს მისი საქმრო ყოფილიყო. სტუმრებს გაკვირვების ჩურჩულმა გადაურბინა.

არ ვიცი, მკითხველო, გჭირდებათ თუ არა მარია ჩერნის გარეგნობის აღწერა? თქვენ რომ ისევე, როგორც მე, ამ ქალის თანამედროვე ყოფილიყავით, ალბათ გაგონილი გექნებოდათ მისი სხივნათელი სილამაზის, ნარნარი სიარულის, ჭირვეული, მაგრამ მომხიბლავი გუნება-განწყობის ამბავი. კაცი არ მოიძებნებოდა, იმის იმედი ჩაედო გულში, მარია ჩერნი შემიყვარებსო. შესაძლოა, მარტოოდენ შილერისთანა ადამიანები ყოფილიყვნენ მისი სიყვარულის ღირსნი.

რა მოხდა შემდეგ? მარშალმა ორი დღე დაჰყო მეტყევის სახლში. ნუ ვილაპარაკებთ სიყვარულზე, ვინაიდან ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა არის იგი. იქნებ მთელი ღამე ციდან ჩამომავალი ბარდნალა თოვლია ან ზამთრის ნაკადულები, სადაც კალმახები ფართქალებენ. ან იქნებ სიცილი და სიმღერაა, ძველი კუპრის სუნია ალიონზე, როცა სანთლები ყუყზეა დასული და ვარსკვლავები ფანჯრებს ეკვრიან, რათა მარია ჩერნის თვალებში ციაგებდნენ. ვინ იცის? იქნებ ხეშეშ სამხრეზე დადებული შიშველი ხელია, იქნებ თითებია, რომლებიც ცივ თმას ეფერებიან, ან ბაუმვაისის დაკემსილი ფრაკია? იქნებ მამაკაცის ცრემლია? დადენილი იმის გამო, რასაც არასდროს ელოდა გული: სინაზის,

ალერსის, ტყისეულ ღამეებში უთავბოლო ჩურჩულის გამო დადენილი? იქნებ სასოწარკვეთაცაა განშორების წინ, როცა გული ღონდება და მარია ჩერნი მშფოთვარედ უსვამს ხელს შპალერს, მაგიდებს, იმ ოთახის კარის საგდულებს, რომელიც მოწმე იყო მისი სიყვარულისა? და ბოლოს იქნებ ქალის შეკივლება და გონების დაკარგვაა, როცა გარეთ უხეშად გაისმის ბრძანება, ჩირაღდნების კვამლში ნაპოლეონის ჟანდარმები ცხენებიდან ძირს ხტებიან და სახლში შედიან, რათა მარშალი იმპერატორის პირადი ბრძანებით დააპატიმრონ?

ზოგი ამბავი გაკრთება და ჩიტივით გაქრება ხოლმე, მაგარამ სამუდამოდ რჩება მისი უნებლიე შემსწრე ადამიანების მეხსიერებაში.

ირგვლივ არაფერს ნირი არ უცვლია. ტყეები ისევ ისე ხმაურობდნენ ქარში და ნაკადული პატარ-პატარა მორევებში ისევ ისე ატრიალებდა გამუქებულ ფოთლებს, ისევ ისე ისმოდა მთებში ნაჯახის დარტყმის ნახმევი და ისევ ისე რატრატებდნენ ქალაქში ჭასთან თავშეყრილი დედაკაცები.

მაგრამ ეს ტყეები, ციდან ნელ-ნელა ჩამომავალი თოვლი, ნაკადულში კალმახების ბზინვარება ბაუმვაისს რატომღაც აიძულებდა, ფრაკის უკანა ჯიბიდან ქათქათა ცხვირსახოცი ამოეღო, თვალებზე მიეკრა და უთავბოლო, სევდიანი სიტყვები ეჩურჩულა მარია ჩერნის მეყსეულ სიყვარულზე და იმაზე, რომ დროდადრო ცხოვრება მუსიკას ემსგავსება.

– მაგრამ, გულის ტკივილის მიუხედავად მიხარია, რომ ამ ამბის მონაწილე ვიყავი და განვიცადე მღელვარება, რაიც იშვიათად ხვდება წილად მოხუც, საწყალ მუსიკოსს, – ჩურჩულებდა ბაუმვაისი. ...

რუსულიდან თარგმნა აკაკი ბრეგაძემ

/პაატა სურმანიძე/ – /პოეტ პოეტიშვილი/

აგუნა

ღვინის სახლისკენ მიმითითებს აბრა->აგუნა.
ძველ მარნის კარი მთვრალ ხელებმა ააბრაგუნა.
ჩხიკვთა ქორწილში გადათვრება ერთი თაგუნა,
ნიკალას დუქანს არ ვარჩიე თეთრი ლაგუნა.
დამისხი, მუზის მერიქიფევ, აგუ...აგუნა,
ვანის თამადამ პოეზია ააგუგუნა.
ვაზიანიდან მიმიწვიეს ვაზისუბანში,
ხარივით მსმელი რქაწითელის ზვავი ბუნაგში-
-ჩამიყოლიებს სადღეგრძელო ლაბით მინთია-
-ყანწი ცისფერი დახვეული ლაბირინთია.
გულის გუნება ღვინის ღმერთით გააგუნება.
ღვინომ მარგუნა პოეზიის გააგუნება.
ჩვენებურებო, აჩონგურეთ ჩვენი ჩაგუნა...
ნააგუნევზე დამეწერა ლექსი„აგუნა.“

9 აპრილის გმირები.(უნდა გვახსოვდეს)

დღეს ყველა სიტყვას ცრემლებით ვხაზავ,
ეს ტრაგედია მოგვიწყო ვინო?!
შენ იქ გმირულად დაეცი, აზა,
სადაც შეაკვდა მრბეველებს ნინო.
აქეთ მოგიწყეს ნიჩბით მიტინგი,
რა სისხლიანი დღეა, თამუნა,
არ იკადრებდა ამას ვიკინგიც,
ვინც ტორი ამათ მოუთათუნა.
ახლა სიმწრისგან ვუკბინე ნეკას,
ეს ცხრა აპრილი ცოდვა მათია-
ვინც მოუსწრაფა სიცოცხლე ეკას,
ვინც არ დაინდო ბავშვი, ნათია.
მაშინ შენ ქრისტეს გქონდა ასაკი,
რომ გაგისტუმრეს ღმერთთან, მანანა.
ხალხი არაა,ბრბო და მასა კი,
ვინც გაპატიათ და არ განანათ-
ვინც გეფერებათ აპრილის ჩამდენს,
მე მათ ჩავაცმევ ლაჩრების შარვალს.
ვერ გაბედავდა იგორი ამდენს,
შიგნითაც ჰყავდა ეშმაკი მტარვალს.
მარად დარჩება თქვენი სახელი,
კავკასიონზე თვალები გალღვა.
ვენაში დუღდა სისხლი კახელის,
რომ ეზვარაკა სამშობლოს შალვა.
ნაავადმყოფარ ქვეყანას კურნავ,
შენი სიცოცხლით ოღონდ, ვენერა.
ქვეყნიერების სანაგვე ურნავ,
ვაცად ვერ აქცევთ მარტო გენერალს.
ზოგი იმსხვერპლა მხუთავ აირმა
და ზოგს უშენდნენ სამხედრო ნიჩაბს.
ებრძოდა ტანკის გრუხუნს ზაირა,
გულზე მუხლუხის კვალები გვიჩანს.
სამოცდაათი წლის მოხუც თინას-
კლავენ- გვაწამეს ამდენი წელი.
მამაო ჩვენო, ცათაო შინას,
რომ ლოცულობდით დაგესხათ მკვლელი.
თავისუფლებას ითხოვდა ნანა,
რა დააშავა ასეთი ნატომ?
დღეს შერიგების პროცესი დგანა,
პასუხს არა სთხოვს არავინ რატომ?!
რა შერიგება? ვის ურიგდებით,
დათვი, რომელიც ჩვენს სისხლში წვანა?!
მტერთან ლაქუცით და ყურისგდებით,
გვაპატიებენ გმირები განა?
რადგან მუცელში აპრილი ვიგრძენ,
იმ დღეს მუცელი ტკიოდა დედას.
აპრილის დღეებს მოაკლეს სიგრძე,
არ ვაპატიებთ ოცდაერთ ცხედარს.
გმირებო: თამარ, მარინა, მზია,
მამუკა, გია, თამუნა, ნოდარ,
მანანა... გვჩუქნით ჩვენ დროშას, მზიანს,
თავისუფლების დამკვიდრდა დრო და...
გადაშენება სურდათ ერისო,
რადგან ორსული მოკლეს ელისო.
ჰოდა, პოეტი მქვია მე რისო,
არ შეგახსენოთ გესლი გველისო.

აჭარა

ჭოტმა ჭორები აჭარაჭურა,
ომის სამოსით მოსა გონიო.
მაჭარი ღვინოდ,აჭარა ჭურად
ჭახუნ- ჭიკჭიკით მოსაგონიო.
ჭკვიან ჭაბუკმა მაჭახელაში,
ჭაკი ჭიხვინით გადააჭენა.
მჭიდროდ ამოჭრა მახე ჭალაში
და მტერი ჭაში გააჭაჭანა.
ჭყინტი ჭორები დაფქვეს ჭო! როხით..
აჭარელისთვის მჭადი+ჯჯვარია.
ჭმუნვას ჭილებზე აფრქვევს ჭოროხი,
ახლოს ახალი მჭადიჯჯვარია.
მტრებმა მრავალმხვრივ მოჭირნახულეს
ჭოგრიტის ჭვრეტით მიწა ააჭრა.

ჭაობში ობი მოჭირხლულია,
აქ ბეჰემოთი იწვა, აჭარა!
დამახრჩობს მოხრილ მკლავით მოჭერა...
სხალთა, ხიხანი... სიუხვე ხულო.
სახალხოდ ყველას თავი მოეჭრას,
ვინც შენი ფესვი იუხერხულოს.

პარისი (ექსკლუზივი)

ბრძენი ქალივით შემო ათენა,
ჰერა კი ბოღმას ანთხევს ქილებით.
ზღვა აფროდიტემ შემოათენა,
ვაშლი გაგორდა განხეთქილების.
მთვარე ამთქნარებს ნამგალთაღება,
მოსაუბრეა მისი პარისი.
ჰგავდა ელენეს გავლა ღვთაებას,
იმ დროის სახე „ისი პარისი"
ძმას გვერდში უდგას გმირი ჰექტორი....
მშვიდობას ომით მოსავს პარისი,
რომ აფროდიტეს ისრის ვექტორი,
სხვა სექტორშია მოსაპარისი.
ცას ევლინება ბნელი სელენე,
ნაბდის ღრუბელი მოპარვას ჩქარობს.
პოსეიდონი ელინ ელენეს,
გაატანს პარისს, ქარსა და ქარონს.
უსასრულობის რტოა-ანი რვა,
რვიანებს ხაზავს რა კიპარისი.
ეპატიება ტროას გაწირვა,
არაკს რაკრაკებს რაკი პარისი.
ნანგრევებიდან გამო, ილიონ,
ცის ანგელოსი რომ მოგივლინო.
რითმას ვიგონებ ახალს მილიონს,
რომ ლექსი მე ვერ გამომილიონ.
მიზანში ესვრი ისარს აქილევსს...
მოგონებაა დღეს წინაპარის.
სულს ღაფავს ლექსი, სტრიქონს აქ ილევს-
-გულზე ისარი ეწვინა პარისს ->

პარიჟი

ლექსით მოვლილი უკეთესია,
გხვდება, ორფეოს, პარიჟი არფით.
შანელს რომ შალით უკ(ვ)ეთებია,
ასულა წინაპარი ჟირაფით.
ქუჩაში მხვდება ჟანად მერი და
თოვლმა პატივი მომაგო, დნება.
რაინდს დამინდობს ჟანდარმერია,
თუ ჟანა დ'არკიც მომაგონდება.
მეტრით დამშორდი -დიუმებიდან,
მკლავები მოგჭრეს გოგო ვენერას.
მაინც დიდს ვირჩევ დიუმებიდან,
დე გოლს ვიგონებ, როგორც გენერალს.
პარიჟის თავზე ავალ ჟირაფით,
შანზ-ელიზესკენ სული მიმიწევს,
ფოთლებს გაფანტავს ალვა ტირაჟით
და მონა ლიზა ლუვრში მიმიწვევს.
დენდთან და ფრანტთან მოვა პაჟი რით?
არ კადრულობენ მას კარადები,
ეიფელივით მომრთავს პარიჟი,
რომ დავდგა მთვარის მასკარადები.
დაბარბაცებდა ბოთლით ბოდლერი,
როგორც "ყვავილი უბოროტესი,"
ბოლოს „მალბოროს" ბოლთით ვბოლდები,
ბოტასს ვაბოტებ "ურობოტესი".
აქ ცაა მართლა სადირიჟაბლე,
ფეხით ვსეირნობ პანტა გურული,
ახლა ვკითხულობ: „ სად არის რაბლე,
გარგანტუა და პანტაგრუელი?"
მთვარეს ასკდება მზის შამპანური,
მინდოდა ბევრი პატიჟი მე რად?..
მაქვს კომპანია კამპანიური,
გალაკტიონი პარიჟის მერად.
ლექსებს გადმოფენს პარიჟი რაფით,
არელიქვიებს რელიეფს ლუვრი.
ავალ, ვით წინაპარი ჟირაფით,
რომ ვიგრძნო ფერვა ეიფელური.
გავიზეპირე გუსტავ ფლობერი,
რომ მეცოდება მადამ ბოვარი.
ვარ სიყვარულის სუსტად მფლობელი
და მიტოვებით დანათოვარი.
ვეძებ სინათლეს ბრაილის შრიფტით,
ციდან შავ-თეთრი დაეშვა ფოტო.
ცამდე ბრმად ვივლი არილის ლიფტით.
ეშმა ეშვება საეშაფოტოდ.
რით ვუმკურნალო, რას სჭირს, სახადო?!
ჩაწვა, ავადა იმტრისლოგინა.
სხვა ერთაწმინდელს თავს მჭრის სახალხოდ,
ნამგალა მთვარის გილიოტინა.

არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას

დიდ დათვის ხელი- მტერი ტორია,
ოკუპანტ ტანზე ტატუ ტანშლილი.
ტერორს არ გეყოთ ტერიტორიამ,
რომ მოგვიკალით ტატუნაშვილი.
არ დააყოვნებს ბაიყუშებმა,
ყურის და ფეხის ო, კუ პანტური.
ვინც პოლიტიკით არ იყურშება,
ტკივა ტკიპები ოკუპანტური.
ყაყაჩოს ყანა, ქვაპირქვე ნაყა.
და მტრედებს ყვავებს გადმოგვასევენ.
ყარს მოყაყანე „ვაი ქვეყანა,"
ერთი თვის შიგნით გადმოგასვენეთ.
რაც თავი მახსოვს მის გვერდით ჰყავდა,
ჩვენებურები ლაჩარს აჩრილი.
ჩვენი სიცოცხლე დღეს სიკვდილს ჰგავდა,
მეფე მკვდარია, არ ჩანს არჩილი.
დიდ დათვის ხელი – მტერი ტორია,
ოკუპანტ ტანზე ტატუ ტანშლილი.
ტერორს არ გეყოთ ტერიტორიამ,
რომ მოგვიკალით ტატუნაშვილი.

მარსიანი

გალაკტიონი

ჩვენ მას მსოფლიო მასშტაბის გენიოსს ვეძახით, მაგრამ მსოფლიო, სამწუხაროდ, არ იცნობს მის შემოქმედებას...

ამგვარი პოეზიის პწკარედებით თარგმნა უაზრობაა. უცხოელმა მთარგმნელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს ქართული ენა (და არა ისე, ჩვენმა ენამოჩლექილმა დასავლელმა სტუმრებმა რომ იციან), ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდეს ქართულ ლიტერატურას, ჩვენს ისტორიას, კულტურას; და, რასაკვირველია, თვით გალაკტიონის შემოქმედება ზედმიწევნით უნდა ჰქონდეს შესწავლილი. თავისთავად იგულისხმება, რომ ის ნიჭიერი პოეტი-ვერსიფიკატორიც უნდა იყოს. და თუ ყველაფერ ამასთან ერთად ის იღბლიანი კაციც აღმოჩნდება, იქნებ გამოუვიდეს გალაკტიონის რამდენიმე ლექსის კარგი თარგმანი. დიახ, იღბალიცაა საჭირო, რათა თარგმანში როგორმე გადასახლდეს ლექსის სული, რომელიც მით უფრო ძნელად მოსახელთებელია, რამდენად რთული ტექნიკითაა შესრულებული ნაწარმოები და რამდენად ღრმადაა მისი ავტორი მშობლიური ენის წიაღში შეჭრილი . თორემ, აბა როგორ გინდა, სხვა ენაზე ააჟღერო „იით მოაიავებს", „ცაიერადი" ან „დოვინ-დოვენ-დოვლი", ანდა როგორ უნდა გადაიტანო სხვა ენაზე „ატმის ყვავილების" განუმეორებელი ევფონია და უცნაური კონსტრუქციით განლაგებული რითმები? ხოლო თუ ეს ყველაფერი უარყავი, რით უნდა შეავსო დანაკლისი? ე. წ. თავისუფალი თარგმანი ხომ საბოლოოდ მთარგმნელის საკუთრება უფროა, ამგვარი თარგმანი მკითხველს ბევრს ვერაფერს ეტყვის პოეტის სტილის თავისებურებებზე.

საუკეთესო, იდეალური ვარიანტი ის იქნება, თუ ოდესმე ქართული ენა ისე საყოველთაოდ გავრცელდება, როგორც დღეს, ვთქვათ, ინგლისურია. მაშინ მსოფლიო ორიგინალში წაიკითხავს გალაკტიონს და მოხდება კიდეც სასწაული – ზეახალი ვარსკვლავის წარმოშობა-აფეთქება მსოფლიო პოეზიაში. ამ ვარსკვლავს სახელად „გალაკტიონი" ერქმევა...

პირადად ჩემთვის ასეთი სასწაული მაშინ მოხდა, როცა „ლურჯა ცხენები" და „ეფემერა" წავიკითხე პირველად; სხვა ლექსებიც, რასაკვირველია; მაგრამ თუ გალაკტიონს ორწვერა იალბუზს შევადარებთ, ის „ორი წვერი" უთუოდ „ლურჯა ცხენები" და „ეფემერა" იქნება...

„ლურჯა ცხენებით" მან თავისი „მერანი" შექმნა; „მთაწმინდის მთვარით" კიდევ – თავისი „შემოღამება მთაწმინდაზედ" და აგრეთვე თავისი „განთიადი"... ასე რომ, ოცდასამი წლის ასაკში (1915 წ.) მან ბარათაშვილსა და აკაკის დაუმშვენა მხარი. ამ ორ პოეტთან მისი „ჯუფთობა" რომ მკითხველსაც ცხადად დაენახა და ეღიარებინა, თემატურადაც აშკარა ანალოგიებს მიმართა, აღმოსავლელ პოეტთა დარად ერთსა და იმავე სიუჟეტებს თუ თემებს რომ ამუშავებდნენ და ასე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, თუ ვინ უფრო მაღალოსტატურად იტყოდა; „მთაწმინდის მთვარეში" აკაკი და ბარათაშვილი მოიხსენია კიდეც...

შემდეგ ზედიზედ, ფანტასტიური სისწრაფით დაახვავა შედევრები, ორივე ზემოხსენებულ წინამორბედს გადააჭარბა მათი რაოდენობით, სულმოუთქმელად და მძვინვარედ ქმნიდა, „ნადირობდა" მტაცებლური აზარტით შეპყრობილი: „მე უშიშარი ლომი, მოპოვებული მსხვერპლით"...

მაგრამ მას კიდევ რაღაც სხვა, განსაკუთრებული სურდა და ოცდაათი წლის ასაკში ეს „რაღაც სხვაც" მოიმოქმედა:

ჯეკ ლონდონს რომანში „მარტინ იდენი" ჰყავს ერთი პერსონაჟი, პოეტი ბრისენდენი (რომლის პროტოტიპი კალიფორნიელი პოეტი სტერლინგი ყოფილა). ეს კაცი წერს საოცარ, გენიალურ პოემას, რომელსაც „ეფემერა" ჰქვია; არ ვიცი, მსგავსი ნაწარმოები რეალურად მართლა არსებობს ამერიკულ ლიტერატურაში? ალბათ არა (სტერლინგის შემოქმედება პირადად ჩემთვის სავსებით უცნობია. რამდენადაც ვიცი, ის არ უნდა მოიხსენიებოდეს უდიდეს ამერიკელ პოეტთა შორის). ალბათ, ჯეკ ლონდონის ფანტაზიის ნაყოფია ის „ეფემერა", მაგრამ ათასი მადლობა ამერიკელ რომანისტს იმისათვის, რომ მისმა ფანტაზიამ რეალური ნაყოფი გამოიღო აქ, საქართველოში, და გალაკტიონს ბიძგი მისცა ისეთი ლექსის შესაქმნელად, რომლითაც პოეტმა, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავსაც გადააჭარბა: მან, ბარათაშვილისა და აკაკის მძლეველმა, მოინდომა გატოლებოდა იმ საკვირველ პოეტს – ბრისენდენსაც, წიგნის გმირს, ფანტასტიური შედევრის, „ეფემერას" ავტორს... და „ეფემერა" მართლა, რეალურად დაიწერა, ფანტაზია სინამდვილედ იქცა! მართალია, ის პოემა არ არის, მხოლოდ მოზრდილი ლექსია, მაგრამ არათუ ლირიკული პოემის, არამედ რომანის შესაქმნელადაც კი იკმარებდა ამ ლექსში კონდენსირებული მხატვრული ინფორმაცია: „ეფემერა" და სხვა არაერთი შედევრიც გალაკტიონისა იმ ჯუჯა ვარსკვლავებს გვაგონებენ, რომლებშიც ნივთიერება ისეა შემჭიდროებული, რომ ამ ნივთიერების ერთი კუბური სანტიმეტრი მთელ ეშელონს აიწონის თურმე...

„ეფემერა" თემატურად თითქოს „ლურჯა ცხენების" ერთგვარი დუბლია; ამ ლექსის ცენტრალურ მხატვრულ

სახედ კვლავ უსასრულობაში მქროლავი ლურჯა ცხენები გვევლინება. მეტრი და რიტმიც იგივეა, მხოლოდ „ეფემერაში" შიდა რითმები აღარ გვხვდება „ლურჯა ცხენებისგან" განსხვავებით. ზემოთ ვთქვი, ამ ლექსით ავტორმა თავის თავსაც გადააჭარბა-მეთქი: მართლაც, მან თითქოს ახალი „ლურჯა ცხენები" შექმნა, მოცულობით თითქმის ორჯერ უფრო დიდი, ამასთან, გარკვეული თვალსაზრისით, უფრო გლობალურიც კი: ეს იმიტომ, რომ „ლურჯა ცხენებში" მხოლოდ მეტაფიზიკური რეალობა, მიღმა სამყარო („სამუდამო მხარე") არის ნაჩვენები, „ეფემერა" ერთდროულად მოიცავს ხილულ და უხილავ სამყაროს, მიწიერს და ზეციურს; „ეფემერა" ჭეშმარიტად კოსმიური ქმნილებაა, ფიზიკური და მეტაფიზიკური კოსმოსი ერთდროულადაა მასში დატეული; ამავე დროს ეს ლექსი ერთგვარად „ლურჯა ცხენების" ინტერპრეტაცია თუ კომენტარიც გახლავთ; როცა პოეტი ამბობს – „ო, რამდენი დაცხრება შურიანი თვალები, რომ მარად იმარჯვებენ იდუმალი მშვენებით, ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები, ცხენთა შეჯიბრებაზე ისევ ლურჯა ცხენები", აქ იგი მხატვრულად აფიქსირებს ამ ლექსის – „ლურჯა ცხენების" (და, საერთოდ, თავისი შემოქმედების) წარმატებას, ტრიუმფალურ სვლას ქართულ პოეზიაში და თავის თანამედროვე პოეტთა დამოკიდებულებასაც ამ ლექსისადმი (საერთოდ, თავისი შემოქმედებისადმი). „ვწუხვარ, ერთადერთი ვარო", – სწორედ ამ პოეტების გასაგონად ამბობს, რადგან არაერთი მათგანი ცდილობდა მისთვის მეტოქეობა გაეწია: პაოლო იაშვილმა ამ მიზნით „წითელი ხარი" აირჩია „გამწევ ძალად", ტიციან ტაბიძემ – „ცხენი ანგელოსით", ალიო მირცხულავამ – „ელვის რაშები", ხოლო ტერენტი გრანელმა რამდენიმე ლექსი შექმნა „ლურჯა ცხენების" მსგავსი მეტრითა და რიტმით, და ზოგ მათგანში რითმებით განლაგებაც ანალოგიურია (aaabcccb). ერთი სიტყვით, პოეტებს მეტისმეტად ყელზე დაადგათ ეს არაქვეყნიური ქმნილება „ლურჯა ცხენები", რომლითაც ახალგაზრდა გენიოსი კადნიერად და დამაჯერებლად დადგა „მერანის" ავტორის გვერდით. პოეტთა ცნობიერებაში ერთგვარი „გალაკტიონის კომპლექსი" გაჩნდა და ყველა თავისებურად, შეძლებისდაგვარად ებრძოდა ამ კომპლექსს; რა ექნათ, გიგანტის ჩრდილში ქმნიდნენ თავიანთ პოეზიას და თავის გასამხნევებლად ხშირად უხდებოდათ ილუზიებით, თვითშთაგონებით თავის მოტყუება. ისინი სულის კუნჭულებში მიმალული შიშის გასაქარწყლებლად „ხმას იბოხებდნენ", „ფეხის ცერებზე იწევდნენ"... გალაკტიონი გრძნობდა, რომ არა მხოლოდ გატოლებას ცდილობდნენ მასთან, არამედ ჯობნის პრეტენზიასაც კი საკმაოდ აშკარად ამხელდნენ; და მანაც, ბრძოლის ჟინითა და ხალისით აღსავსე, ძალამოჭარბებული ზეკაცის შესაფერი, გამანადგურებელი დარტყმით უპასუხა: ჯეკ ლონდონის რომანიდან მიღებული შემოქმედებითი იმპულსი კიდევ უფრო გააძლიერა „ქვეშევრდომების" სითამამით გაღიზიანებული „მეფის", „ლომის" მრისხანებამ: და მან ისეთი ძალით დაიქუხა, არა მარტო სხვათა ხმები დაფარა, არამედ თავის ადრინდელ დანაქუხარსაც კი გადაამეტა...

„ეფემერა" ზეკაცის ავტოპორტრეტია, ზეკაცის ავტობიოგრაფია, ავტოჰიმნი... ეს არის ფორმის უზადო კრისტალში დატყვევებული აბსოლუტის გამონათება; ადამიანის ხელს ასეთი სასწაულის მოხდენა თუ შექმნა არ ძალუძს, ასეთი კოსმიური სრულქმნა, ასე უსაზღვრო სივრცის დაუფლება ღვთის ხელის ჩაურევლად არ ხდება; „ეფემერას" წერისას მისთვის კიდით კიდემდე ცა იყო გადახსნილი, მისი არსება მთლიანად ზეცნობიერით იყო მოცული და თავს უძლეველ ღმერთად გრძნობდა... ადრინდელ ლექსშიც ხომ ამბობს: „ეხლა ყველაფერს, ყველაფერს ვქმნი ახალი ღმერთი!"

...ზოგჯერ ლამის „შემეცოდოს" ამაოების უაზრო ორომტრიალში ჩაბმული ბრმა და ყრუ მსოფლიო, რომელსაც ჯერ კიდევ არ მისწვდენია ამ „ახალი დროის დიდი მესიის" მრისხანე მოწოდება: „წყნარად, მსოფლიო! წინ, მსოფლიო! მსოფლიო, ჩუმად!"

მაგრამ, რას იზამ, ჯერ არავინ გამოჩენილა ისეთი, გალაკტიონის ქართულ ხმას კაცობრიობის ყურთასმენამდე მისთვის უფრო ხელმისაწვდომი ენის მეშვეობით რომ მიიტანდა; საერთოდაც, ქართული ფენომენის, ქართული სულიერების სათანადო შეუცნობლობა ხარვეზია, ნაკლია კულტურული მსოფლიოსი, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად ესეც საგრძნობლად განაპირობებს საყოველთაო სულიერ კრიზისს... მთა არ მიდის მუჰამედთან და ჯერჯერობით ვერც მუჰამედმა მოიცალა მისთან მისასვლელად...

სავსებით სამართლიანად განაცხადა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომ „საქართველო მუდამ იამაყებს სამი დიდი გენიოსით" (რუსთაველი, ვაჟა, გალაკტიონი); იგი სხვებსაც ხედავდა და აფასებდა, რასაკვირველია, მაგრამ ეს სამი პოეტი მართლაც განსაკუთრებული გლობალურობით, მრავალწახნაგოვნებით, უნივერსალიზმითაა გამორჩეული. ალბათ მსოფლიოში ძნელად მოიძებნება ლირიკოსი პოეტი, რომელსაც გალაკტიონივით სრულად მოეცვას ყოფიერების თითქმის ყველა სფერო. იგივე კონსტანტინე გამსახურდია ამბობს: „გალაკტიონმა გადააჭარბა თავის მასწავლებლებს. მე ვიტყოდი – შორს გადააჭარბა". გულისხმობდა ედგარ პოს და ფრანგ სიმბოლისტებს; მართლაც, ისინი გალაკტიონთან შედარებით უფრო ცალმხრივნი, „ვიწროდ სპეციალიზებულნი" ჩანან: ედგარ პო სულ რაღაც ოთხი პოეტური შედევრითაა ცნობილი, ბოდლერსა და ერედიას თითო პოეტური ციკლი დარჩათ, მცირე მოცულობისაა მალარმეს შემოქმედებაც:, მგონი არც ვერლენი იყო დიდად პროდუქტიული, ხოლო რემბომ ცხრამეტი წლისამ დაანება თავი პოეტობას და ლიტერატურაში მარადიულ ჭაბუკად, „ბავშვ შექსპირად" დარჩა (ასე უწოდეს)... არ იყო ამ პოეტთა შემოქმედებითი თემატიკა ფართო და ყოვლისმომცველი; ზოგ ამათგანს, მართალია, ჩინებული პროზაც აქვს, მაგრამ აქაც არსებითად ვიწრო თემატიკით არიან შემოფარგლულნი; ფრანგ პოეტებს თითქოს შეთანხმებულად ჰქონდათ დანაწილებული თავ-თავიანთი" „ლიტერატურული უბნები" და ცდილობდნენ ამ ურთიერთგამიჯვნით, რაც შეიძლება, უფრო ორიგინალურნი, თვითმყოფადნი გამოჩენილიყვნენ. გალაკტიონს ამის საჭიროება არ ჰქონია (ქართული ლიტერატურა არ არის ფრანგულივით მკაცრად დიფერენცირებული სტილებად და მიმდინარეობებად), იგი დაურიდებლად იჭრებოდა „სხვის ტერიტორიაზეც", დესპოტურად თავის ჩრდილ-

ში იქცევდა თანამედროვეებსაც და ზოგჯერ წინაპრებსაც. იგი თავის თანამედროვე პოეტს ტომას ელიოტს ან მხატვარ პაბლო პიკასოს უფრო ჰგავს მხატვრული სამყაროს უჩვეულო მრავალპოლუსიანობით, პალიტრის სიმდიდრით. მისი პოეზიის არმცოდნე მკითხველს რომ წააკითხო, ერთი მხრივ, ბრილიანტივით უზადოდ მონახნაგებული „ლურჯა ცხენები" და, მეორე მხრივ, დეპეშური სტილით დაწერილი მღვრიე და ქაოტური „ჯონ რიდი", ალბათ ძნელად დაიჯერებს, რომ მათი ავტორი ერთი და იგივე კაცია., ან რა აქვთ საერთო, მაგალითად, გაურანდავ, თხრობითი კილოთი დაწერილ გულუბრყვილო შედევრს „მესაფლავეს" და უკიდურესად ვირტუოზული, რაფინირებული ტექნიკით გამორჩეულ, მისტიკურ „დომინოს"? ალბათ მხოლოდ სიკვდილის მოტივი, მაგრამ რაოდენ სხვადასხვა რაკურსით დანახული! რითი ჰგვანან ერთმანეთს პათეტიკური, მართლაც ტაძარივით მონუმენტური „ნიკორწმინდა" და გულისმომწყვლელად სევდიანი, მინორული „ატმის რტოო, დაღალულო რტოო?" სად „საახალწლო ეფემერას" არისტოკრატიულ-თეატრალური ატმოსფერო („მუსიკა, ღვინო და ყვავილები") და სად „სასიმინდე ნახე, როგორ მოხრილა, ძლივს იკავებს ჩამომპალი მორები, ტაროებიც როგორ მიყრილ-მოყრილან, რა სიშმაგით ღრიალებენ ღორები!"

გალაკტიონი (ვაჟას მსგავსად) იმდენად ხელხვავიანი პოეტია, რომ არაერთი შედევრი მისი შემოქმედებიდან მიჩქმალულია, ჩრდილში დგას, მკითხველის ყურადღების მიღმაა დარჩენილი. ამის მიზეზი ის გარემოებაცაა, რომ ჩვენში ერთი უცნაური ტენდენცია არსებობს: მწერლის ნაწარმოებთა ერთი ნაწილი იმდენად პოპულარული ხდება, რომ კრიტიკოს-მკვლევარებიცა და მკითხველებიც მიესევიან მას და აღარ სურთ ამავე ავტორის სხვა, იქნებ უფრო მნიშვნელოვანი ქმნილებების დანახვა. ეს არის აშკარაა გამოვლინება სულიერი სიზარმაცისა და, თუ გნებავთ, საკუთარი, დამოუკიდებელი გემოვნების უქონლობისაც: უმეტესობა ამჯობინებს, ბრმად მიენდოს ავტორიტეტთა გემოვნებას და მხოლოდ ის მოიწონოს, რაც ავტორიტეტებს მოსწონთ, ან უბრალოდ, ინერციას მიჰყვება: ყველას პირზე აკერია „მესაფლავე", „მერი", „გურიის მთებს", „წყალტუბოდან ქუთაისში", „რაც უფრო შორს ხარ", „პოეზია უპირველეს ყოვლისა", „დროშები ჩქარა", „უსიყვარულოდ"... ამ ლექსებს, რასაკვირველია, დამსახურებულად აქვთ მოპოვებული მკითხველთა სიყვარული და პოპულარობა, მაგრამ ალბათ ბევრს გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ ნაკლებგახმაურებული მონუმენტური ფორმის ლექსი „გრიგალი" (1923 წ.) მნიშვნელოვნად უფრო მაღლა დგას ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებებზე მხატვრული დონითაც და ფილოსოფიური სიღრმითაც, ოღონდ მას აკლია ამ ლექსებისთვის ნიშანდობლივი ინტიმი, „დემოკრატიული" უშუალობა; მისი ზემოქმედება არა იმდენად მკითხველის გულისაკენ, არამედ შეგრძნებებისაკენ არის მიმართული. პიროვნულ, კონკრეტულ ემოციებსა თუ გრძნობებას კი არ აღგვიძრავს, არამედ ირაციონალურ სტიქიას აღვიძებს ჩვენს არსებაში. საკმაოდ ბევრი რამ წამიკითხავს გალაკტიონის შემოქმედებაზე, მაგრამ არსად წავწყდომივარ ამ საოცარი ლექსის შეფასებას. არადა, ჩემი ფიქრით, გალაკტიონს მის მეტი რომ არაფერი დაეწერა, მაინც გენიოს პოეტად დარჩებოდა ქართულ ლიტერატურაში. მაშინ „გრიგალს" ძალაუნებურად ყველა შეამჩნევდა და იმის აღიარებაც უთუოდ მოუწევდათ, რომ ეს ლექსი ქართული თუ მსოფლიო ლირიკის ნებისმიერ აღიარებულ შედევრს თამამად დაუდგება გვერდით, ისეთებს, როგორიცაა, ვთქვათ, ბარათაშვილის „შემოღამება მთაწმინდაზედ", ედგარ პოს „ულალუმ", ელიოტის „ქარიანი ღამის რაფსოდია" და „კაცის ფიტულები", ლინდზის „ზანგური ქადაგება: „საიმონ ლეგრი", მალარმეს „ფავნის ნაშუადღევი", ვალერის „ჭადარი"... ეს ჩამოთვლა, როგორც ვხედავთ, ნებისმიერია და რაიმე ხელშესახებ მსგავსებას არ ეფუძნება, უბრალოდ, მონუმენტური ფორმის ლექსები შევარჩიე. ალბათ ყველაზე უპრიანი იქნებოდა, შელის „ოდა დასავლეთის ქარისადმი" დამესახელებინა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ლექსის წაკითხვის საშუალება არა მაქვს, მხოლოდ ზვიად გამსახურდიას შთამბეჭდავი დახასიათებით ვიცნობ მას შელისადმი მიძღვნილი ესეიდან; და რასაც ზვიად გამსახურდია ამბობს ამ ლექსზე, გალაკტიონის „გრიგალზეც" იგივე ითქმის: პოეტი აქ პირდაპირ სასწაულს ახდენს – ქარს ხატავს, ქარის ხმას გასმენინებს, ჯადოქარივით აცოცხლებს ქარის სტიქიას; რეფრენის – „გრიალებს ქარი" – მრავალგზის განმეორებით იქმნება მონოტონური, დაჟინებული და მძლავრი რიტმი; შემდეგ მოდის ურეფრენო სტრიქონები, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნის, რომ ქარიშხალმა ოდნავ შეისვენა, ნაკლები ძალით უბერავს. შემდეგ ისევ ჩნდება რეფრენი, ისევ ქრება და ისევ ჩნდება. სამგზის მეორდება ასე, რაც სტიქიის ფიზიკურ რიტმს, ქარის ქროლვის შენელება-გამძაფრებას შევაგრძნობინებს. აქვე იხატება აბობოქრებული ზღვა და ღრუბლებში ჩამავალი მზეც, ზღვისპირას მომლოდინე მომღერალი ქალებიცა და ნაპირისაკენ მომავალი გემებიც: განსაცვიფრებელი, ფანტასტიური ფერწერა და მუსიკაა ურთიერთს შერწყმული ამ ლექსში და, რაც მთავარია, აქ ვიზუალურ-აკუსტიკური სიცხადით არის დახატული სიმბოლური სურათი მღვრიე, შფოთიანი ეპოქისა, სადაც კინოკადრებივით გაიელვებს ჩვენს თვალწინ რევოლუცია და მშვიდობა, სოფლის უდაბურება, მარტოობის სევდა, სიყვარულის წყურვილი, საბრძოლო შემართება, ფიქრი ამაოებაზე, ფილოსოფიური თუ ესთეტიკური ჭვრეტა სამყაროსი, დეკადანსი, ეროტიკა, ექსტაზი, მისტიციზმი... ძნელია ასე გაკვრით და სახელდახელოდ შეძლო ამომწურავი განმარტება ამ რთული ნაწარმოებისა, იგი საგანგებო, ვრცელ გამოკვლევას მოითხოვს. საჭიროა სტრიქონ-სტრიქონ გაანალიზება მისი კომპოზიციური სტრუქტურისა, სიღრმისეული შრეების გაშიფვრა. აქ არის ექსპრესიონისტული და იმპრესიონისტული ფერწერის პრინციპების შერწყმა-შეთავსება მუსიკალური სონატის სტრუქტურასთან და ამ უჩვეულო ფორმაში იკითხება ღრმად ფილოსოფიური შინაარსი, შეიგრძნობა მისტიკური, სიმბოლური რეალობის სუნთქვა, ეპოქალური სული მარადიულს ერწყმის...

მე დარწმუნებული ვარ, ამ ლექსის არაპოპულარულობის მიზეზი კონიუნქტურაა, ოღონდ არა საბჭოურ-კომუნისტური, არამედ... ანტისაბჭოური კონიუნქტურა! ეს რაღა უბედურებაა? – იკითხავს ალბათ მკითხველი. ახლავე მოგახსენებთ: ამ ლექსში ფიგური-

რებს სიტყვა „რევოლუცია" და რაკი იგი დადებით კონტექსტშია გამოყენებული, როგორც ჩანს, ამის გამო „გრიგალი" ბევრს კომუნისტური რევოლუციის საგალობელი ჰგონია. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, რატომ საბჭოური იდეოლოგიის მეხოტბე კრიტიკოსებმა არ მიაგეს ამ ლექსს „სათანადო პატივი" და რატომ არ გამოაცხადეს იგი „იდეურ" ნაწარმოებად? მათ „დროშები ჩქარა" ჰქონდათ ფარზე ატანილი. „დროშები ჩქარა"-ს ტიპის ნაწარმოები „ვარგისია" ნებისმიერი იდეოლოგიისათვის: მისი მარტივი, ადვილად აღსაქმელი, პათეტიკურ-მომწოდებლური შინაარსი კომუნისტური თუ ანტიკომუნისტური განწყობისათვის თანაბრად მისაღები შეიძლებოდა ყოფილიყო. აი, „გრიგალი" კი სულ სხვაა: იგი არა მარტო ფართო მკითხველისათვის, არამედ ბევრი მწერლისა თუ კრიტიკოსისთვისაც ზედმეტად რთული, ჰერმეტული, გაუგებარი ნაწარმოებია. და თუმცა ეს ვირტუოზული ტექნიკით შესრულებული ლექსი-სონატა გენიალურად გამოხატავს მეოცე საუკუნის დასაწყისის რევოლუციათა ეპოქის მართლაცდა გრიგალისებულ სულს, იგი მაინც „უვარგისი" გამოდგა საბჭოთა იდეოლოგიისათვის სწორედ თავისი სირთულის, ინტელექტუალურ-მისტიკური სიღრმის გამო. ანტისაბჭოურად განწყობილ ინტელექტუალურ მკითხველს კი ამ ლექსში ნახსენები „რევოლუცია" ეჩხირება თვალში და ისე სულსწრაფად იბრუნებს პირს მისგან (ასე ჩანს), ეჭვადაც ვერ ხვდება კონიუნქტურულ-სნობისტურმა კუდაბზიკობამ ქართული და მსოფლიო პოეზიის ერთ-ერთ ჭეშმარიტ შედევრთან ზიარების შანსი რომ დააკარგვინა...

მრავალი სხვა ლექსიც გალაკტიონისა ნაკლებად შემჩნეული და შესწავლილია სადღეისოდ: მეტ ყურადღებას მოითხოვს კრიტიკოს-მკვლევართაგან არაერთი ისეთი ნაწარმოები, რომელთაც მკითხველი უბრალოდ ვერ აგნებს (და არც ეძებს) ლექსთა უსიერ ტევრში. ამბობენ, გალაკტიონის ლექსთა რიცხვი 8000-მდე აღწევსო. აქედან 200-ზე მეტი შეიძლება შედევრად იქნას მიჩნეული, მაგრამ პოეტის რჩეულებში, როგორც წესი, მრავალი ისეთი ნაწარმოებიც შეაქვთ, რომელთაც ჭეშმარიტ პოეზიასთან ცოტა რამ თუ აქვთ (ან სულაც არ აქვთ) საერთო. ზოგიერთი ბრწყინვალე ლექსი კი არცთუ იშვიათად რჩეულში არ ხვდება, ეს იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებული გალაკტიონის შემოქმედება, რომელიც ოკეანესავით ვრცელია და მის მთლიანობაში აღქმა ძალიან ჭირს. ხშირად ჩვენ ამ შემოქმედების სხვადასხვა ასპექტებს ისე ვუპირისპირებთ ერთმანეთს, თითქოს რამდენიმე სხვადასხვა პოეტზე გვქონდეს საუბარი. შეიძლება ერთმანეთს შეაჯიბრო რომანტიკოსი გალაკტიონი, კლასიცისტი გალაკტიონი, სიმბოლისტი გალაკტიონი, რეალისტი გალაკტიონი... ის კი არა, გენიალური გალაკტიონისა და „უნიჭო" გალაკტიონის ურთიერთდაპირისპირებაც კი შეიძლება...

ზედმეტად გაფუფუნებულ-განებივრებულნი ვართ ჩვენ გალაკტიონის პოეზიით. ზედმეტმა ფუფუნებამ კი ჟამიდან ჟამზე მოყირჭებაც იცის. და ამიტომ დიდად გასაკვირი არაა, თუ მისდამი კრიტიკული თუ სკეპტიკური დამოკიდებულება, დაპირისპირებისა და ერთგვარი უარყოფის ქვეცნობიერი მოთხოვნილებაც იჩენს თავს ცალკეულ შემთხვევაში: ზოგს არ მოსწონს მისი უკიდურესად რაფინირებული სალექსიკო ტექნიკა (შდრ.: პოლ ვალერის ლექსებს „აუტანელი" ელვარება ახლავსო, უთქვამთ), ზოგი კომუნისტებისადმი იძულებით გაღებულ ხარკს არ პატიობს პოეტს, ზოგი კიდევ სწორედ მის ფანტასტიურ ნაყოფიერებას უყურებს ეჭვის თვალით; ზოგს ისიც კი ეჩვენება, რომ გალაკტიონის პოეზია შინაარსით საინტერესო და ღრმა არ არის და მხოლოდ ფორმითაა დიდებული (არა „რა", არამედ „როგორ"), ზოგი „ცალმხრივად გენიოსად" თვლის მას (ალბათ იმიტომ, რომ მხოლოდ ლირიკის ჟანრში ისახელა თავი...).

ჩნდება აგრეთვე გაუცნობიერებელი მოთხოვნილება, გადაისინჯოს მისი „ერთადერთობის" საკითხი, რადგან „ერთადერთს" დამთრგუნველი მიუწვდომელობის იერი დაჰკრავს... და ირჩევენ მასთან დასაჭიდებელ „ყოჩებს", უფრო სწორად, „განტევების ვაცებს". ზოგი ცდილობს გიორგი ლეონიძე გაუტოლოს მას, ზოგი საამისოდ ტიციან ტაბიძეს ირჩევს, ზოგიც – ტერენტი გრანელს. ამ ბოლო ხანებში აღმოჩენილი ნიკო სამადაშვილის უჩვეულო ტალანტიც გახდა ღირსი ამ პატივისა; მართლაცდა, როცა ისეთ პოეტურ მარგალიტებს წააწყდები, როგორიცაა „ხატი იყავ, ვეფხვი დაქალებული" „ხარ დანგრეული შენ მოდი ნახე, „ფეხმოტეხილი შენ ხარ ღრუბელი", „გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი", „ძირს წმინდა ნინოს ნაფეხურები ჰგავდნენ სისხამზე დაკრეფილ იებს" – აღფრთოვანებული რჩები და წამოიძახებ: რა გენიალურია! მითუმეტეს, რომ ამგვარი ბრწყინვალე სტრიქონები იშვიათობა როდია ზემოჩამოთვლილ პოეტთა შემოქმედებაში, მათ არაერთი შედევრით გაამდიდრეს ქართული პოეზია. და როცა მკითხველი დროებით უკუქცეულია გალაკტიონის პოეზიის დამაბრმავებელი, შემაწუხებელი გამოსხივებისაგან და სურს გადაიჩრდილოს (მზისთვის ხანგრძლივად თვალის გასწორება ძნელია!), შესაძლოა სხვა მშვენიერმა პოეტურმა სამყარომ იმდენად მიიზიდოს მისი თვალი და გულისყური, იმდენად მოიხიბლოს, რომ სხვა პოეტიც მიიჩნიოს იმ „ერთადერთის" კვარცხლბეკზე შედგომის ღირსად...

იქნებ მეც მყავდეს ჩემი კანდიდატი, ჩემი ფალავანი, რომლისთვისაც მგონია სხვაზე უპრიანია ის უმაღლესი კვარცხლბეკი, მაგრამ თუ ოდესმე დავასახელებ მას, ვეცდები მაქსიმალურად მიუკერძოებელი ვიყო და ის ვთქვა, რასაც მომავალი იტყვის, ისტორია დაადასტურებს. ნათქვამს მაშინ ექნება ფასი, თუ მას საფუძვლიანი მსჯელობით გავამაგრებ და არა მხოლოდ შიშველი ემოციებით.

გალაკტიონი კი, ცოტა სხვაგვარი გაგებით, მუდამ ერთადერთი იქნება, გინდ რუსთაველსა და ვაჟას შევადაროთ, გინდ დანტესა და ელიოტს...

იკა ქადაგიძე

ნოდარ ჯალაღონიას ხსოვნას

დღეს მიწას მივაბარეთ უშიშარი ეროვნული პოეტი და მამულიშვილი, რომლის მსგავსი პატიოსნება საქართველოში სანთლითაა საძებარი. ახალმა თაობამ უნდა იცოდეს, რაოდენ ღირსეული ერისკაცი გაშორდა საწუთროს; ნოდარ ჯალაღონიამ პუტჩისტების თარეშის დროს საქართველო სხვა ინტელიგენტებივით პრივილეგიებზე კი არ გაცვალა, ან შეშინებული ბუჩქებში კი არ შეიყუჟა, არამედ მრავალჭირგამოვლილ სამშობლოს უერთგულა სიცოცხლის ბოლომდე, რისთვისაც მთავრობამ და ჭრელმა ინტელიგენციამ ცოცხლად დამარხა; 1992 წელს, ბატონმა ნოდარმა სახლი გაყიდა და ეროვნული მიმართულების გაზეთი“ სამრეკლო“ გამოსცა, რაც მწერლის მხრიდან სამაგალითო გმირობა და რისკი იყო, ურჩ „ზვიადისტებს“ ხომ სასტიკად სჯიდნენ; კანონიერი ხელისუფლების დასაცავად ვინც გაბედულად იბრძოდა, მას არსად ახარებდნენ. ცხადია, რეპრესიები ბატონმა ნოდარმაც იწვნია, ღალატი, განდგომა, შური, რამაც ეს უზომოდ შემართული და აქტიური პიროვნება სიცოცხლის უკანასკნელ წლებში საზოგადოებრივ საქმიანობას ჩამოაცილა. ბოლომდე მებრძოლი პოეტი დასაშინებლად ციხეშიც კი გამოამწყვიეს, ოჯახში ზონდერები შეუცვივდნენ, ამ დროს გულადი და შეუდრეკელი პოეტი საკანში “ვეფხისტყაოსანს“ ითხოვდა, რის გამოც პოლიციელების დაცინვა დაიმსახურა. ეს დეტალი მანკიერი სისტემის მიერ დაწინაურებული გადაგვარებული ადამიანების ბოროტებასა და ცინიზმს სახიერად გამოკვეთს, რამაც საქართველოს ჩარხი უკუღმა დაატრიალა. ზნეწამხდარი მედროვეების წახალისებისა და დაჯილდოვების ფონზე თვალშისაცემად პატიოსან პოეტს განგებ უკეტავდნენ გზას, “ზვიადისტობის“ ბრალდებითა და საბაბით ორგანიზებულ იგნორირებას უკეთებდნენ სწორედ ის კოლეგები, რომლებიც ორგემაგეობის გამო ბატონმა ნოდარმა თავის მებრძოლ, წრფელ ლექსებსა და ბრწყინვალე პუბლიცისტურ წიგნში“სინჯარის პოლიტიკოსები“ მიუკერძოებლად და გაბედულად ამხილა. მან მერაბ კოსტავას სიცოცხლეში გამოაქვეყნა ეროვნული გმირისადმი მიძღვნილი საოცარი ლექსი, და ამით უამრავი კონფორმისტი აიმხედრა. ნოდარ ჯალაღონიას სავიზიტო ბარათად იქცა ლექსი-გაფრთხილება- “ყვავილების მიწა“, სადაც ქართლის ჭირის გამოძახილი უკიდურეს ტკივილადაა დაწურული. ის მუდამ თავგადაკლულ ქართველად რჩებოდა წინაღობების მიუხედავად; მრავალმტრიანი პოეტი-ტრიბუნის ხვედრს ღირსეულად ზიდავდა და იშნოვებდა. თავისი შესანიშნავი წარსულით არასდროს დაუტრაბახია და არც სპეკულირება დაუწყია მავანთაგან განსხვავებით, სიოს დაბერვისთანავე ნიღბები რომ იცვალეს და მაოხრებლობის კვალდაკვალ წმინდანთა მანტიებით შეიმოსნენ. ნოდარ ჯალაღონიას ეს არ უკადრია და სწორედ ამიტომაც ჩრდილში მოექცა. 90-იანი წლების სისხლიან ქარტეხილს მხოლოდ ერთეულები შეხვდნენ პირნათლად; ავტომატიანი მაღალჩინოსანი მწერლებისგან განსხვავებით ნოდარ ჯალაღონიამ სისხლდაწრეტილი სამშობლო აირჩია, მას უანგაროდ და უყოყმანოდ გამოექომაგა, რაც არ აპატიეს...

ვამაყობ, რომ მასთან მეგობრობის ჟამს, ბოლო წლების განდგომის მიუხედავად ბატონი ნოდარი ჩემს შეხმიანებას სიხარულით ხვდებოდა; ორი წლის წინ, როდესაც მის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ვრცელი და მწვავე წერილი ჟურნალ“ამერიმერში“ გამოვაქვეყნე, ცრემლნარევი ხმით დამირეკა და ნუთუ გახსოვარო, გულაჩუყებულმა მითხრა და შინ მიმიწვია. მისი არაჩვეულებრივი მეუღლე და ერთგული მეგობარი, ქალბატონი მანანა ხშირად მირეკავდა; მალე ამ იშვიათად შეხმატკბილებულ და დარბაისელ ოჯახს კრიტიკოს ლევან ბებურიშვილთან

ერთად ვეწვიე. მინდოდა ახალგაზრდა კრიტიკოსს მხცოვანი და უშიშარი პოეტი და მამულიშვილი პირადად გაეცნო, რათა ნამდვილ საქართველოზე მხოლოდ უარყოფითი წარმოდგენა არ შექმნოდა და როდესაც ბასრ კალამს შემართავდა, სამაგალითო მწერალთა შორის ნოდარ ჯალაღონია პირველ რიგში გახსენებოდა. ადამიანი სანამ ცოცხალია, მანამ სჭირდება დაფასება და ჩემს წერილში სწორედ ამიტომ ავირჩიე მკვახე ტონი და ათას საზრუნავში ჩაფლულ საზოგადოებას შევახსენე, რომ კრისტალურად პატიოსანი შემოქმედისა და მამულიშვილის იგნორირება სამარცხვინო საქციელია, რომ მთავრობას არ უნდა ელოდო საიმისოდ, ღირსეულ მწერალს სათანადო პატივი თუნდაც ყურადღების გამოჩენით მაინც უნდა მიაგო. მქუხარე ტაშით მხოლოდ ტიტულოვანი და გავლენიანი მედროვეები არ დაასაჩუქრო. დაუვიწყარი შეხვედრის გაუხუნარი ხიბლი ფოტოსურათებს შემორჩათ, რათა გაცოცხლდეს განუმეორებელი წამი ისტორიისა, რომელიც აღარ მობრუნდება...

ჟურნალ „ისინდის“ დაარსებისთანავე, პირველივე ნომერში ბატონი ნოდარ ჯალაღონია გამოჩნდა, შემდგომში მისი მეუღლის მიერ ნაამბობი ისტორიული მოგონება გამოვაქვეყნე 8 და 9 აპრილთან დაკავშირებით, როდესაც ბატონი ნოდარი რუსის ტანკს გადაეღობა და სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, პოპულარულმა მწერალმა კი ეს ფაქტი გროტესკულად დაამახინჯა და სიყალბის გამოვლენით ნოდარ ჯალაღონიას- ამ მართალ პოეტსა და მამულიშვილს გული ატკინა. დიახ, “ისინდი“ პირნათელია ნოდარ ჯალაღონიას წინაშე, ვინაიდან მან უსამართლოდ ათვალწუნებულ და მივიწყებულ პოეტს ამაგი არ დაუკარგა. ახალ ნომერში, რომელიც შემოდგომაზე გამოვა, ბატონი ნოდარის ხსოვნის საპატივცემულოდ მის ნააზრევს აუცილებლად გამოვაქვეყნებ. არდავიწყება მოყვრისა ჩვენი ვალია!

და ბოლოს: არჩევანი რამდენჯერ უნდა შეგეშალოს ჩემო თვისტომო: მთაწმინდაზე პუტჩისტების მხურვალე მხარდამჭერი ჩარკვიანი ააბრძანო, საქართველოსთვის თავდადებული ნოდარ ჯალაღონისთვის კი ვაშლიჯვრის სასაფლაო ძლივს გაიმეტო. ასეთი უპატიებელი შეცდომების გამოისობითაა, რომ ეროვნულ სახელმწიფოდ ვერ ჩამოვყალიბდით, რადგან მართალ, სამშობლოსმოყვარულ კაცს დღენიადაგ ვჩაგრავთ და პირად პრივილეგიებზე გადაგებულ გავლენიან მტყუანს მუდამ იმას მივაგებთ, რაც არ დაუმსახურებია!



ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

დროს და წლების ქარიშხლებს სულ ფეხდაფეხ
მოვყვებით,
აღარ გვაკლდა არასდროს არც მტრები, არც მოყვრები.
ისტორიის გზებზე და ბეწვის ხიდზეც ვაირეთ,
ანალებში ვტოვებდით ჩვენს სახელს და იარებს.

რადგან ჩვენს გაჩენაში უფლის ხელი ერია,
ვერც წლები და ვერც მტრები ვერა, ვერ მოგვერია.
ისტორიას აღვიძებს ჩვენი სისხლის წვეთები,
შემერები, მოსხები, ხალიბები, ხეთები,

კოლხები და ლაზები, იბერები, ქართები,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით.
ევროპას და აზიას ისევ მოველანდებით
ჩვენი სიგელ-გუჯრებით, ძველი ფოლიანტებით.

ჩვენი ოქროს საწმისით, ლეგენდებით, მითებით,
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არ მოაკლებს უფალი მამულს შვილებს ერთგულებს,
შვილებს აღმაშენებლებს, შვილებს თავდადებულებს.

ჩვენი ჯიშით, ჯილაგით, რწმენითა და ფიქრებით
ქართველები ვიყავით, ქართველები ვიქნებით.
არც არასდროს გავქრებით, არც არასდროს დავშრებით,
ქართველებად გავჩნდით და ქართველებად დავრჩებით!

დალი კახიანი

Григорий Мегрелишвили (Горный ветерок)
Сонет перед отбытием

Когда отправлюсь в бой, во мне, забёться ключ,
Курок стремительный, винтовки ласкающий луч,
Меня подчинит сталь алмазная, рта-рубиновой сабли,
Озаряться горящим камнем угля мавры глаз,
Кто любит меня, кто ненавидит, мне безразличен сказ,
Радости задор, под тенью смерти глаз увидит,
Венец не разукрасит, блистательного завтрашнего дня,
Главари сражении со скорбью вынесут меня,
Хвала и честь, кто в вражеской груди кинжалом песнь заводит,
Пули заворожки, как возлюбленную пленяют страстно,
Кровь рубиновая в лазурных жилах бьётся _ не напрасно...
Так... конь мой удалой! гордой прихотью хочу воспламениться,
С боевым окриком напасть готов в строю,
рукав десницы засучив,
Чтоб никто не смел дерзнуть...» любимую отчизну мне твою вручи...»

Мато

Словно сапфир, я бросил глаз,
Рок божий вижу наперёд,
Я стер на лбу убор перловый миро.
Позабыл мать родину, как ирод,
Боги умерли, Иштар, Танит... на дне,
Да пусть разрушат идолы богов, одни,
Меня с ножом в руке лишь годы ждут они,
Как Карфаген, и я, как ты, Мато.
Все боги для меня уж тщетны,
Злого молоха очаг я матом осудил.
Я не желаю быть червьём иль личинкой,
Во мне несметных звуков песнопении чинных,
Таков удел, былые времена, война и мир,
Жигалом рабства заклеймены.
Как раненный и разярённый лев Судана,
Позади века всё воют, рьяно,
Сгубившее моё лобзанье на виду,
Сжигает, не стынет, как солнце пустыньи.
Соблазна ради нет геройства,
И вылечить никто не сможет.
Девица Гамилькара, на тебе, Саламбо, мщу,
Последний слабый вздох у ног твоих я варвар испущу.

Галактион Табидзе (1891 _ 1959)
Снег

Люблю снега, как стеляться
с девичьей негою с моста
фиолетово пушные пряди,
Болезненное чувство холодной мокряди,
и так терпеть любовь.
Дорогая! душа обьята снегом,
Старею, дни по пятам бегут как бесы,
Я обошёл пустыню бархатов небесных,
О, жизнь моя велит: быть январю в собраты,
Но буду помнить всегда эти муки,
как снег, бледно-нежные руки,
беспомощный их спуск в лаврах снегов.
Мелькнёт, потухнет, вновь и вновь,
твоя мантилья в сей пустыне...
и лицезреть, как фиолетовая пушнина стелиться, стынет,
как ложиться целый ряд ирисов,
Щемящее чувство веяния, брожения,
Снег обволакивает, белой ризой!
Благовест такого дня,
голубым и томным сном запорошить заставит.
Уж коли мглу перезимую,
бурливый ветер если где-то не оставит!
Есть дорога, есть медленная игра...
и ты идёшь один, совсем один!
Люблю снега, как обожал когда-то,
я в голосе твоём таинственную грусть!
Любил тот день, пьянел тогда, и пусть,

От дней ушедших, белоснежных,
в твоих распущенных власах листочков нежных,
и дуновение волос ветрами.
Жажду тебя и внемлю с истомой,
как в дому желает быть бездомный...
Белых лесов вереница
и один я пред собою снова.
Снежит,
Благовест такого дня, голубым и томным сном
запорошить заставит.
Уж коли мглу перезимую,
Если ветер где-то не оставит.

Георгий Дзигвашвили (1917-1942)
Весна на Марабдинском кладбище

И здесь баловствует весна,
Отблесками зари застланы ею горы.
Очнувшись ото сна дотоле не испытанное, пока
невиданное
тепло и счастье привносит весна,
Глыбы камней, улыбкою встречают солнце,
И ветерок не будоражит, дубрава не приходит в раж –
Осторожно!..
Девять братьев, девять молодцев Херхеулидзе!...
в изнеможденіи заснули здесь, нет мочи,
Вот видишь камни, пословицы да каламбуры,
Слёз ждут, участия, а многие, благословений отчих.
Здесь почивает Грузия былых времён, в сумбуре
больших невзгод её, несчастии.
Здесь страждущих витязей Одзелашвили
коих злоба да мятеж... пристанище нашли,
И если вычертил мужик на камне
мудрость Шота и плуг крестьянский,
и вы нашли в Марабде упокой, молва не канет,
Лишь только камни обомшелые...
Один был юноша у вас, Бараташвили,
Хромой, бледнолицый, гений.
Проклинал... отошёл душою, сердобольный,
А вам неведомо и то _ был ли у вас, иль не был...
А что после вас!... ему не сгинуть, он век перешагнул
с больной ногою вольно!
Ну а сегодня, солнце греет его могильный склеп опять,
Наставником он нам, чтоб смерть мы приняли в обьятия –
С врагами он войну затеет, любим чтоб стал нам ратный бой,
Осушить и восхвалять в заздравий свет нам свой,
Не продержаться горы мне без вас,
Солнце обжигает охмелённое, устой ваш,
Лет тысячу пройду без перебоев,
если могилою под вами удостоюсь.
Герои восхвалённые, дадут спеть если,
говеющие в могиле тёмной,
самоотверженные для этих гор
и тут-же погребённые в горах.
Пока живы, мы рядом с вами,
а коли помрём, примите в постояльцы...
Смолкнув, чёрною накидкой не скорбите братцы -
ведь апрель кокетка,
С белою апрелью будет вам размолвка,
Недруга встречайте с бряцаньем, с отрадой,
сражении ражю одержимых,
И не помеха девять, десять, знать им,
уж миллион Херхеулидзе, братьев созовите!..
Добрых молодцев таких наити не просто,
Богаты мы такою знатью,
знамёна отчие не спустят вниз,
да и в могилу снизойдут ведь
с доблестною ратью,
Такую тяжбу зададут врагам,
в утеху да в забаву мертвецам,
... Ну а сегодня день удался в славу, блещет солнце,
Окинет взглядом пословицы слова,
Продолжит путь-дорогу горною тропои ...
Здесь Грузия почиет гордо былой исполинской стопой,
Её, несчастии, ненастных невзгод,
Здесь каменная летопись, и то подвластно солнцу,
Шуршанье ветерка дубраву не тревожит...
Здесь девять братьев, утомлены,
в забытьи, девятеро Херхеулидзе!
Будь осторожен!..

Терентии Гранели (1897-1934)
Сонет

Имя моё окаянное злые призраки проклянут,
В златых розах на сердце наляжет амарт,
Смрад туманов окутал железный скат во тьме,
Увёртками губили меня ведьмы.

Багрово изломались стеклянные галлереи
А я на улицах закатил кутёжный стол с азартом,
Помешанными цветами пройдёт сегодня утомлённый март,
и в жёлтом море появяться огненные банды заката.

Книга бытия побледневшим лебедьям вручена будет.
Пурпурные одеяла гневная геена освечивает
и мигом тайным спешный канделябр испепеляеться
ручеем.

Утренним ликом за яркими звёздами следую
и угрожаю с гневом локтьям стальным,
Но увы, сон усталый, прошлогодний, меня не оставляет.

Медея Кахидзе (1933-2015)
Что _ ж поделать

В степных просторах туманы застилает ветер,
И тебя тоже запропастили ветры спятив,
А я весну примериваю к телу,
как только-что выкроенное ситцевое платье.
Ну что-ж, коли другой отдал ты предпочтение,
без меня не чувствуешь себя нечётным,
Вместо меня с другою ты беседуешь.
Что-ж поделаешь, не сетую, если не стала
дома твоего желанного владыкой,
Если иссохшая лоза под стать,
Мне не под силу завладеть сокровищем,
Если всё так, сказать то что-же,
Коли другую ищешь
И делишь с нею супружеское ложе,
Если чутьё ей не подскажет,
что в дому твоём она лишь гость, не более,
Хоть сердце испещрено холмами боли
Не догадаеться без слов, что легла на душу горестная
горсть,
и женщине, не верующей в молитвы,
будет право, за тебя молиться.
В степных просторах туманы застилает ветер,
И тебя тоже, запропастили ветры спятив,
А я весну примериваю к телу,
Как только-что выкроенное ситцевое платье.

Мурман Лебанидзе (1922-2002)

***

Весна пожаловала, Лен.
Гнёзда уплотнённо свили птицы,
Куплю тебе я жёлто-красный ситец,
Укрась мне вышивкой льняное полотно!
Весна пожаловала, Лен!
Скучать тебя заставил, по сенокосу, лесу,
Запах пяткой раздавленной бузины,
Вдали купол и Бетании стены,
Раскрепощённый день лазурный сниться,
Заставил я тебя скучать, по сенокосу, лесу,
Не принуждаю быть отныне дома,
Семью не назовёшь „темницей“.
Как борзая проторит тропу
парень шибкою, босой стопой!
Не принуждаю быть отныне дома!
с истомой ленной
весна пожаловала, Лен.
Во всю щебечут неугомонно птицы...
Куплю тебе цветистый ситец,
Укрась мне вышивкой льняное полотно!
Весна пожаловала, Лен!

1957 г.

Мирза Геловани
Экспромт

Шаг люблю: расшатанный да поминутный.
Розы люблю: лишь белые, безукаризненно чистые.
И когда наполниться вином кубок мой, выстоит,
Твоё заздравие повторяю всегда и постоянно.

Тень следует за мною, хожу косо,
Небо озарилось, от искуса не уити,
О, хоть когда-то выкраду белоснежные розы
И покончу с собою, иного нет пути.

1938 г.
Тбилиси.

ვახტანგ ჯავახაძე

„მწუხარებაᲐ სხვისა კეთილსა ზედა”



რამდენიმე საათის შემდეგ თბილისს ელვასავით მოედო გალაკტიონ ტაბიძის თვითმკვლელობის ამბავი. ტრაგედიამ ერთბაშად დააჩქარა პოეტის საყოველთაო აღიარება, რამაც უაღრესად გააღიზიანა ზოგიერთი ძველი ოპონენტი. განსაკუთრებით ისახელა თავი ერთმა ყოფილმა ცისფერყანწელმა, რომელმაც ოცდათერთმეტი წლით გადააჭარბა გალაკტიონს და გალაკტიონის „ასი ლექსის” საგანგებო კომენტარები გაამზადა და შემოგვთავაზა შთამომავლებს, რითაც საშუალება მოგვცა – ქრონოლოგიურად შევავსოთ და დავასრულოთ ჩვენი რჩეულის წინააღმდეგ ბრძოლების მატიანე.

„ასი ლექსი” ორი წლის შემდეგ – 1961 წელს გამოსცა „ნაკადულმა”. გამომცემლობამ ავტორის დიდი ხნის ოცნება გაითვალისწინა და იგი მხოლოდ სახელით წარმოგვიდგინა. კომენტატორიც აქედან იწყებს: გადაუშლია სრულყოფილი სახელის ბოლო ასონიშანი და გვერდით გვარი მიუწერია.

მთელი წიგნი გადაწითლებულ-გადალურჯებულია ქართულ-რუსული მინაწერებით. ხაზგასმებისა და შენიშვნებისათვის თავდაპირველად წითელი ფანქარი გამოუყენებია, მაგრამ მერე საფუძვლიანი სიფრთხილე გამოუჩენია, ვაითუ ფერადი ფანქარი წაიშალოსო და, ფანქრით ნაწერზე ლურჯი პასტით გადაუვლია. ახლებიც მიუმატებია. ამავე დროს კომენტარების უმრავლესობას ხელს აწერს ქართულ-რუსულად, რათა საავტორო უფლება არავინ წარსტაცოს. ამდენად და ამჯერად ჩვენ რეცენზენტის განზრახვას ვასრულებთ და ვალდებულიც კი ვართ ასე მოვიქცეთ.

წიგნში დაბეჭდილია გალაკტიონის ცნობილი პორტრეტი – ნახატი უჩა ჯაფარიძისა, რომელიც ნატურიდანაა დახატული და ძალიან ჰგავს ნატურას. ოპონენტს მოუპოვებია მშვენიერი პატარა ფოტო (არამშვენიერი არც არსებობს!), დაბეჭდილ ნახატზე მიუკრავს და მეორე მხარეზე მიუწერია:

– ეს არის გ. ტაბიძის ნამდვილი პორტრეტი და არა უჩა ჯაფარიძის ფანტაზიით წიგნში წარმოდგენილი არარსებული კაცი.

სხვათაშორის, სახელის ავტორისეული მართლწერაც კარგად მოეხსნება, მაგრამ ყოველთვის განზრახ იმეორებს: „გალაქტიონი”?

1961 წელს ქუთაისში დიდი სტამბის მშენებლობა დასრულდა და მას გალაკტიონ ტაბიძის სახელი ეწოდა. პირველი წიგნი, რომელიც სტამბამ დაბეჭდა, სარეცენზიო „ასი ლექსი” გახლდათ.

გაგულისებული რეცენზენტი ხანს უსვამს სინტაგმას „დიდი პოეტი”:

– სად არის „დიდი” პოეტი, შენ, ბრძენთა-ბრძენო, მაგრამ გემოვნებით და ნამდვილი პოეზიის აღქმით დასაჭურისებულო დეგენერატო???

ამ რეპლიკა-შეკითხვას ზოგადი განმარტება მოსდევს:

„– შაირობა სიბრძნით არის ერთი დარგი” (რუსთაველი). ამ წიგნში ეს ყოველ შემთხვევაში არსად მოინიშნება. საიდან შეიქმნა მისი „დიდი” პოეტის ლეგენდა? ნუ თუ ეს შედეგია ჩვენი საზოგადოების უგემოვნობისა და უვიცობისა? უვიცობის გამო ვერ ხედავენ პლაგიატებსაც კი.

არცერთ ლექსს უყურადღებოდ არ ტოვებს. ეს დასკვნები ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. დაკვირვებისა და დაფიქრებისათვის კი ზედმეტად ბევრი დრო მიეცა: შვიდჯერ ათი წელიწადი.

როგორც შეამჩნიეთ, ედავება არა მარტო ავტორს, არამედ – ავტორის პატრიოტებსაც, მაშასადამე, ჩვენც გვედავება.

სამართლიანობა მოითხოვს, პოზიტიურით დავიწყოთ: ასიდან შვიდი ლექსი უპირობოდ მოსწონს. ორ შემთხვევაში მოწაფესავით ამხნევებს და ნიშანსაც უწერს:

– გალაქტიონ, ძლიერ კარგია! 5. – კარგია. 5.

კარგოსან-ხუცთოსანია: „ორი ზარი” და „რაც უფრო შორს ხარ”, კარგოსნები: „სადღეგრძელო იყოს მისი”, „გაგონდება თუ არა”, „განახლდა გული” და „ჩემი ქუთაისი”.

ექვსი ხაზგასმისა და ოთხი კითხვისნიშნის მიუხედავად კონკურსში გავიდა „ქებათა-ქება ნიკორწმინდას".

– გ. ტაბიძის საუკეთესო ლექსი.

გვხვდება გარდამავალი ხასიათის შეფასებანიც:

– კარგი ლექსია გაფუჭებული ცუდი დაბოლოებით („შემოდგომის ფრაგმენტი").

– განა ეს კარგი ლექსი უკეთ არ დაიწერებოდა უშეცდომოთ? („უდაბნო").

– უთუოდ კარგი ლექსია, მაგრამ დეფექტებით. მრავალი უხეში შეცდომით და ცოტა პროვინციალური სტილით დაწერილი ლექსი, ბრწყინვალე დაბოლოებით!!! („მე და ღამე").

– საერთოდ ერთობ გაზვიადებული ლექსი – საშუალო ხარისხისა! ძლიერ ყალბი და შეუფერებელი დაბოლოებით! („მერი").

ზოგჯერ დაეჭვებულია:

– რა არის ეს? ნუ თუ პოეზია? („პროლოგი ასი ლექსის").

– ნუ თუ ეს კარგია? („დღეს მაისი ფერში ნაირ-ნაირშია").

– ნუ თუ ეს მოგწონთ? („ჩვენ, პოეტები საქართველოსი").

– არ ვიცი, რატომ მოსწონთ? („შემოდგომა „უმანკო ჩასახების! მამათა სავანეთში").

ზოგან ცალკეულ სტროფებს იწონებს, ალაგ – ცალკეულ სტრიქონებს, იშვიათად – რითმას საერთოდ დაწუნებულებში. ყოველივე ეს ზღვაში წვეთია იმ ნეგატიურთან შედარებით, რომელიც ძალიან ხშირად გინებაში გადადის და ბრალდებით მთავრდება.

ავიღოთ „მთაწმინდის მთვარე":

– შესანიშნავია, ამ უხეში შეცდომის გარდა! მაგრამ შინაგანად ძალიან მსუბუქი, მჩატე ლექსია – აღწერითი, დიდი არაფრით მთქმელი, თავის განდიდების გარდა! ეგოცენტრიზმის პირველი საფეხური – მერე ეს გრანდიოზულ ეგოცენტრიზმად მოგვევლინება – „როგორ ერთია კავკასიონი, ისე ერთია გალაკტიონი!" და დაიწყება მასიური ფსიქოზი – ტაბიძის მსოფლიო პოეზიის მწვერვალად გამოცხადებისა!!! საუბედუროდ, ეს, რასაკვირველია, საქართველოში პროვინციალიზმის მწვერვალიც იქნება! მაგრამ იქ, სადაც ილია ჭავჭავაძის მკვლელის სახელი გურიის მთავარ ქალაქს დაერქვა, და ორჯონიკიძეს (აგრეთვე მის მკვლელს) ძეგლი დაუდგეს – ნურაფერი გაგიკვირდებათ!!

„ლურჯა ცხენებიც" „მთაწმინდის მთვარესთან" ერთად დაიბეჭდა „ცისფერი ყანწების" პირველსავე ნომერში:

– გასაოცარია! გრ. რობაქიძე და მეც ამ ლექსით ვიყავით გატაცებულნი, წერილები ვუძღვენით მას. ეხლა ამ ბოდვას პოეზიის მწვერვალად აცხადებენ უვიცები და უწიგნურები, თანაც სრულებით გემოვნებას მოკლებული ადამიანები. გ. ტაბიძეს, როგორც ჩანს, სურდა „მერანზე" ძლიერი რამ დაეწერა. მაგრამ „მერანის" ნათელ, გენიალურ აღმაფრენას, სადაც ყველაფერი, ყოველი სიტყვაც ნათელია და გასაგები, ეს უაზრო ბოდვა სად მიუახლოვდება. ეს ლექსი უაზროა, ბოდვაა – მეტი არაფერი! ვიმეორებ: გ. ტაბიძეს უსათუოდ სურდა ბარათაშვილის „მერანის" დაჩრდილვა... მაგრამ გარითმული აბდაუბდა პოეზიად არასოდეს გასაღდება.

ერთი რუსულ-ქართულიც ამოვიწეროთ („წელიწადები წავლიან ძველი"):

– Мания грандиоза! ეგოცენტრიზმის ნიმუში – ფსიქოზის მონათესავე!!! ყველა ადამიანი, როგორც პიროვნება, ერთია და არა ორი! ორი მონათესავე გალაქტიონი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ საჭირო კი არის? არ აჯობებდა, მეორე რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი, ილია, აკაკი ან ვაჟა და გურამიშვილი მოგვევლინებოდა?!

წმინდა რუსულები თითქმის ნათარგმნებია:

– Вирши неинтеллектуального, слаборазвитого провинциала, именуемого "великим поэтом" – к нашему стыду! И все это в стране – Руставели да Бараташвили – ეს მესაფლავის განაჩენია, რომელსაც ქართულიც ერთვის:

– მოსაწყენი პროვინციალიზმი! ყველაფერი, პოეზიის გარდა!

„მშობლიური ეფემერას" შვიდი სტროფიდან სამი გადაუხაზავს, ოთხი ძალიან მოსწონებია („უბრწყინვალესია! Бесподобно!"), სათაური დაუწუნებია და ბოლოს მაინც მკაცრი განაჩენი გამოუტანია:

– Полное отсуствие композиции, столь характерная черта поэзии Г. Табидзе, за исключением нескольких стихов весьма ограниченного числа (2-3).

„მთაწმინდის მთვარის" გამოწვევას აგრძელებს („დროშები ჩქარა!"):

– იცეკვეთ, იზეიმეთ და დროშები აფრიალეთ, თქვენ, ვინც დაამხვეთ თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო და იგი ისევ რუსების კოლონიად და მონებად გადააქციეთ!! ეგ სისულელე როდია – ეს დამოუკიდებელი საქართველოს მესაფლავეთა, ნაძირალებისა და გარეწრების ზეიმია. თუმცა ლექსი დაწერილია არა კომუნისტების გაბატონების დროს, არამედ თებერვლის რევოლუციის დროს!!

და ასრულებს მესამე ლექსის არეზე („ჩვენ, პოეტები საქართველოსი"):

– სისხლიანი ანგელოზები ეყოფა საქართველოს! სისხლიანი ანგელოზი თქვენი სათაყვანებე-

ლი იყო და არის, თქვენ, ვინც მოჰკალით ილია!

მაგრამ რა შუაშია აქ გალაქტიონი? – ვკითხულობთ ჩვენ და თავისთავად უფრო დაუნდობელი შეკითხვა გვებადება: ბოლოს და ბოლოს ვინ მოჰკლა ანუ ვინ მიიყვანა თვითმკვლელობამდე თვითონ გალაკტიონ ტაბიძე? მაგრამ „მწუხარებაᲐ სხვისა კეთილსა ზედა” – რას არ დააწერინებს ადამის ცოდვილ შვილს?!

არადა, ერთ-ერთი გასაუბრებისას, ქართული ხასიათის ნაკლი რომ ჩამოუგდეს სიტყვა, პირდაპირ უპასუხა:

– რა არ მომწონს ქართულ ხასიათში? კაცი რომ გჯობნის, აღიარე, ბატონო, ეს. რა არის ამაში სამარცხვინო? არ ვიცით ერთმანეთის დანდობა.

გავაგრძელოთ და გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ბილინგვას:

– არ ვარგა სრულებით. ბოდვაა. Ахинея? Тарабарщина... ყოველივე ამას ლექსი ან პოეზია ჰქვია, ჰეი, ბრძენო, უვიცო და უნიჭო კრიტიკოსებო?? Бред сумасшедшого, или сламоумного графомана („ეფემერა”).

– შედევრია, როგორც აბდაუბდისა და ბოდვის სრული გამოვლენისა. აბდაუბდა გალაქტიონ ტაბიძისეული, რაც ასე მოსწონთ უვიც დეგენერატებს. Чушь и бред сумасшедшего графомана! როგორი უგემოვნობაა. ღმერთო, რა აბდაუბდაა!! ყოჩაღ „დიდო” პოეტო! თქვენც ვაშა, „დიდო” კრიტიკოსებო! („ისევ ეფემერა”).

– ვინც კვდება, ყველას გახელილი რჩება თვალები, თუ არ დაუხუჭეს. მერე რა მოხდა, კრეტინო? რა არის ეს? რა ჰქვია ამას? იდიოტებო, ვისაც ეს მოგწონთ?! Абсолютный вздор! Бред графомана! ქართულად ამას ბოდვა და უაზრობა ჰქვია („მას გახელილი დარჩა თვალები”).

– სისულელეა. რა ბრძანეთ „დიდო” პოეტო, უკაცრავად პასუხია იდიოტო!! Идиотизм? Да, идиотизм!!! ნიავის ბინდიც ქლიავის ფერია? კი, გვინახავს, გვიჭამია! არარსებული გემი! Ерунда на постном масле („დაბრუნება”).

ამგვარ კომენტარებს კომენტარები აღარ სჭირდება, იმდენად უხეშად და დაუსაბუთებლად წარმოგვიდგენს ბრალდებებს.

ორი ირონიულიც მოვისმინოთ:

– მართლაც, ასეთი მიღწევა, სიბრძნე და მუსიკა არც ვერლენს, არც შელის, არც გოეთეს, არც ბეთხოვენს, არც ბაირონს და, ვგონებ, არც რუსთაველს და არც გომეროსს გააჩნიათ! უდავოდ მართალია ყველა ისინი, ვინც გ. ტაბიძეს უდიდეს პოეტად აცხადებენ მთელს მსოფლიოში!! (იხილეთ გ. ტაბიძის 90 წლის საზეიმო პრესა თბილისში, გაზ. „თბილისი” და „კომუნისტი”).

– ეს უკვე ბეთხოვენის, მოცარტის და ბახის მუსიკალობით დაწერილი ლექსი, რის მსგავსი რამ მსოფლიოს არ მოეპოვება, – ასე არ არის, ქართველო ბელინსკეტო, ტე-ნებო?

პლაგიატის მაგალითებიც ბლომად მოუპოვებია, პლაგიატისა, რომელსაც ჩვენ თურმე „უვიცობის გამო” ვერ ვამჩნევსთ:

– აკაკი! – გრიშაშვილის გავლენა. – მოპარულია, ლერმონტოვის თარგმანი! – მოპარულია, И. Анненский. – მოპარულია (რილკე) – ვერლენის გადამღერებაა! – ტეოფილ გოტიეს ლექსია გაფუჭებული. – სხვისი ლექსის უცხო თარგმანი.

აქეთ მკითხველებს უტევს, იქით – ფილოლოგებს:

– კრიტიკოსებო! ამას საერთოდ ლექსი ჰქვია? არ არის ჩმახვა? მოგწონთ, დეგენერატებო?

– უაზრობასაც ვერ ამჩნევთ და ამას ლექსი ჰქვია? ვინ ბეჭდავდა ამ სისულელეებს?

– რა არის „გახსენების მომძახოდა მტანჯველი ლანდი?” ეს არ არის აბდაუბდა, ფილოლოგიის გამოთაყვანებულო „დოქტორებო”?

თავს ველარ იკავებს:

– „მას გახელილი დარჩა თვალები”.

– მერე რა მოხდა, კრეტინო?

– „მე კი არ მენანება”.

– რა არ გენანება, გრაფომანო?

– „ვით ლოენგრინეს სიზმარი”.

– რა სიზმარი, პროვინციალო?

– „იქნება, ბევრი რამე იქნება”.

– რა იქნება, დეგენერატო?

– „შენ უკვდავების ხარ ბინადარი”.

– თავის თავზე ხომ არ ლაპარაკობ, ეგოცენტრიკო?

– „რომელი საათია”?

– სიბითურის საათია! ბოდვის და ონანიზმის საათია, გალაქტიონ.

– „წინაპართა ძვლებს დავიცავ”.

– ვერავის და ვერაფერს ვერ დაიცავ, შე სირისტიანო! მაგის ყვერები ღმერთს შენთვის არ მოუცია.

სამწუხაროდ, წიგნის არშიებზე გაფანტული ამ უცნაური რეცენზიის ვიზუალური წარმოჩენა შეუძლებელია. ამიტომ, სრულყოფილად წარმოდგენის მიზნით, ლანძღვა-გინება-ძაგებათა სიხშირის მინი-ლექსიკონი შევადგინე (რაღა თქმა უნდა, ორენოვანი):

– აბდაუბდა – 16. აბსურდი – 3. ბოდვა – 12. გარეწარი – 1. გიჟური – 1. გრაფომანი – 4. დასაჭურისებული – 1. დეგენერატი – 4. დეფექტი – 1. ეგოცენტრიკი, ეგოცენტრიზმი – 4. ვიგინდარა – 1. იდიოტი, იდიოტობა – 3. კრეტინი – 3. ნაძირალა – 2. ონანიზმი – 1. პროვინციალი, პროვინციალიზმი, პროვინციალური – 4. სიბითურე –

1. სირისტიანი – 1. სისულელე – 24. სიყალბე – 2. უაზრო, უაზრობა – 12. უვიცი, უვიცობა – 3. უნიჭო – 1. უწიგნური – 1. ჩმახვა – 4.

Ахинея – 2. Балтология – 1. Бред – 11. Вздор – 3. Галиматья – 1. Глупость – 8. Графоман, графомания – 4. Ерунда – 2. Идиотизм – 2. Мания величия, мания грандиоза – 2. Онанирующий – 1. Полоумный – 1. Пошлость – 4. Провинциал – 1. Пьяница – 1. Слаборазвитый – 1. Слабоумный – 2. Стихоплетство – 1. Сумасшедший – 2. Тарабарщина – 2. Чушь – 3.

საბოლოო შედეგებიც შევაჯამეთ და სამი პირველი ადგილი მშობლიურ ქართულზე ასე განაწილდა: სისულელე – 24, აბდაუბდა – 16, ბოდვა – 12. რუსულად, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლები მივიღეთ – Бред – 11, Глупость – 8, Пошлость – 4.

გაგვიგრძელდა ორიგინალური რეცენზიის რეცენზირება, მაგრამ რამდენიმე მომენტი კიდევ უნდა აღინიშნოს.

ცისფერყანწელთა ორდენის ეს უკანასკნელი მოჰიკანი სამი ათეული წლის მანძილზე გაოცებული და გაოგნებული შეჰყურებდა გალაკტიონ ტაბიძის საყოველთაო აღიარებას. კუბოსთან კი თავი ვერ შეიკავა, აქვითინებული დაემხო ცხედარს და ძლივს გავიტანეთ დარბაზიდან. იგი ახალგაზრდობიდანვე დაავადდა ქრონიკული ალერგიით, რომელსაც ანტიგალაკტიონიზმი ჰქვია. შემდეგ და შემდეგ დაავადება ისე გაურთულდა და ისე მძიმე ხასიათი მიიღო, რომ გამომცემლობის ბუღალტერიაში ჰონორარის გამოწერისას, მიუხედავად მრავალგზისი შეკითხვისა, მამის სახელი ვერ ათქმევინეს და ვერ ათქმევინეს იმის გამო, რომ მამამისსაც გალაკტიონი ერქვა. ერთხელაც, სუფრაზე გალაკტიონის სადღეგრძელო შესთავაზეს განზრახ და, სუფრიდან გაქცევა რომ დააპირა, დაამშვიდეს: მამათქვენის სადღეგრძელოს გთავაზობთო.

ისე, ამოცნობილი კი ჰყავდა მოცარტს სალიერი, კარიკატურა დაუხატა და ზუსტად დაახასიათა – „დაუძინებელი მტერი". 1922 წლის ბლოკნოტშიც ირონიულად გამოიწვია:

– თქვენ ტფილისში ხარ! მიიღეთ ყველასგან განდევნილი პოეტის სალამი! გალაკტიონ ტაბიძე მოგესალმებათ თქვენ, უდიდეს პოეტს საქართველოჲსას!

ხოლო 1940 წელს 12 ცისფერყანწელის გვარი ჯერ თანმიმდევრობით გაამწკრივა, მერე ექვსი გარდაცვლილი გადაშალა, შემდეგ მეშვიდე „დაუძინებელიც" მიაყოლა (ორმოცდაათი წლით

ადრე!) და მიაწერა:

– День кончины одного из голуборожцев.

დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა მაპატიოს: შეგნებულად არ ვასახელებ ჩვენს რეცენზენტ-ოპონენტს, მით უფრო, ლიტერატურული საზოგადოების დიდი უმრავლესობისათვის ცნობილია ოპონენტ-რეცენზენტის ვინაობა. ვერც მოხალისე კომენტატორის ოცდათექვსმეტ ხელმოწერა-ფაქსიმილეს გავუწევ ანგარიშს და ვერც უაღრესად გამომწვევ ტონს. ჩვენს არცთუ ისე სასიამოვნო ინტერმედიას კი მისივე სიტყვებით დავამთავრებ:

– კაცი რომ გჯობნის, აღიარე, ბატონო!

სატელევიზიო გადაცემიდან – „ჩვენი ენა ქართული"

შეცდომაა: ტიციან ტაბიძე
სწორია: ტიციანო ვეჩელიო

შეცდომაა: პაოლო იაშვილი
სწორია: პაოლო ვერონეზე

შეცდომაა: ნიკოლო მიწიშვილი
სწორია: ნიკოლო მაკიაველი

შეცდომაა: კოლაუ ნადირაძე
სწორია: გალაკტიონ ტაბიძე

თეიმურაზ ნადარეიშვილი

სულის ფოტოგრაფიები

(ლიტერატურული ჩანახატები)

ჩემი აზრით, შემოქმედის ჩანაწერებს ძალზედ დიდი მნიშვნელობა გააჩნიათ, რადგანაც მათში იდეა პირველადი, „შიშველი“, „შეურყვნელი“ სახით არის მოცემული და არ არის „დამძიმებული“ შემდგომი „მოკაზმულობით“! ეს ჩანაწერებიც (ჩემი „სულის ფოტოგრაფიები!“) ამგვარი მცდელობის მოკრძალებული ნიმუშია.

გემოვნების, ინტერესების ერთიანობა მეგობრობის საფუძველია ადამიანებს შორის, მაგრამ ზოგჯერ „ზედმეტ“ ერთიანობას კონფლიქტის გამოწვევაც შეუძლია და ამ ფაქტის უკიდურესი, გამძაფრებული გამოხატულებაა, მაგალითად, დაპირისპირება მამაკაცებს შორის მანდილოსნის გულისთვის ან პირიქით, შემოქმედებითი ქიშპი (მოცარტისა და სალიერის სინდრომი) და ა.შ.

* * *

შემეცნების შესახებ ჰეგელს შემდეგი მოსაზრება გააჩნია: „იდეა შეიმეცნებს საკუთარ თავს ადამიანის საშუალებით!“. ამიტომაც უნდა გავუფრთხილდეთ თითოეულ ნიჭიერ ადამიანს, როგორც ამ ჰეგელისეული პროგრამის გამტარებელს! (ნიჭი მართლაც მარტო იმ ადამიანის კუთვნილება არაა, ვისაც ის გააჩნია!)

* * *

თივა გარდაცვლილი ბალახია, ფიცარი გარდაცვლილი ხეა (მოკლული და დამუშავებული), ქვანახშირი და ნავთობი კი ძალიან დიდი ხნის წინ გარდაცვლილი მცენარეების ნაშთებია და მაინც (ამ მდგომარეობაშიც კი!) რამდენი სარგებლის მოტანა შეუძლიათ მათ!

* * *

მარადიულ კითხვებზე პასუხები არავის აქვს და სწორედ ამიტომ არიან ეს შეკითხვები მარადიული!

* * *

ინგლისის მეფეს ჩარლზ I-ს სიკვდილით დასჯის წინ ორი პერანგი ეცვა, რათა სიცივისაგან არ აკანკალებულიყო და მოედანზე მყოფ ხალხს არ ეფიქრა, მონარქი შიშისაგან ცახცახებსო! მართლაც გასაკვირია და დასაფასებელია მონარქის ამგვარი საქციელი, როდესაც ასეთ კრიტიკულ ვითარებაშიც კი, ადამიანი მაინც უფრთხილდება მეფურ ღირსებას!



* * *

საცოდავია უპროფესიო ადამიანი, მაგრამ კიდევ უფრო საცოდავია ადამიანურობისაგან „დაცლილი“ პროფესიონალი! (პროფესიამ არ უნდა „შთანთქას“ ადამიანი!)

* * *

„დატყვევებულ“ მდგომარეობაშიც კი დიდი სარგებლობა მოაქვს ჩვენთვის ჰაერს (ჩვენს სამსახურშია ჰაერი) – ორმაგი ფანჯარა ხომ საიმედოდ გვიცავს სიცივისა და ხმაურისაგან!

* * *

ადამიანის ამბიციის სიმბიოზი არასაკმარის განათლებასთან (პროფესიონალიზმთან), სხვა ადამიანებისათვის დიდი უბედურების მომტანი სიმბიოზია!

* * *

ლიტერატურაში (წიგნიერებაში) ცხოვრებიდან მოსული ადამიანი, უფრო საინტერესო ფენომენია, ვიდრე თავად წიგნებიდან ამ სფეროში დამკვიდრებული ადამიანი, რადგა-

ნაც ცხოვრება გაცილებით უფრო რთული და „სავსე“ ფენომენია, ვიდრე მისი ამსახველი წიგნიერება.

* * *

„კაცის კაცი რა კაცია?!''
კონსტანტინე გამსახურდია

შემოქმედისათვის მთავარია ნიჭიერება და არა კონიექტურული (და ამიტომ დროებითი!) მიკედლება ვინმე ამა ქვეყნის ძლიერთან!

* * *

ისტორიული ფაქტია, რომ ლაო-ძისთან შეხვედრის შემდეგ კონფუცი სამი დღე დუმდა! რამ დაადუმა მჭევრმეტყველებით სახელგანთქმული ბრძენი? ერთ-ერთი შესაძლო ახსნა შესაძლოა ის იყოს, რომ კონფუცი პირდაპირი გაგებით მოექცა ლაო-ძის სწავლების გავლენის ქვეშ – „ნამდვილი ბრძენი უმოქმედოა!“ (ანუ არ ლაპარაკობს, რადგან მეტყველებაც ხომ ქმედებაა და ზოგჯერ მერე როგორი!!!) ან იგი იმ დღეებში „ხარშავდა“ ლაო-ძის ნათქვამს! იქნებ სხვა მიზეზებიც იყო? მე მგონი, ჩვენ ვერასოდეს გავიგებთ თუ რამ „წაართვა ენა“ სინამდვილეში კონფუცის მთელი სამი დღის განმავლობაში.

* * *

ღარიბი ადამიანი აუსრულებელი სურვილებითა „მდიდარი“, მდიდარი კი ასრულებული სურვილების გამო სულიერად გაღატაკებულია! (მას „სურვილების ვაკუუმი“ სტანჯავს!)

* * *

ფაშისტურ გერმანიაში ალბათ, ყველაზე ძნელი ასატანი მაინც შემდეგი ლოზუნგი იყო: „შენ ნუ ფიქრობ! ფიურერი ფიქრობს შენს მაგივრად!“ ეს ხომ აშკარად ტოტალიტარიზმის კულმინაციაა! მართლაც ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს – ადამიანს ფიქრის უფლება აქვს წართმეული-მთელი ერის მაგივრად ერთი ადამიანი ფიქრობს!

* * *

დილის 9 საათზე ლექციის ჩატარება მხოლოდ იმიტომ არ მიჭირს, რომ არა ვარ „დამძიმებული“ ოპერის თეატრთან არსებულ გადასასვლელში მათხოვართა „კორდონის“ გავლით (ამ შეჭირვებულ, გამათხოვრებულ, უმეტესად არაჯანმრთელ ადამიანებს უჭირთ დილაადრიან „სამსახურში გამოსვლა!“). ნეტავ დადგება კი ისეთი დრო, რომ დღის ნებისმიერ მონაკვეთში (თუნდაც 11 ან 12 საათიანი ლექციების ჩატარებისას) არ მომიხდება საზოგადოებისათვის ამ „სამარცხვინო კორდონებში“ გავლა?!

* * *

„აზრის სიცხადე ყოველთვის
იყო ჩემთვის უდიდესი ბედნიერება“
ლესინგი

სტუდენტების ნაწერების გასწორებისას მათი არასაკმარისი ცოდნიდან გამომდინარე აზრის ბუნდოვანება ძალზედ დამქანცველია ლექტორისათვის, ანუ იმ ადამიანისათვის, ვინც იცის ეს საგანი და ამიტომ ცხადად აქვს წარმოდგენილი სტუდენტისათვის ბუნდოვანი ესა თუ ის საკითხი!

* * *

შემოქმედისთვის აუცილებელია გარკვეული დროით განმარტოება, რათა მან ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილების „გადახარშვის“ შედეგად ღირებული რამ შექმნას, მაგრამ ეს განდეგილობის პერიოდი გონივრულად ხანმოკლე უნდა იყოს, რადგანაც ყველაზე დიდი ბრძენი თავად ცხოვრებაა. ამიტომ შემოქმედი ამ სასიცოცხლო პაუზების შემდეგ კვლავ ცხოვრების მორევში უნდა გადაეშვას, რათა სინამდვილიდან მიღებული „ტკივილის აბების“ შემდეგ კიდევ უფრო ღირებული რამ შექმნას!

* * *

ალესილი დანა იმიტომ ჭრის, რომ მან სალესის „ჯოჯოხეთი“ გაიარა. ასევე ადამიანმაც ცხოვრების წნეხში უნდა გამოიაროს, რომ სათანადო გამოცდილება და სიბრძნე შეიძინოს!

* * *

ერთნაირად დამღლელია ხელმოცარულ და წარმატებულ ადამიანთან ურთიერთობა: პირველი გამუდმებით საკუთარ წარუმატებლობაზე ლაპარაკობს, მეორე კი მიღწევებით ტრაბახობს!

* * *

სერგო ფარაჯანოვის გახმაურებულ ფილმში „ბროწეულის ფერი“ („საიათნოვა“), მიუხედავად რეჟისორისათვის დამახასიათებელი უამრავი სიმბოლური სცენის არსებობისა, ჩემი აზრით, მაინც მთავარია ფარაჯანოვის სიყვარული საკუთარი ხალხისადმი, რაც გამოიხატება სომხების ტრადიციების, უბრალო ყოფითი დეტალების შესაშური ოსტატობით გადმოცემაში, რომელთაც საიათნოვა საკუთარ პოეზიაში

ასახავს გარკვეული ფილოსოფიურ-ლირიკული შეფერილობით!

* * *

ჩემი აზრით, ზღაპრების აუცილებელი „გმირი“ ჯადოსნობა, მაინც ზარმაცი კაცის „გამოგონებაა“, რადგანაც უცაბედად (უშრომელად!) რაღაც ჩნდება ან ქრება. სწორედ ამიტომ არ არსებობს ეს ფენომენი რეალურ ცხოვრებაში, რადგანაც ოფლის დაღვრის გარეშე არაფერი არ იქმნება!

* * *

ბევრ წინააღმდეგობას,სირთულეს ხვდება ადამიანი ცხოვრებაში და ამიტომ თითქოს უფრო მარტივი იქნებოდა არსებობა, ცხოვრება მათ გარეშე, მაგრამ სწორედ წინააღმდეგობების დაძლევის გამო იძენს ცხოვრება აზრს!

* * *

ადამიანი, რომელსაც არაფერი უნდა, უძლეველია! მართლაც ჩვენ ხომ საკუთარი სურვილები „გვჭამს“, რის გამოც ადვილი ხდება ჩვენი დაძლევა!

* * *

გაცნობიერებულ ჭირთან გამკლავება უფრო ადვილია, ვიდრე გაუცნობიერებელთან!

* * *

სიხარულსაც ცოდნია „გაჯერება“ – ზოგჯერ მეტ „სიხარულს“ ვეღარ „იტევს“ ადამიანი და ამიტომ ფათერაკს თავად დაეძებს ხოლმე, რომ მომავალმა განსაცდელმა „მობეზრებული“ სიხარული „გაანეიტრალოს“!

* * *

სალექციო ცხოვრებას, მიუხედავად დამქანცველი ხასიათისა, ერთი კარგი თვისება მაინც გააჩნია – ზუსტად იცი რომელ რიცხვში დაისვენებ, ანუ „ჭირი“ გარკვეულ დროით მარწუხებშია მოქცეული და ეს უმსუბუქებს ადამიანს მდგომარეობას!

* * *

ერთიდაიგივე შეცდომის ხელმეორედ დაშვება,(მიუხედავად გამეორებისა!) უფრო მძიმე შეცდომაა!

* * *

ტარიელ ხარხელაური ერთ-ერთ ლექსში ასე „გვიხსნის“ მთების წარმოშობის ფენომენს: „მიწას ორსულობისგან მთები გამობერვია!“. რა არის ეს?! პირდაპირი, სამეცნიერო გაგებით, ეს რა თქმა უნდა, სრული „ნონსენსია“, მაგრამ ნამდვილი პოეზია ხშირად ამგვარი „უაზრობებითაა დახუნძლული“ და სწორედ ეს „უცნაური“ მოვლენა უფრო მოგვწონს ჩვენ, ვიდრე მშრალი, სწორი აკადემიური აზრი და ყოველგვარ ამგვარ პოეტურ „ახირებასთან“ შეხვედრას მოუთმენლად ველით!

* * *

ყოველი რესტავრირებული ფერწერული ტილო, ხელნაწერი,შენობა და ა.შ ადამიანის დროზე გამარჯვების კონკრეტული გამოხატულებაა!

* * *

მარცხის (შეცდომის) „ხიბლი“ იმაში მდგომარეობს, რომ გასწავლის, კიდევ არ დამარცხდე! (როგორ არ დამარცხდე მომავალში).

* **

ცხოველი მიზეზით მოქმედებს,
ადამიანი მიზნით!
არისტოტელე

მხოლოდ ფიქრს ხელეწიფება ცალკეულ მიზნებად დაყოს და ამით „დაიმორჩილოს''(მოათვინეროს) მომავალი!

* * *

ზოგი ადამიანი მძიმე მდგომარეობაში საკუთარი ხასიათის გამო აღმოჩნდება ხოლმე, ისე რომ თავად არც კი იცოდეს ამის ნამდვილი მიზეზი- საკუთარი მძიმე ხასიათი! (სამწუხაროდ,შესაძლოა პრინციპულობაც იყოს ამაში „დამნაშავე“)

* * *

გარდაცვალება სამუდამოდ მარტო დარჩენაა!
სამფეხა ჯინა

თბილისში, პირველი სკოლის მახლობლად, შევჩენკოს ქუჩაზე რამდენიმე წელი შენდებოდა

დიდი საცხოვრებელი სახლი 1991-1992 წლების თბილისის „ომის" შედეგად დაზარალებულთათვის (და არა მარტო მათთვის!). მე მთაწმინდაზე ვცხოვრობ და თითქმის ყოველდღე მიხდებოდა ამ სახლის გვერდით გავლა. ამიტომ კარგად მახსოვს თუ როგორ დაიწყო, მიმდინარეობდა და როგორ დამთავრდა მისი მშენებლობა.

მშენებლობაზე რამდენიმე უპატრონო ძაღლი იყო მიკედლებული, მიუხედავად მშენებლობაზე „გამეფებული" ხმაურისა და მტვერისა (ეტყობა მუშებს უყვარდათ ეს ძაღლები და ეს სიყვარული უადვილებათ მათ იქ ყოფნას!). ძაღლებს შორის გამოირჩეოდა ბუნებისაგან დაჩაგრული სამფეხა ძაღლი, სახელად ჯინა. ჯინას წინა მარჯვენა თათი არ ჰქონდა (როგორც ამბობდნენ იგი ასეთი დაბადებულა ამ მშენებლობის დაწყებისას, სადღაც ამ მიდამოში), მაგრამ მიუხედავად ამისა ჯინა საკმაოდ ლამაზი თეთრი ფერის ძაღლი იყო, დიდი შავი „ლაქებით"თავისა და წელის მიდამოში. ამასთანავე, მიუხედავად ფიზიკური ნაკლისა, იგი ძალზე ცოცხალი და „მხიარული" ძაღლი იყო,თუმცა იგი სხვა ძაღლებს შორის მაინც გამოირჩეოდა რაღაც იდუმალი, სევდიანი თვალებით (თითქოს გრძნობდა საკუთარ განსაკუთრებულობას და დაჩაგრულობას!). თანდათანობით ჯინა მიმეჩვია და თითქმის ყოველთვის, ამ ქუჩაზე გავლისას, მას ვეთამაშებოდი, თუმცა ეს თამაში ჯინას ფიზიკური ნაკლის გამო, მაინც სპეციფიკური იყო. კერძოდ, მას არ შეეძლო სხვა ძაღლებივით ორივე ფეხით შემომხტომოდა. ამიტომ ჯინა უკანა ფეხებზე „ჩაიმუხლებოდა" და თავის ერთადერთ წინა ფეხს სასიყვარულოდ მიქნევდა.

ნელ-ნელა სახლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა და მე მაფიქრებდა ამ ძაღლების, განსაკუთრებით კი ჯინას შემდგომი ბედი, რადგანაც მშენებლობის დასრულების შემდეგ, ალბათ, მათ აქ არავინ გააჩერებდა! საპრეზინდენტო არჩევნების წინ, სახლი დიდი ზარ-ზეიმით ჩააბარეს (თვით პრეზიდენტი დაესწრო ამ მოვლენას!). ჩაბარების წინა დღეს დილით, უკანასკნელად ვნახე ჯინა (ზუსტად არ ვიცოდი თუ როდის აბარებდნენ სახლს). ჯინას ჩვეულებრივი მოსიყვარულების შემდეგ გზა გავნაგრძე და კიდევ ერთხელ გავიფიქრე (თითქოს გულმა წინასწარ რაღაც ცუდი მიგრძნო!), თუ რა ბედი ელოდა ჯინას.

როდესაც უკან ვბრუნდებოდი, პირველი სკოლის ასახვევთან რაღაც არანორმალური,შემზარავი ყმუილი შემომესმა და ცოტა ხნის შემდეგ დავინახე „ჩემი" ჯინა დიდი რკინის რგოლში მომწყვდეული, როგორ ჩააგდეს ძაღლების საჭერ სპეციალურ მანქანაში. სიმწრისაგან ადგილზე გავქვავდი! ძაღლების დაჭერის პროცესი პირველად ვნახე და რაოდენ გულდასაწყვეტი იყო, რომ მსხვერპლი სწორედ ჯინა აღმოჩნდა!

რა თქმა უნდა, ვიცოდი და გაგონილი მქონდა უპატრონო ძაღლების დამჭერი სპეციალური სამსახურის შესახებ (მომენტალურად გამახსენდა გიორგი გვახარიას მიერ ნაჩვენები ქართული ფილმი ამ თემაზე, რომელმაც საშინელი და მძიმე შთაბეჭდილება დამიტოვა!) და მე ყოველთვის ამბივალენტური გრძნობა მეუფლებოდა; ერთის მხრივ ამ სამსახურის არსებობა აუცილებელია ყველასათვის გასაგები მიზეზების გამო, მაგრამ, მეორეს მხრივ, თავად დაჭერის პროცესი მაინც უფრო ჰუმანურად, სათანადო დროს და ადგილას უნდა ხდებოდეს და არა ისე, როგორც მე შევესწარი – შუადღეზე, ქალაქის ცენტრში, მრავალი ბავშვისა და მოზარდის თვალწინ! (ჩემს წინ მამას ბავშვი მოჰყავდა და მან ბავშვს თვალებზე ხელი ააფარა, რომ არ დაენახა ეს საშინელი სცენა!) სხვათაშორის უცხოეთში უპატრონო ძაღლების პრობლემა გაცილებით უფრო ჰუმანურად წყდება.კერძოდ,არსებობს სპეციალური ხსნარი, რომლითაც ამუშავებენ საჭმელს და ამიტომ ასე „უსისტემოდ" აღარ მრავლდებიან მაწანწალა ძაღლები, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ისევ და ისევ ფინანსებზეა დამოკიდებული!

ასე ტრაგიკულად დაასრულა ცხოვრება, მშენებლობის დასრულებასთან ერთად, სამფეხა ჯინამ. მან დაახლოებით იმდენ ხანს იცოცხლა, რამდენიც ჭირდება ჩვენს პირობებში ერთი დიდი სახლის აშენებას! მას შემდეგ ვერიდები იმ ქუჩით სიარულს და ვცდილობ შორიდანაც კი არ დავინახო ის სახლი, თითქოს ის იყოს „დამნაშავე" ჯინას დაღუპვაში!

P.S. გარკვეული პერიოდის შემდეგ მაინც მომიხდა აღნიშნული სახლის გვერდით გავლა. მოულოდნელად სახლთან კვლავ დავინახე ნაცნობი ძაღლები. ძალიან გამიხარდა და გავიფიქრე, რომ ხომ არ მოხდა სასწაული – იქნებ ჯინამ თავი დააღწია წყეულ გალიას, მაგრამ სულ მალე დავრწმუნდი, რომ სასწაულების ადგილი მხოლოდ ზღაპრებშია – ჯინა მათ შორის არ იყო! როგორც ჩანს, მხოლოდ ჯინა შეეწირა იმ დღეს სახლის გახსნას, როგორც ყველაზე სუსტი და ბუნებისგან დაჩაგრული არსება, ხოლო სხვა ჯანმრთელმა ძაღლებმა თავი გადაირჩინეს!

ნეტავ იმ ავბედით დღეს საერთოდ არ გამევლო იქ და არ შევსწრებოდი ჯინას დატყვევების სცენას. მაშინ ვიფიქრებდი, რომ ჯინა ვერ „შეეგუა" ახალმოსახლეებს, თავად გაეცალა იქაურობას და ცოცხალია!